


180
1986

ISSN 0134-9848

1986/6

სეზონი

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი



ფრანს ბრილპარსერი

ოქროს საწმინდი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეა

(ტრაგედია ხუთ მოქმედებად)
მოქმედი პირნი

პრონი — კორინთოს მეფე
პროუზა — მეფის ასული
იაზონი
მედეა
გორა — მედეას ძიძა
ამფიტიონიელთა ჰეროლდი
გლახაკი
მხველები და მსახურები
მედეას უვინები

პირველი მოქმედება

გალავანშემოვლებულ ქალაქ კორინთოს მისადგომთან მარცხნივ კარავია გაშლილი. სცენის სიღრმეში მოჩანს ზღვა. ზღვაში შეჭრილ კონცხზე ქალაქის ნაწილია გაშენებული. კარგად არ გათენებულა და ჯერ ისევ ბნელა. მარჯვენა მხარეს მონა ორზოდან ნიჩბით მიწას ყრის. შორიახლოს მედეა დგას. იგი იშვიათი ოსტატობით ნაკვედ მოოქროვილ შავ ზანდუკში რაღაცებს აწყობს.

მედეა: ორმოს თხრას მორჩი?

მონა: ვამთავრებ, ჩემო მბრძანებელო!

(კარვიდან გორა გამოდის და შორიახლოს ჩერდება).

მედეა: პირველად უნდა პირბადე და ყვერთხი ჩავგმანო,
მაშ დღეის იქით აბა რაში გამოვიყენო?
ჭადოქრობამ და ბნელმა ღამემ მომქამა ჭირი,
ამიერიდან რაც მომეღის — ავი თუ კარგი,
სუყველაფერი დღისით-შუისით მოხდება მხოლოდ.
ფარულ ვნებათა გამომწვევი თასიც აქვია,
პირწმინდა ხამიც კი მიხვდება ამ საიდუმლოს,
მეორე თასში სიკვდილია ჩაბუდებული,
ნეტარ ცხოვრებას გარიყული, განრიდებული!
შენგან ბოძებულ მრავალნაირ უძვირფასეს ქვას
და ბალახბულახს, დედამიწავ, უკან გიბრუნებ.

მონაწილეების სია

(ფეხზე წამოდგება).

მაშ შეეგუეთ სამუდამოდ აქაურობას,
თუმცა უველაზე უმთავრესი არსად არა ჩანს!

(ამასობაში მონა ორმოდიან ამოდის, მედეას უკან დგება და დავალების შესახებ
ბლად ემზადება. თვალს მოჰკრავს თუ არა შუბზე შემოხვეულ საფარველს, იქვე
მდგარ ხეს მიაყუდება. მიყუდებისას საფარი გადაიშლება და ბაიროლზე წამოდგუ-
ლი საწმისი თვალის მომპკრელად გაბრწყინდება).

გიგალონიძე

მონა (საწმისს ხელს წაატანს):

ამას ეძებდით?

მედეა: ხელი უშვი, ნუ შეეხები,

ერთხელაც ვნახო დამლუპველი ეგ საჩუქარი!

ჩემი ცხოვრების ამწეწვო და დამაქცევლო,

მამაჩემის და ძმის სისხლი რომ ლაქად გაცხია,

შენ ხარ მედეას გამწბილებელ-შეშარცხვენილი,

რადგან ამდენი ცოდვა-ბრალი ჩამადენინე!

(მედეა ღროშის ტარზე ფეხით შედგება. ტარი შუაზე გადატყდება).

ნაკუნ-ნაკუნად მოგაქცევ და ჩაგფლავ მიწაში,

ღამის წყვედიადში შემწარავად ჩაეხვენები.

(ორად გადატეხილ ტარს მედეა ზანდუქში დებს და სახურავს აფარებს).

მორა (წინ წამოიწევს):

აქ რას აკეთებ?

მედეა (ირგელივ მიმოიხედავს):

დაინახე სუველაფერი?

მორა: რადგან მსახურმა მოგიჩინა თავშესაფარი,

გინდა ეგ განძი გადაშალო ისეთნაირად,

ვერვინ იხილოს?

მედეა: მოშიჩინა თავშესაფარი?

რაც მომცა, მორჩა, თავშესაფარს აღარ მოველი,

იმაღ ვმარხავ და განძს მიწისთვის მიტომ ვიმეტებ,

რომ გამაჩნია გვარიანი დასაყუდარი.

მორა: ქმრის სიყვარულის იმედით ხარ?

მედეა (მონას მიმართავს):

უკვე შნად არის?

მონა: კი, მბრძანებლო!

მედეა: ნულარ აყოვნებ!

(ზანდუქის ერთ ყურს მედეა ჩააფლებს ხელს,

მეორეს მონა და ორმომდე მიიტანენ).

მორა (მათგან მოშორებით დგას):

ამას რას ვხედავ, დიდებული შეფის ასული

ასეთ მძიმე ტვირთს რად ეწევა საკუთარ ხელით!

მედეა: გეტყობა, რომ არ მენხმარები, შემომწყურალი ხარ!

მორა: მე იაზონის მხევალი ვარ, შენი ხომ არა,

ერთის მსახური, როდის იყო, სხვას მსახურებდა?

მედეა (მონას მიმართავს):

ახლავ ჩაფლავ და მიყარე მიწა ზემოდან!

(მონა ზანდუქს ორმოში ჩაუშვებს და ნიჩბით მიწას მიყარის. მედეა

დაიჩოქება).

მორა (სცენის სიღრმეში დგას):

ნეტავი მიწამ პირი, მიყოს და ჩამიტანოს,

რომ რასაც ვხედავ, ვერასოდეს ვეღარ ვიხილო!

ჭერ იმ განდგომილთ მოუსწრაფე სიცოცხლის დღენი,

იმათ მიაგე შურისგება, ბოლო მოუღე,

ვინც ამ ყოფაში ჩაგვაგდო და მერე ჭანდაბას,

მეც თანახმა ვარ, წუთისოფელს გამოვესალმო!

მედეა (ველავ მონას მიმართავს):

ქარგად დატყებნე, მოახწორე მიწა და წადი!
ჩემს საიდუმლოს, მტკიცედ მჭერა, არვის გაანდობ,
რადგანაც ვიცნობ, რომ კოლხი ხარ პირწავარდნილი.
(მონა მიდის).

ბორა (მუქარითა და დამცინავი ხმით წამოიძახებს):

გირჩევ, ღალატი და მუხთლობა გულს არ გაივლო,
თორემ ორივეს დაგატყდებათ საშინელება!
საქმე ბოლომდე მიიყვანე?



მედეა (მისკენ გაემართება):

ჰო, მივიყვანე.
ჩავფაღ თუ არა, თავისუფლად ამოვისუნთქე.

ბორა: ოქროს საწმისიც ჩააყოფი?

მედეა: დიახ, საწმისიც.

ბორა: განძის წაღებას იოლკოსში რომ არ აპირებ,
მითხარ, ქმრის ბიძას რას ემართლები?

მედეა: ხომ იხილე.

ბორა: რაკი ჩაფაღი, შენ გგონია, მორჩა, გათავდა,
წარსულის სიომ გაიქროლა, გაინავარდა,
თითქოს ამქვეყნად აღარც აწმყო, აღარც მყობადი,
არცრა კოლხეთი და ღმერთები არ ყოფილიყოს,
თითქოს მამაშენს არც ეცხოვროს ამ ქვეყანაზე,
თითქოს შენი ძმა სულ ახლახან არ მომკვდარიყოს,
რადგან არ ფიქრობ, ეს ამბები შენ უნებურად,
თითქოს რწმუნდები, არასოდეს არ მომხდარიყოს.
მაშ დაუკვირდი, მიმოავლე ფხიზელი თვალი,
მოღალატი ქმარს აქამომდე ხომ შენ უყვარდი;
სინამდვილეში ასეც იყო!

მედეა (განრისხებული):

გორა!

ბორა: რა გნებავს?

ნუთუ გგონია, უბალ პირზე კლიტეს დავიდებ?
დამნაშავენი უნდა დუმდნენ, განა მე ვდუმდე!
მშობლიურ მხარეს მომწუვიტე და გამომიტყუე,
ასეთნაირად ჩავუვარდი ტყვედ შენს კერბ მიჯნურს,
ხელფეხშეკრული მწარედ მოვთქვამ გრძელ ღამეებში
ჩემს უბედობას, უიღბლობას; ვკენესი, ვვიშვიშებ,
და ყოველ დღით, ხულ ერთთავად, მზის ამოსვლისას
ჩემს გარდასულ დღეთ და ჭაღარას ქოქოლას ვაყრი,
ვიტან დაცინვას და აბუჩად აგდებას სხვისგან,
ვითმენ ყოველგვარ გაპირვებას, ტანჯვა-წამებას
და რასაც გეტყვი, მომისმინე და ყურად იღე.

მედეა: გისმენ, განაგრძე!

ბორა: რაც ვითხარი, წარსულს ჩაბარდა!

ჩვენი სამყარო ამნაირად არის შექმნილი:
ვიღრემდე მთვარეს ზღვის ტალღები არ შეასკდება,
არ დაიღვევა ქვეყანაზე შური და მტრობა.
საშინელებად მოევლინე კოლხეთის მკვიდრი,
ამ ქვეყნის მცხოვრებთ დაეუფლათ შიში და ძრწოლა;
ბნელი ძაღების ხისახტიკე და წყევლა-კრულვა,
იმასდა ვფიქრობ, შენ თვითონვე თავს არ დაგატყდეს!
ზიზღს ვერ მალავენ აქაურნი, სძაგხართ ცოლ-ქმარი,
აღალმა ბიძამ ჩაუკეტა სასახლის კარი
და მშობლიური ქალაქიდან ურცხვად განდევნა.
როს ბიძამისი ყველასათვის მოულოდნელად

სალ-სალამათი უცაბედად გარდაიცვალა,
თავშესაფარიც ვერსად ჰპოვა, უჭეროდ დარჩა.
რა გზას გინდა დაადგე ახლა?

მედეა: ვით ცოლს შებფერის!

გორა: მაინც რას ფიქრობ, საბოლოოდ რა გადაწყვიტე?

მედეა: ჭირსა და ვაგლახს მასთან ერთად გავინაწილებ.

გორა: რაღა თქმა უნდა, ქალიშვილი აიეტისა

ჭირსა და ვაგლახს მასთან ერთად გაინაწილებ!

მედეა: უფალს რომ ჩვენთვის გაემეტა ალალი გული,

მაშინ იოლად იცხოვრებდა ადამიანი!

გორა (გესლიანად გადაიხარხარებს):

ქმარზე რას იტყვი?

მედეა: ჭობს წავიდეთ, უკვე თენდება!

გორა: რად გამირბიხარ? მაინც ვერსად წამიხვალ, რადგან

გაჭირვებაში ჩავარდნილი ნათელსაც ვხედავ;

რაკი ცხოვრების წარმმართველი ღმერთია მხოლოდ,

სამაგიეროს მიწღვაც არის ამ ქვეყანაზე.

შენს უიღბლობას და მძიმე ხვედრს დასტირე, მე კი

ვიქნები შენი მოიმედე, ნუგეშისმცემი,

რადგან ცოდო-ბრალს ვერ ჩასწვდები მართო გონებით,

სიმართლის გზასაც შორს დაიჭერ, ოღონდაც კაცი

ტანჯვას და სასჯელს გადაურჩე რამენაირად.

ეგებ კეთილად დაბოლოვდეს ეს განსაცდელი!

ქმარზე მითხარი, კვლავაც გიწევს შეუღლეობას?

მედეა: აბა, სხვაგვარად ქალაბობა ვის გაუგია?

გორა: სიტყვით ვაიმე, კერძმარტად, გულში სხვაიმე!

მაშ იგივეა, ვინც იჩქითად გვირგვინი იფსკვნა?

სანამ მეუღლე ამ მიწაზე ჩამოგიყვანდა,

ათას ფათერაკს და ჭირ-ვარამს გადაეყარა,

მარჯვედ, უშიშრად გადალაბა ზღვები და მთები,

ვისაც წააწყდა, გაუმკლავდა და უკუაგდო,

სიკვდილს ნატრობდა, შეეგუა შიშშილს და წუურვილს,

ასეთნაირად არ დაძლია ბრძოლის ქარცეცხლი?

მაშ იგივეა? რად ცახცახებ? მო, იცახცახე!

სძაგხარ, გაგირბის, უკვე უელში ამოუხვედი;

როგორც მზაკვრულად არ დაინდო შენიანები,

ისე გიმუხთლა, გიღალატა, სხვაზე გაგცვალა!

რაც შეგიძლია, ღრმა ორმოში ჩაფალ ნივთები,

ნამოქმედარს ხომ ვერსად ჩაფლავ?!
მედეა: ხმა ჩაიკმინდე!

გორა: არ გავჩუმდები!

მედეა (მკლავში მძლავრად წაავლებს ხელს):

გეუბნები, გაჩუმდი-მეთქი!

რატომ ბობოქრობ, რისთვის ცხარობ, ან ცოფებს რად ყრი?

დაე ველოდოთ, ბედისწერას ვერსად წავუვალთ.

ერთხელ რაც იყო, მაინც იგივე განმეორდება,

მაშ უველაფერი აწმყო და თანადროული?

თუკი ეს წამი აკვანია მომავალისა,

მაშინ რად არ ვთვლით მას წარსულის დამსამარებლად?

ისეთი რამე მოხდა უკვე ჩემ სიცოცხლეში,

იგი არ უნდა მომხდარიყო ქვეყნად არასდროს,

მაგრამ გგონია, მივტირი და წყალობას ვითხოვ,

ან კიდევ ვფიქრობ, ჩემივ თავი გავანადგურო?

ხალასი უნდა იყოს კაცი, შეურეველი,

ქვეყნის ავ-კარგთან შერწყმული და შიგუებულის!



უცხო ქვეყნებში გარდახვეწილთ, უცხოელთ შორის,
თავისი რისხვა მოგვივლინა უზენაესმა;
რაც ქვეშაობრივად ითვლებოდა ჩვენს ქვეყანაში,
აქ უმართლოდ და უკანონოდ მონათლულია,
თუკი რაიმეს გაატიებენ, იმასაც ზიზღით;
წეს-ჩვეულება და ენა სურთ დაგვაკარგინონ,
გრძნობა დაგვიხშონ, შეგვზღუდონ და ფრთები შეგვკვეცონ,
თავისუფლება მოგვისპონ და დაგვასამარონ.
მამაპაპური, მშობლიური ცის ქვეშ რაც ვიყავი,
იგივ დავრჩები ამ მიწაზეც სამარადელად.
იღუმალ ძალთა საიდუმლოს ცოდნა და უადრე,
რაც დედაჩემმა მიანდერძა მემკვიდრეობით,
გაჩენის დღიდან რომ მომდევდა მოაქვამამდე,
ამიერიდან არხეინად ვუბრუნებ უკან,
და უილაჯო, უნიათო, უძღლური ქალი
თანამეცხედრეს უნებურად ხელთ ვუვარდები;
თავდაპირველად გამირბოდა კოლხეთის ასულს,
მაგრამ შემდგომში მომეპურა ვით საქმროს შეჭფერის.
ამ გარიჟრაჟსაც ხომ ახალი ცხოვრება მოხდევს!
რაც უკვე მოხდა, არასოდეს განმეორდება,
და რაც მოხდება, გარდაუვლად მოსახდენია!
შენ კი მიწაო, მშობლიურო და მადლცხებულო,
შემწედ მექმენ და მომანიჭე მხოლოდ სიკეთე.
(კარავში შედიან; კარვიდან იაზონი და კორინთოელი
გლეხკაცი გამოდიან, რომლებსაც უკან მონა მოჰყვებთ).



საქართველოს მწიგნობრობის ცენტრის გამომცემი

იაზონი: მეფეს პირადად ესაუბრე?

გლეხკაცი: დიახ, ბატონო!

იაზონი: მერე რა უთხარ?

გლეხკაცი: მომლოდინე სხვაც ბევრი მყავდა,
სტუმართმოყვარე მგობრებიც, წარჩინებულნიც,
მაგრამ ორგულნიც იქვე იყვნენ, მოლაღატენიც,
და ხანამ ყველას მშვიდობა და უშიშროება
არ უსურვა, მანამდე არვის გაესაუბრა.

იაზონი: შეკითხვაზე რა გიპასუხა?

გლეხკაცი: უთუოდ მოვა!
პოსეიდონის დღესასწაულს ესწრება მეფე,
მთელი ამაღა, ქალიშვილიც აქ იყოლება,
ზღვას შესწირავენ შესაწირავს, როგორც წესია,
და შეხვედრისას ჩამოგიგდებს თავად ლაპარაკს.

იაზონი: ძალიან კარგი! გარჯისათვის მადლობას გიხდის!

მეფე (იაზონს მიუახლოვდება):

მოგესალმები!

იაზონი: მეც აგრეთვე.

(მონას მიმართავს):

ახლა აქედან
წადით სუყველა და ხეების მწვანე რტოები
აჩებეთ, როგორც წესადა აქვთ ამ ქვეყანაში.
როცა მორჩებით, გეუპურება? მშვიდად მელოდეთ.
აბა, თქვენ იცით
(გლეხკაცი და მონა გადიან).

მეფე: ჩაბმული ხარ რაღაც საქმეში?

იაზონი: დიახ, ეგარე.

მეფე: ხულ არ ცდილობ, რომ მშვიდად იყო!

იაზონი: უარბიი კაცი გეგულებს, მშვიდად რომ იყო?

მოხეტიალეს ვინ დააცლის აბა სიმშვიდეს.

მედეა: ამ ღამით შენ ძილს არ აპირებ, როგორც გეტყობა,
და მარტოხელამ ბნელში უნდა იბორიალო.

იანონი: მე ღამე მიყვარს, დღის სინათლე კი თვალებსა მჭრის.

მედეა: მეფეს რომ კაცი გაუგზავნე, რა გიპასუხა,
სტუმართმოყვრულად ჩვენც მიგვიღებს?

იანონი: დაველოდები.

მედეა: მეფე შენი მეგობარია?

იანონი: ოდესღაც იყო.

მედეა: რახან ეგრეა, შეგისრულებს ყოველგვარ სურვილს.

იანონი: ჩვენი ბედნავსი შეუღლება დაირღვეს უნდა,
შენ კარგად იცი, ქვეყანაზე უველა გავვირბის,
თვით ბიძაჩემის — პელისის უცბად სიკვდილი,
ვინაც ღმერთიც კი განარისხა თავის შჯავრობით,
ბრალად შედება, არვინ მინდობს, არვინ მპატიებს,
ხალხი მაყვედრის, ცოდვად მითვლის, ჩემს სამშობლოში
ჯადოქარ ქვეყნის შვილი რატომ ჩამოგიყვანე.
ნუთუ არ იცი?

მედეა: კარგად ვიცი.

იანონი: საკმარისია,

ამ ღამეს მინდა ვიფხიზლო და ვიხეტილო!
შუისკენ რად ილტვი, კაცმა რომ თქვას, რა დაგრჩენია?
ან ბნელ ღამეში რას დაეძებ? გახაგებია!
კოლხ მეგობარს ხომ არ მოუხმობ?

მედეა: არვის არ ვუხმობ.

იანონი: ნამდვილად არა?

მედეა: არა-მეთქი, კვლავ გიმეორებ!

იანონი: მე რასაც ვფიქრობ, პირში გეტყვი, დაიმახსოვრე,
შენ უმაგიხოდ სიცოცხლე ხომ არ შეგიძლია!
ნუღარ მოხარშავ ბალახბულახს, ნუ დაამზადებ
ისეთ საწამლავს, ძილისმომგვრელს რომ ეძახიან,
დაეხსენ მთვარეს, ღამით ნუღარ ესაუბრები,
მიცვალებულებს საფლავებში აკმარე წოლა,
აქ უველას სძაგბარ, ეწიზღები, მეც ვეღარ გიტანი!
კოლხეთში კი არ ვიმყოფებით, საბერძნეთში ვართ,
ველურებში კი არა ვცხოვრობთ, ხალხში ვტრიალებთ.
ამიერიდან ერთადერთმა მე ვიცი მხოლოდ,
რაკი აღმითქვი, იმ სიტყვას რომ არ გახტებ, მჭერა.
თუნდ ეგ პირბადე, საბეზე რომ ჩამოგიბურავს,
უკან მახედებს და წარსულის სურათს მაგონებს.
რატომ არ გინდა შეეჩვიო ამ ქვეყნის ადათს
და ტანსაცმელიც აქაური წესით ატარო?
როცა დამჭირდა, ხომ კოლხელად ვიქეცი მაშინ,
შენც საბერძნეთში ბერძენ ქალად გადაიქეცი.
რატომღა ცდილობ გახსენებას გარდასულისას?
საკუთარ თავის გახსენებაც საკმარისია?
(მედეა უჩუმრად მოიხსნის პირბადეს და გორას გაუწოდებს).

გორა (ძლივგასაგონად):

შის საამებლად გულს აიყრი შენს ქვეყანაზე?

იანონი (თვალს მოკრავს გორას):

შენც აქ ყოფილხარ? მეწიზღები დასანახავად!
მაგ თვალებსა და შუბლს რომ ვხედავ, ასე მგონია,
თვალწინ მიდგება კოლხური ზღვის ნარიყრაყევი.
მეუღლის ახლოს რად წრიალებ? აქედან წადი!

გორა (ბუზლუნით):

ვიძომ რაღაო?



იაზონი: წადი-მეთქი, რომ გეუბნები!

მედეა: გეხვეწები, გაადგი ფეხი!

ბოტა (მოამიტად):

შენი ნაყიდი ხომ არა ვარ, რომ შემუქრები?

იაზონი: აქედან გასწი, სანამ დროა,

თორემ ხელი ხმლისკენ გამირბის;

ბევრჯერ მინდოდა მომესინჯა ეს შენი შუბლი,

თუ მართლა ისე მაგარია, როგორიც მოჩანს.

(მედეა გორას უყვავებს და სცენიდან გაჰყავს).

იაზონი (მდელოზე წამოგორდება და გულანქროლებული წარმოთქვამს):

წამოიქროლე, ქარიშხალო, დასცხე, გრიგალო!

კორინთოს ცაო, ზღვის ნაპირო დაუვიწყარო,

ამაყად მდგარნო დიდებულო ციხე-კოშკებო,

ჩემი ბავშვობის ოქროს წლებო გაუხუნარნო,

მზე ძველებურად სხივებს გაფენს, თავზე დაგნათის,

მხოლოდ მე ვიქცე თქვენთვის უცხოდ, გადავსხვაფერდი,

ღმერთო მაღალო, რატომ იყო დილა ნათელი,

თუკი საღამო ამნაირად ჩამწარდებოდა.

ნეტავი ბარემ ღამე იყოს!

(მედეას კარუიდან ბავშვები გამოჰყავს და იაზონს მიჰგვრის).

მედეა: აი, ბავშვებიც.

გაუწოდეთ მამათქვენს ხელი.

(ერთ-ერთ ბიჭს მიმართავს):

ჩამოართვი მამაშენს ხელი!

არ გეუბრება? ხელი-მეთქი!

(ბავშვები ამრეზით დგანან).

იაზონი (ხელს ძალაუნებურად გაუწვდის):

ეს არის ბოლო ნაშიერი, ჭიუტი მამის?

მედეა (ბავშვებს მიმართავს):

ახლა კი წადით!

ბიჭი: ხომ ბერძენი ხარ, მამაჩემო?

იაზონი: რად შეკითხები?

ბიჭი: ბერძენი რომ ხარ, აღბათ გორა მიტომ გაძაგებს!

იაზონი: რაო, მაძაგებს?

ბიჭი: რა შშიშარა და მატყუარა ხალხი უოფილა.

იაზონი (მედეას მიუბრუნდება):

გაიგონეს შენმა უბრებმა?

მედეა: გორას სიბრიყვით მოუვიდა და აბატე!

(მედეა ჭერ ერთ ბავშვთან მივა, მერე მეორესთან,

ჩაიმუხლებს და უბრში რაღაცას ჩასჩურჩულებს).

იაზონი: კეთილი და პატიოსანი!

(ფეხზე წამოდგება).

ვერა ხედავ, მუხლსაც რომ იყრის,

ნავსი, ბედშავი, შშიმე ტვირთად გვაწვება უველას.

(ბოლთასა სცემს).

ბავშვებს დაეხსენ და ამწუთას ჩემთან მობრძანდი!

მედეა: ახლა წადით და... გეუბრებათ? ჭკუით იყავით!

(ბავშვები გადიან).

იაზონი: ნუ წარმომიდგენ ავ და გულქვა ადამიანად,

შენი შემპურე, შენი ტანჯვით მეც ვიტანჯები.

აწოწილ მწვერვალს სადაც უნდა მიაკრა ლოდი,

არ გაჩერდება, გორაობით წამოვა თავქვე,

წინ ვერაფერი დაუდგება, ვერ დააკავებს,

რაც ჩავიდინეთ, რა ხანია წარსულს ჩაბარდა.

(ერთ ხელს მკლავში წაავლებს, ხოლო მეორეს





შუბლზე უფათურებს).
 შენ რომ გიკვარვარ, ვერ უარვყოფ, ჩემო მედეავ;
 სიუვარულის აღს განა მარტო სახეზე გატყობ,
 საქმით ამტკიცებ, შენი წნით და თავის დაქერიით.
 (მედეა იაზონს შუბლით მხარზე მიეყრდნობა).
 მწამს, რომ გონება მწუხარებით დაგბინდებია:
 და თანაგრძნობაც შემოგჭრია ხულის სიღრმეში,
 ამიტომ კარგად მოვაგვაროთ ჩვენი საქმენი
 და ვინაიდან ერთად ყოფნა ხელს აღარ გვაძლევს,
 ავწონ-დავწონოთ და გავცილდეთ ერთიმეორეს.
 დიდი ხნის წინათ, როცა ისევ ჭაბუკი ვიყავ,
 გაგულისებულ ბიძის წყრომას და მრისხანებას
 რამენაირად ცოცხალი რომ გადავრჩენოდი,
 ქალაქ კორინთოს მოვაშურე თავშესაფარად.
 ამ ქვეყნის მეფემ შემიკედლა სტუმართმოყვრულად,
 მამობრივ ზრუნვას არ მაკლებდა, მიფრთხილდებოდა,
 საკუთარ ვაჟს რომ მოექცევა კაცი, იმგვარად.
 მის სასახლეში გავატარე მრავალი წელი.
 აი, ახლაც კი...

მედეა: გააგრძელე, რატომ შეწყვიტე?

იაზონი: როცა სუყველამ გამიმეტა, ზურგი მაქცია,
 როცა ჩავვარდი ამა ქვეყნის ორომტრიალში,
 ახლაც კი მეფე თავშესაფარს არ დაიშურებს,
 ოღონდ ერთი რამ მაფიქრებს და მაეჭვიანებს.

მედეა: რატომ არ ამბობ?

იაზონი: მე კი ნამდვილად შემიკედლებს,
 წინასწარ ვიცი, დარწმუნება არა მჭირდება,
 არც ჩემს ბავშვებზე იტყვის უარს, იგულისხმება,
 მაგრამ შენ კი...

მედეა: რადგანაც შენი შქვია მეუღლე,

ბავშვებთან ერთად, იმედია, მეც შემიხიზნავს.

იაზონი: გადაგავიწყდა, სულ პირველად ჩემს სამშობლოში
 კოლხთა მიწიდან ბიძაჩემთან რომ მიგიყვანე,
 თავს რა დაგვატყდა და რა ამბებს გადავეყარეთ?
 გადაგავიწყდა, ბარბაროსი რომ დაგინახეს,
 ბერძნები ღიმილს ვერ მალავდნენ, გაქიაქებდნენ?
 ყველამ არ იცის შენი წესი და ჩვეულება,
 ყველა კი არ გთვლის ჩემს ცოლად და შვილების დედად,
 ყველა ჩემსავით კი არ იყო შენს ქვეყანაში.

მედეა: მაგ ნართაულთა დედააზრი მაინც რა არის?

იაზონი: აღამიანთა უდიდესი უბედურება
 თუნდაც ის არის: რაც ცხოვრების განმავლობაში
 თითოეულს უნდა შეემთხვეს, სანამ მოხდება,
 მშვიდადაა, აუღელვებლად, როცა მოხდება,
 მაშინ ყველა ფორიაქდება. იქნებ თავიდან
 ავიცილოთ გარდაუვალი და მოსახდენი.
 ჩემი უფლებით ვისარგებლებ, მეფეს ვეწვევი
 და გულახდილად ყველაფერში გამოვუტყდები,
 შენ კი ქალაქში არვინ გნახოს, ნუ გამოჩნდები,
 ბავშვებიც შენთან დაიტოვე, სანამ...

მედეა: როდემდე?

იაზონი: სანამ... მითხარ, რად იფუთნები?

მედეა: კარგად მიგიხვდი.

იაზონი: რაც ახლა გითხარ, სიცრუედ ნუ მოგეჩვენება!

მედეა: მაშ დამიმტკიცე, რომ სიყალბედ მომჩვენებია.

მეფე გამოჩნდა და თანდათან გვიახლოვდება,
ელაპარაკე, რასაც შენი გული გჯარნახობს.

იანონი: ხანამ დაგვლენდეს, შედგრად დავხვდეთ ძლიერ ქარიშხალს.

(გორას კარვიდან ბავშვები გამოჰყავს. მედეა შეილვებს შუა ჩადგება და სადაც შორს დაიწყებს ცქერას. შემოდინ მუფე და მისი ქალიშვილი თანხლებ კაბუკბ-სა და გოგონებს-შესაწირავი მოაქვთ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფე: გადმოხვეწილი უცხოელი სად იმყოფება?

გამოძვევებულს ალბათ რამე ბრალი მიუძღვის.
გული რაღაცას მიწინათგრძნობს, სად არის იგი?

იანონი: აქ გახლავარ და თავდაბრილი მოგეგებები;

გაუცხოებულს უფრო ვგავარ, ვიდრე უცხოელს.
ხელის შეწყობას და შეწევნას მოვითხოვ მხოლოდ.
სასახლიდან და მამულიდან გამომაძევებს
და კეთილ სტუმარს თავშესაფრად ბინა შვირია.

პრეშუა: იანონია, ადრე ჩვენთან რომ იყო, მამავ!

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ).

იანონი (მკლავში ხელს წაავლებს):

ისა ვარ, დიახ, ვით ნამდვილად შენ კრეუზა ხარ.
სულ არ შეცვლილხარ, ძველებურად გიბრწყინავს სახე,
ნაზო არსებავ, შემაწიე სიტყვა მამასთან,
რომელიც აქვე დამდგარა და თვალს არ მაცილებს;
ალბათ ბრახდება, გულკეთილად რომ მომესალმე,
ანდა ჩემზეა გულმოსული, განრისხებული.

პრეშუა (იანონს ხელს წაავლებს და მამისკენ გაუძღვება):

მამავ, შეხედე, შენ წინაშე იანონი დგას!

მეფე: მოგესალმები!

იანონი: როცა ვუყურებ შენ ხიდინჯეს, სიდარბაისლეს,

შემეფერება დავიჩოქო, მუხლზე გემთხვიო
და სათხოვნელად ეს მარჯვენა გამოგიწოდო;
ჩემი მუდარა უურად იღე, შეისმინე და
ქერი მიბოძე, მომეც ერთი თავშესაფარი!

მეფე: წამოდექ ფეხზე!

იანონი: არა, ხანამ...

მეფე: ფეხზე ადექ, რომ გეუბნები!

(იანონი წამოდგება).

მეფე: ვით დაასრულე არგონავტთა მოგზაურობა?

ალბათ წანწალი მოგწყინდა და უკან დაბრუნდი.

იანონი: არ შეგულება ქვეყანაზე ისეთი მხარე,

სადაც შე ბინას დავიდებდი, დავსახლდებოდი.

მეფე: მოპოვებული განძეული თან წამოიღე?

იანონი: საქმის წამომწყებ ბიძას უნდა რგებოდა იგი.

მეფე: მშობლიურ ქალაქს რა მიზეზით გამოექცევი?

იანონი: გამომაძევებს უსახლკარო, მიუსაფარი.

მეფე: საბაზად მაინც რა მოგიდეს, რა დააშავე?

იანონი: უხამსი რაღაც დამაბრალეს, არჩადენილი!

მეფე: ახლავ გამოტუდი, მართებულად თუ უსამართლოდ?

იანონი: ღვთის მადლსა ვფიცავ, უსამართლოდ, უმართებულოდ!

მეფე (გაფაციცებით მკლავში ხელს წაავლებს და რამდენიმე ნაბიჯს წადგამს წინ):

ბიძაშენი გარდაცვლილია?

იანონი: დიახ, მკვდარია.

მეფე: რა დაემართა?

იანონი: არაფერში მიმიძღვის ბრალი!

ისე ვიხარო, არაფერში მიმიძღვის ბრალი!

მეფე: ერთხელ ითქვა და ხმა დაირხა მთელ ქვეყანაში.



ნაზონი: ზუსტად იმავ ჭორს იმეორებს მთელი ქვეყანა.

მეფე: ერთს შეუძლია ყველას აზრი არად ჩააგდოს?

ნაზონი: თუ მოინდომებს, შეუძლია არად ჩააგდოს.

მეფე: რით მიიცვალა ბიძაშენი, მამა რა ეწია?

ნაზონი: თვითონ შვილებმა მოუსწრაფეს სიცოცხლის დღენი.

მეფე: შემწარავია, რაც მითხარი, სიმართლეს ამბობ?

ნაზონი: მაღალმა ღმერთმა უკეთ იცის, სიმართლეს ვამბობ!

მეფე: მოდი, კრეუზა, ჭერჭერობით ნურაფერს ეტყვი,
სჯობს ჭირ-ვარამი შემდგომისთვის გადავინახოთ.

(ხმამალლა):

საკმარისია, რაც გავიგე, მერე სხვა იყო,

ვიღრემდის ძალშიძს, შენი სიტყვის უნდა მჭეროდეს.

კრეუზა (წინ წამოდგება):

მამავ, რაც გსურდა, გამოჰკითხე სუყველაფერი?

არ ჩანს ჩამდენი ცუდი საქმის, ხომ მართალია?

მეფე: მაგასთან იქავ და უშიშრად გეჭიროს თავი.

კრეუზა: შენ ყოყმანობდი, მე აროდეს მიორჭოფნია,
გული მიგრძნობდა და გონება მიკარნახებდა,
რასაც ამბობდნენ, ეგ არ იყო იმის ჩამდენი.
ამგვარი კაცი ხელს გარევედა სისაძაგლეში?
რა საარაყო, სამარცხვინო ამბებს ყვებოდნენ,
რალას არ თხზავდნენ, არ როშავდნენ, თუ დამიჭერებ,
ბევრჭერ ავტირდი ადამიანთ გულცივობაზე,
რომლებიც არად დაგიღვევენ ცილისწამებას.
შენ არყოფნაში მითქმა-მოთქმა არ თავდებოდა,
საწარელ ამბებს არ უჩანდა თავი და ბოლო,
კოლხეთიდან კი როცა ცოლად ჩამოიყვანა
ათასნაირი საწამლაფის დამშაადებელი
ველური ქალი, მამის მკვლელი, შხამების მცოდნე,
არ მაგონდება, უცნაური სახელი ერქვა...

მეფე (ბავშვებიანად სცენაზე შემოვა):

მე გახლავარ, მედეა მქვია!

მეფე: მართლა ის არის?

ნაზონი (ყრუდ):

დიახ, ის არის.

კრეუზა (მამას აეკვრება):

შემწარავი ყოფილა მართლა!

მეფე (კრეუზას მიმართავს):

ძალიან ცდები, მამაჩემი მე არ მომიკლავს;

ძმის სიკვდილშიაც, ჰკითხე, ხელი თუ მირევია.

(იბზონზე მიათითებს).

რაც შეხება საწამლაფებს, ბევრი რამ ვიცი,

ვიცი, სიცოცხლე სულდგმულს როგორ გავუხანგრძლივო,

ბალახბულახით შეხერხება შხამის კეთებაც,

მაგრამ არა ვარ შემწარავი და კაცის მკვლელი.

კრეუზა: შიშის ზარსა მცემს, რომ ვუყურებ, შიშის ზარს, დიახ!

მეფე: ეგ არსება შენი ცოლია?

ნაზონი: ჩემი ცოლია!

მეფე: ის პატარები?

ნაზონი: საკუთარი შვილები გახლავთ.

მეფე: უბედური კაცი ყოფილხარ!

ნაზონი: უბედური ვარ... მოდით ბავშვებო, გაუწოდეთ

მეფეს რტოები და მოსთხოვეთ თავშესაფარი!

(ბავშვები მეფისკენ გადააბიჭებენ).

დიდო მეფეო, იმედეა, მათ არ გაწირავ!



ბიჭვი (მეფეს რტოს გაუწოდებს):

შომირთმევეა!

მეფე (ორივეს მოფერებით თავზე ხელებს დაადებს):

ბუდედანგრეულ ბარტყებივით საცოდავებო!

პრეუზა (ბავშვებთან მივა და ჩაცუცქდება):

ჩემკენ გამოსწით, უსამშობლოდ დაობლებულნო,
ძველმა ცოდვებმა თქვენც გიწიათ სიუმაწვილეში,
უბედურებო, ბეჩავებო, ალაღ-მართალნო.

პაწაწკინტელავ, ზულ მამა ხარ ზედგამოქრილი.
(პატარას ავოცებს).

ჩემთან იყავით, არსაით არ გაადგათ ფეხი,
დობას გაგიწევთ, დედობასაც არ დაგზარდებით.

მედეა: დაობლებულებს რად ეძახი, რატომ წუწუნებ?

აქ არის მათი ღვიძლი მამა, დედინაცვალი,
ხანამ მედეა ცოცხალია, არა სჭირდებათ!

(ბავშვებს მიმართავს):

აქეთ ბავშვებო, ჩემკენ მოდით!

პრეუზა (მამას შეაკქერდება):

როგორ მოვიქცე?

მეფე: დედა აქვია.

პრეუზა (ბავშვებს მიმართავს):

მიდით დედასთან!

მედეა: რატომ აყოვნებთ?

პრეუზა (კისერზე ხელებშემოხვეულ ბავშვებს ერთხელ კიდევ გაუმეორებს):

დედა გიძახით, მიდით მასთან!

(ბავშვები მიდიან).

იაზონი (მეფეს ეკითხება):

რა გადაწყვიტე?

მეფე: მე უკვე ვბრძანე.

იაზონი: მომეცემა თავშესაფარი?

მეფე: როგორც გითხარი.

იაზონი: ჩემიანებსაც მიეცემათ,

თუ მართო მე მქონდეს იმედი?

მეფე: მე ხომ გითხარი, შენა-მეთქი, შენიანებზე

თვით განსაზღვრე. შევასრულოთ წეს-ჩვეულება
და უკვე დროა, სასახლისკენ რომ გავეშუროთ.

იაზონი (წასვლას რომ დააპირებს, კრეუზას მიუბრუნდება):

ხელის თხოვნაზე, როგორც ერთ დროს, ხომ თანახმა ხარ?

პრეუზა: მჭერა, ხელიდან არ გაუშვებ მაშინდელივით.

მედეა: სუყველა მიდის, როგორც ვატყობ, მართო მტოვებენ,

მოდით, ბავშვებო, ჩამეკონეთ, მომხვიეთ ხელი!

პრეუზა (ირგვლივ მიმოიხედავს და თავიღთვის ჩაილაპარაკებს):

ერთი გვაკლია, იმან რად არ აგვიბა მხარი?

(უკან შემობრუნდება და მედეასგან შორიანლო გაჩერდება).

არც შეწირვაზე მოდიხარ და არც სასახლეში?

მედეა: მიუწვევებელი სულ ყოველთვის გარეთ რჩებიან.

პრეუზა: მამაჩემმა ხომ მოგიჩინათ თავშესაფარი

და დახმარების ხელი ყველას გამოგიწოდათ?

მედეა: სხვაგვარად უღერდა, წელან შენგან რაც მოვისმინე.

პრეუზა (რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მისკენ):

ვიცი, ნამდვილად გაწყენინე და ბოდიშს ვიხდი!

მედეა (გაფაციცებული შეტრიალდება):

დიდებულად უღერს! ვინ თქვა ასეთი სააღერსო,
გულთბილი სიტყვა? ბევრის თქმული საწყენად დამრჩა,
მაგრამ აროდეს, არავის არ მოსვლია აწრად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცითხა, მისმა ნაუბარმა შატკინა გული?
მადლობას ვიხდი ამიტომაც! თუ შენც ჩემსავით
შავ დღეში ხარ, ნება მიბოძე, კეთილის მსურველს
მეც სიკეთით გადაგიხადო. და იმას ვფიქრობ,
ნათელი მწერა, ტკბილი სიტყვა შემოგაგებო.
(სურს მკლავში ბელი წაავლოს, მაგრამ კრეულა შიშით უკან დაიწევს)
უკან რად იწევ, ხელით კი არ მოიწამლები.
მინდა იცოდე, მეც შენსავით მეფის შვილი ვარ,
ერთ დროს შენსავით მეც იოლად მიმჩნდა ვინმეს
წავკიდებოდი, შევბმოდო და შევტაკებოდი.
მინდა გახსოვდეს, მეც შენსავით მეფის შვილი ვარ
და თვალწინ მიდგას ნათელი და ამო დღეები,
დიდი ხნის წინათ ასე გვერდში ვუდექი მამას,
ჩემი ქვეყნის და ხალხის მიერ ღმერთად შერაცხილს.
ოი, კოლხეთო, ოი, ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
ბნელს გეძახიან, მაგრამ ჩემთვის სულ ნათელი ხარ!

კრეულა (მკლავში ხელს გამოსდებს):

ოი, საბრალოვ!

მეფე: რომ გიყურებ, რა ლამაზი ხარ,

ჯან-ღონით სავსე, მშვენიერი, სანდომიანი;
სანამ ადრეა, გაუფრთხილდი მაგ სილამაზეს!
თუ ერთხელ მაინც სწორ გზას აცდი, მორჩა, გათავდა.
მსუბუქი ნავით მდინარებას რახან გაჰყევი,
უვავილთა კონა შეგაჩერებს სანაპიროზე
და ვერცხლისფერი ტალღები რომ გაქანავებდა,
ერთხელ ხომ უნდა დამყუდროვდეს, ჩემო მენავევ?
მაგრამ ზღვა ისევ აღელდება, აბობოქრდება,
იმ ნაპირიდან ტალღები კვლავ გაგიტაცებენ
და ის ნაკადი გადაგკარგავს დასაკარგავში.
გაოცებული რად მიყურებ, რატომ ცახცახებ?
ერთ დროს მეც ეგრი ვკანკალებდი გაოგნებული,
ნეტავ მცოდნოდა, რა მინდოდა, რისთვის ვიღვწოდდი!
(კრეულას ყელზე გადაექდება).

კრეულა: შეხედე, მამავ, ველურს ცრემლი როდის ჩამოხდის?

მეფე: რაკი შორეულ ქვეყნიდან ვარ ჩამოყვანილი

და თქვენი მხარის ადათ-წესებს არ ვარ ჩვეული,
ნადველს შიმატებს სიძულვილი, ამოჩემება,
თითქოს ვიღაცა გაუთლელი, ველური ვიყო,
სხვა ხალხთა შორის უმდაბლესი და ნარჩიელა,
ვინც პირველ ქალად ვითვლებოდი ჩემს სამშობლოში.
როგორც გენებოთ, ყაბულსა ვარ, რასაც კი მეტყვით,
ოღონდ ვიცოდე, რა ვიღონო, როგორ მოვიქცე-
აღზრდაზე გატყობ, კარგი წნის და ხასიათის ხარ,
მაგრამ საკუთარ თავზე წრუნავ, თავს დასტრიალებ;
ღმერთმა სიკეთე დამამაძღლა, არ მიწყალობა,
ბევრი რამ მინდა შევისწავლო და შევითვისო.
შენ უკეთ იცი, მას რაც ხიბლავს და რაც ახარებს,
ნუ დაიწარებ, შემასწავლე, რათა იაზონს
მარად მოვწონდე, მადლიერი ვიქნები შენი.

კრეულა: მამავ, გვისმენდი, გაიგონე მისი ნათქვამი?

მეფე: წამოიყვანე ეგეც ჩვენთან!

კრეულა: ხომ თანახმა ხარ?

მეფე: შენ საითკენაც გამოიღვებო, უველგან მზადა ვარ,
ოღონდ როგორმე შეგვიკედლეთ მიტოვებულნი
და მამაშენის თვალთა მწერას გადამარჩინე!

(მეფეს მიმართავს):

მასეთნაირად რატომ მიმწერ, ვერ შემაშინებ,
თუმცა მაგ გულში ცუდი რამ გაქვს ჩაბუღებული,
ეგ ქალიშვილი, რომ იცოდე, ბევრად გჭობია!

პრემიუზა: რაღას დამდგარხარ, ნება დაგროსი თქვენც, პატარებო,
გადმოადგით ნაბიჯი ჩემკენ!

(მეფეს და ბავშვებს წინ გაუძღვება).

მეფე: მოისმინე მისი ნათქვამი?

იანონი: საკუთარ უპრით მოვისმინე სუყველაფერი.

მეფე: მერე ეგ ქალი ნუთუ ცოლად შეგეფერება?

ადრეც ვიცოდი, ხალხში იყო ხმა გავარდნილი,
მაგრამ არავის ვუჭერებდი, ახლა კი, როცა
საკუთარი თვალით დავრწმუნდი, ეგ ჭერ ცოტაა!

იანონი: მწვერვალს კი ხედავ, საფეხურებს კლდოსას ვერ ამჩნევ
და ისე გინდა რომ განსაზღვრო სუყველაფერი.

იქითკენ როცა გავემგზავრე, ძალა მერჩოდა,
რამდენი უცხო ზღვა გავცურე, საგმირო საქმეს
გაბედულად მოვკიდე ხელი, რაც ჩავიდინე,
აღამიანებს ვუმაღლი და ჭკუა-გონებას.

იმ ქვეყანაში სხვა ცხოვრება ვიხილე სულ მთლად,
თვალში საცემი არაა იყო საწმისის გარდა,
რომელიც ღამით, ვით ვარსკვლავი, ისე კაშკაშებს.

უკან წამოსვლას აღარავინ ფიქრობდა მაშინ,
მაგრამ როდესაც საგანძური ჩავიგდეთ ხელში,
ჩვენ ცხოვრებაში მეტი სწრაფვა არცა გვქონია.

ასე ავუბით მეგობრებმა ერთმანეთს მხარი,
ვმხიარულობდით, ვილხენდით და შვებასა ვგრძნობდით,
სად არ ვიყავით, მოვიარეთ ზღვა და ხმელეთი,

უკუნი ღამის ქარიშხალში მოყოლილები
ვაი-ვაგლახით დავუძვერით სიკვდილის კლანჭებს.
მიუხედავად ამნაირი გაჭირვებისა,

მაინც იოლად და სანუკვრად გვერვენებოდა,
თუმცა ბუნება მძვინვარებდა დაუზოგველად;
მასთან ცილობამ და ველურთა გზების ძიებამ

გამოგვაცალა ძალ-ღონე და ჩავვიკლა გრძნობა;
ერთიანობა დაირღვა და თითოეული
რასაც ფიქრობდა თავის ჭკუით, იმას იქმოდა;

შეუძლებელი შესაძლებლად გადაიქცა უცებ
და დავინახეთ საოცარი კოლხთა ქვეყანა.
ნეტავ გენახა, ნისლში როგორ გახვეულიყოს

იქ ღლე — ღამეა და ღამე კი თავზარდამცემი,
იქაურებიც ღამესავით ბნელნი არიან.
ექ შევეყარე, შესაზარად რომ გერვენება;

გარწმუნებ მეფევ, დამიჯერე, მზის იმ სხივს ჰგავდა,
სატუსაღოში რომ შვევა და გააქვს ციალი.
იმ გარემოში სხივებს ჰფენდა, აქ ჩანს უგვანი.

მეფე: როგორც სიცრუე არ იქცევა ჭეშმარიტებად,
ისე მახინჯი ღამაზმანად ვერ გარდიქმნება.

იანონი: გვაროვან ქალმა მე მომანდო თავისი გული
და იმ დღის შემდეგ გვერდიდან არ მომცილებია;

იმწამს შევატყვე თანაგრძნობა, დაუდგრომლობა,
თავისნათქვამაც იყო, მაგრამ, რადგანაც მისი
სიტყვა და ქცევა არაფერში ხელს არ მიშლიდა,

მიტომ უთქმელად ავიტანე სუყველაფერი.
მალე სულ თავგზა ამებნა და უგუნურებამ





ხელი დამრია, მეც აღმაგზნო, ამიყოლია,
 ყველა ბრძოლაში გვერდით მედგა და სიყვარულს
 უამს მგზავრობისას, მისი მიტომ გავინაწილე.
 ბედმა ის ქალი უნებლიედ წილად მარგუნა,
 მამამისი კი სულ ერთთავად წყევლას უთვლიდა.
 თუმც ჩემი ერქვა, არასოდეს არ მდომებია.
 მან გამიკვლია გზა საოცარ საწმისისაკენ,
 იგი შემიძღვა სახიფათო გამოკვებაბულში,
 სადაც ურჩხული დავამარცხე, ხელთ ვიგდე განძი.
 მას შემდეგ, თვალს რომ გავუსწორებ, ასე მგონია,
 თითქოს გველემშაპს შევცქეროდე და ტანში მბურძგლავს,
 როცა ვიძახი, იგი ჩემი ცოლია-მეთქი.
 გამოვემგზავრეთ, როგორც იქნა. მედეას ძმა იქ
 დაიღუპა.

მეფე (ნახიქრევად):

მითხარი, მაგის ხელით ხომ არა?

იასონი: ღვთის ნებით მოხდა. მოხუცმა მამამ წყევლა-კრულვა
 თან დაგვადევნა, როგორც ამბობენ, სისხლიანი
 ფრჩხილებით მერე საფლავი თვით გაითხარაო
 და ისე ჩაწვა გაციცხლებულ-ტვინამღვრეული.

მეფე: ძალიან ძვირად დაგჯდომია ეგ შეუღლება.

იასონი: მაგაზე უფრო უარესი შემდეგში მოხდა.

მეფე: ბიძაშენს რაღა დაემართა? გამაგებინე.

იასონი: უზენაესმა, სამშობლოში დაბრუნებამდე,
 გზაბნეულნი ზღვას და ხმელეთს შემოგვატარა.
 სულ მოველოდით ვიწრო ნავის დაწიანებას,
 ყოველ რყევაზე გული შიშით გვიქანდებოდა.
 ამგვარად, მოხდა მოხახდენი: ეგ ქალიშვილი
 ცოლად შევირთე.

მეფე: შინ რომ დაბრუნდი იოლქოსში
 და ბიძა ნახე, კიდევ რაშენს გადაეყარე?

იასონი: გავიდა ხანი, დრომ წაშალა მოგონებანი,
 ნახევრად ველურს გვერდით მახლდა სულ მთლად ველური
 და სიამაყით დავაბიჯე ჩემ მიწას ფეხი.
 ხსოვნას შემორჩა მოგუგუნე ხალხის ზეიმი
 და დღენიადაგ ვოცნებობდი, ვიმედოვნებდი,
 გაცილებას რომ ამნაირად მხიარულობდნენ,
 რა იქნებოდა, გამარჯვებულს რომ მიხილავდნენ.
 როცა ჩავედი, ჩამიჩუმე არსად ისმოდა,
 და ვინც მხვდებოდა, გამირბოდა, თვალს მარიდებდა.
 კოლხთა მიწაზე რაც ვიხილეთ და რაც გარდაგვხვდა,
 გულშემწარავი ქორითა თუ გამონაგონით
 გამოუჭედეს ადამის შვილთ ოხრად ყურები;
 მე გამირბოდნენ, ჩემი ცოლი ეზიზღებოდათ,
 და ვინაიდან ცოლი ერქვა, არად მაგდებდნენ.
 რაღა თქმა უნდა, ბიძაჩემიც ოინბაზობდა
 და როს მოვთხოვე მამაჩემის ნამემკვიდრები,
 სუყველაფერი ვერაგულად მიისაკუთრა,
 მაშინ მიმიხმო ბიძაჩემმა და განმიცხადა:
 ცოლს გაეყარე, რადგანაც ეგ ბნელი ზრახვები
 აზრად მაგას მოუვიდოდა და ჩემს ქვეყნიდან
 სადაც გინდა გადაკარგეო.

მეფე: მერე რა მქენი?

იასონი: რას ვიზამდი? ბოლოს და ბოლოს მეუღლე იყო;
 მზრუნველობა და მფარველობა არ მოვაკელი,

ბიძაჩემი კი სამუდამო მტრად გადამექცა.
სამართლიანი რამ რომ ეთქვა, დავთანხმდებოდი,
მაგრამ, რადგანაც ამგვარი რამ მოიწადინა,
მე მაშინვე უარი ვუთხარ.

მეფე: როგორ მოგექცა?

იანონი: მოკვეთილად გამომაცხადა და თან მიბრძანა,
იოლქოსიდან იმავე დღეს დავძრულიყავი.
მე არ ვისურვე გამგზავრება და იქვე დავრჩი.
უეცრად მეფე ავად გახდა. ელვის სისწრაფით
ქოედო ქალაქს და ჩურჩული ხალხშიც გავარდა.
საკურთხევლის წინ, მეფის საჯდომ ოთახში, სადაც
გასაოცარი ოქროს ვერძის ტყავი ეკიდა,
ყველა მნახველი დაუინებით აკვირდებოდა.
თურმე მალ-მალე წარმოთქვამდა, ნეტავ ჩემი ძმაც
მოსწრებოდაო, საწმისისთვის თვალი მოეკრა,
მამაჩემი კი ვერაგულად მოაკვლევინა,
როგორც ამბობენ, არგონავტთა გამგზავრებისას
ატენილი პაექრობისთვის, რადგან მიაჩნდა,
ოქროს საწმისის მოპოვებით გართული კაცი
იმ შორეული ქვეყნიდან ვერ დაბრუნდებოდა.
როდესაც მეფე განსაცდელში იმყოფებოდა,
ქალიშვილებმა მომაკითხეს დასახმარებლად,
ეგებ მედეას მკურნალობამ მოარჩინოსო.
უარი ვტკიცე, იგი უნდა გადამერჩინა,
ვინც ჩემიანთა ამოწყდომა მოიწადინა?
ატირებული გამეცალნენ ბიძაშვილები,
მე ვამჩობინე, უურადღება არ მიმექცია.
ხელმეორედ რომ კარს მომადგნენ ხვეწნა-მუდარით,
ისევ უარი მოვახსენე და გავისტუმრე!
ლოგინში ჩავწექ, და ის იყო, ჩამძინებოდა,
რომ ეწოს კართან შემომესმა კაცის ძახილი:
ავწნე ბიძიას ვაჟი გახლდათ, აკასტო ერქვა,
ლანძღვა-გინებით ბინის კარი შემომიმტვრია,
მკვლელი ხარ, მკვლელი, მამაჩემი შენ მოჰკალიო,
მამამისი კი თურმე ღამით გარდაცვლილიყო.
უცებ წამოვდექ და ვეცადე სიტყვა დამეძრა,
ხალხის ღრიალში კი ჩაინთქა ჩემი ნათქვამი.
გაჩაღდა ბრძოლა, წამოვიდა წვიმასებრ ღორღი,
ვიშიშვლე ხმალი, ძლივძლივობით გამოვასწარი.
მას შემდეგ ასე ვეხეტები ელადის გზებზე,
მშობელ ხალხისგან შერისხული, უარყოფილი,
მრავალტანჯული, დევნილი და გაწამებული.
მთლად ნუ გამრიყავ წყალწალღებულს, ნუ მიმატოვებ!

მეფე: რასაც შეგპირდი, შეგისრულებ კიდევ ბოლომდის,
მაგრამ იმას რა მოვუხერხო?

იანონი: დიდო მეფეო!
სანამ სიტყვას დაასრულებდე, მომაპყარ უური
ან ორივენი შეგვიკედლე, ანდა არცერთი;
წინასწარ ვიცი, განახლდება ჩემი ცხოვრება,
იქნებ რაიმე მოვუხერხო დაკარგულ ნდობას.

მეფე: მაგის უნარი მაშინებს და მაფიქრიანებს,
ქალაუფლების საზიანოდ სურვილიც კმარა,
დანაშაული, რაშიაც მას ბრალი მიუძღვის,
არც უცხოა და არც ბოროტი რამ საქციელი.

იანონი: თუ არ დამშვიდდა, გააძვევ, გზას გაუყენე,



ეგვიც მოკალი და უველანი თან მიგვაყოლე,
 ოღონდ მანამდე ნუ მოუსპობ საშუალებას,
 აცალე, ხალხში იტრიალოს და ისულდგმულოს.
 ზევსს ვევედრები, ერთ რამეს ვთხოვ უცხოთა მფარველს,
 სტუმარ-მასპინძლის წესიც აღბათ ამას მოითხოვს,
 ჩვენმა მამებმა და პაპებმა დიდი ხნის წინათ
 იოლკოსსა და კორინთოში განჭვრიტეს ჩვენი
 მომავლის ბედი. დამაიმედე, რაც არ უნდა
 შეგემთხვას, მაინც უკეთურად არ მოგვექცევი.



ლმერტებს მივანდობ, ჩემს გონებას არ დავჭერდები.
 დარჩეს, ოღონდაც შეიცვალოს, გადასხვაფერდეს,
 უჭობს, თავიდან ამოიგდოს ძველი აზრები,
 არა და ჩემი ქალაქიდან უხმოდ განვდეგნი.
 ამ ადგილს, სადაც სულ პირველად მე შენ გიბილე,
 აღმართავ წმინდა საკურთხეველს სამარადუამოდ.
 შემომიწირავს შენთვის ზევსო, უცხოთ მფარველო,
 სიხბლის მოყვარულ პელიასსაც მიაგოს ღმერთმა.
 მის ჭერქვეშ ღმერთებს ერთობლივად შევთხოვოთ უველამ,
 რომ შესასვლელი დამილოცონ ჩემი ბინისა.
 ვინც ცუდს გვიქადის, მოწყალებით მოვიხსენიოთ.
 მაშ, მოემზადეთ სახაბლეში გასამგზავრებლად!
 (ამაღის წევრებს მიმართავს, რომლებიც თანდათან უახლოვდებიან):
 თქვენ კი მხლებლებო, რაც გიბრძანეთ, ის შეასრულეთ!
 (წასასვლელად რომ ემზადებიან, ამასობაში ფარდაც ეშვება).

□



პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახინაშვილმა

მედეა

მეორე მოქმედება

კრეონის სასახლე კორინთოს სამეფო ციხესიმაგრეში. კრეუზა ზის, მედეა მის წინ დაბალ სკამზეა ჩამომჯდარი და ხელში ქნარი უჭირავს; აცვია ბერძნული ტანსაცმელი.

კრეუზა: ჯერ პირველ სიმზე ჩამოქარი!

მედეა: ასეთნაირად?

კრეუზა: არა, თითები თავისუფლად აამოძრავე.

მედეა: არ შემოძლია.

კრეუზა: მოინდომე და დაუკარი.

მედეა: ვინდომებ, მაგრამ, როგორც ვატყობ, არ შემოძლია.

(ქნარს გვერდზე გადადებს და წამოდგება).

მხოლოდ შუბზე მაქვს შეჩვეული ჩემი მარჯვენა.

ნადირობაში, სიტლანქეში კარგად მადგება.

(მარჯვენა ხელს თვალებთან ახლოს მიიტანს).

შავ დღეს დავაყრი მე ამ თითებს, შავ დღეს დავაყრი!

კრეუზა: ნეტარებას მგერის, როგორც უნდა ცუდად დაუკრა, რომ ამ სიმღერას იაზონზე უკეთ იმღერებ.

მედეა: ეგრე იქნება, მართალს ამბობ, ეგრე იქნება.

მაგაზე კი არ მიფიქრია ერთხელაც ვცადო!

გაეხარდებო? ნუთუ, მართლა გაეხარდებო?

კრეუზა: რაღა თქმა უნდა, ბავშვობაში, აქ რომ ცხოვრობდა,

ყოველ ცისმარ დღეს მაგ სიმღერას დაჰლილინებდა,

როს მოვისმენდი, სიხარულით წამოვხტებოდი,

რადგანაც ბავშვი უმღეროდა შინ დაბრუნებას.

მედეა: რანაირად ეღერს ეგ სიმღერა?

კრეუზა: აბა, მისმინე.

პატარაა და არცთუ ისე მთლად მოსაწონი,

მაგრამ შეეძლო გულიანად ემღერა მუდამ

ასე მგზნებარედ, უშუალოდ და დამცინავად:

ოი, ღმერთებო,

დიდო ღმერთებო!

მინდა ვიყო

მორქმული და

მირონცხებული,

მამაკაცები

რომ დავჯაბნო

და დავიპურო
ლამაზმანები.



მედეა: შესაფერისი სიმღერაა!

პრეუზა: შესაფერისი?

მედეა: შინაარსიც ზედგამოჭრილი.

პრეუზა: რის შინაარსი?

მედეა: მამაკაცები რომ დაჯაბნოს
და დავიპუროს ლამაზმანები.

პრეუზა: მართალი გითხრა, მაგაზე არც დავფიქრებულვარ.

მე იმნაირად წავიმღერე, რომ მიმებაძა.

მედეა: ასე ამაყად იდგა იგი კოლხთა მიწაზე;
კაცებს თვალეზი მორიდებით ძირს დაეხარათ,
მან კი ურჩ მწერით გულში ცეცხლი ამიბრიალა;
შინიდან ჩუმად გავიპარე, მას ვანდე ბედი,
სანამ გულებში გვიღვიოდა მძვინვარე ცეცხლი,
მანამ სუხველას გავურბოდით, ვემალებოდით;
როცა ის ცეცხლი მინაელდა და ბოლიდა დარჩა,
მაშინ დაირღვა სიმშვიდე და უშფოთველობა.
ასეთნაირად მიმზიდველი და ძალოვანი,
გმირი თუ ღმერთი იწიდავდა და იწიდავდა,
მიიზიდა და შეიწირა მსხვერპლი ბოლომდე;
ერთ მშვენიერ დღეს ჩვეულებრივ მოიმწყვანილა,
ისე რომ შველა აღარავის არ შეუძლია.

პრეუზა: ცოლი არა ხარ, რატომ ამბობ შენი ქმრის აუგს?

მედეა: მე აღბათ შენზე უკეთ ვიცნობ თავით ფეხამდე.
მარტო ეგ არის მოვლენილი მთელ დუნიაზე,
სხვები უბრალო მოკვდავები არიან მხოლოდ.
უგრძნობელია და თავნება; საკუთარ და სხვის
ბედნიერებას ერთნაირად ეთამაშება.
დიდებისათვის, ვისაც გინდა, მას გაიმეტებს,
ცოლი თუ უნდა, უყოყმანოდ მიადწევს მიზანს,
უველა საქმეში ჩაერევა ავად თუ კარგად!
სამართლიანი, ვინც მას უნდა, მხოლოდ ის არის.
მე აღბათ შენზე უკეთ ვიცნობ თავით ფეხამდე
და ამჟამადაც მასზე ვფიქრობ, რაც უკვე მოხდა;
მაგის ცხედარი რომ მაჩვენა, გავიცინებდი.

პრეუზა: კარგად იყავი!

მედეა: მიდიხარ უკვე?

პრეუზა: აბა, კიდევ დიდხანს გისმინო?
დიდო ღმერთებო! ცოლი ქმარზე
ამდენს უნდა ლაპარაკობდეს?

მედეა: მაგნაირ ქმარზე დიახ, უნდა ილაპარაკო!

პრეუზა: ღვთის და ცის მადლმა, ვაღიარებ, ქმარი რომ მყავდეს,
ისეთი ავუნე, უკეთური, როგორც შენია,
მისგან — ბავშვები, ნამეტნავად — მამაილები,
რომ მოვეკალი, მაინც გულით მიუვარებოდნენ.

მედეა: თქმა ადვილია, ასრულება კი უძნელესი.

პრეუზა: ის სიტყვო აღარ ექნებოდა იოლ ცხოვრებას.
ისე მოიქეც, როგორც შენი გული გპარნახობს.
მესიამოვნა ტყბილი სიტყვა ჩემზე ნათქვამი,
ახლა კი წავალ. გამოვტყუდები, შენს ნაუბარში
შეურაცხყოფაც, სიძულვილიც ამოვიკითხე.
ბევრი სიავე შევამჩნიე ადამიანებს,
თუმც ვაებათა ვაებაა შურისძიება.



გეშვიდობები და გისურვებ, უკეთესი რომ იყო ქვეყნად.

მედეა: ხომ არ ბრავდები?

პრეუზა: ვერ დაგიმალავ.

მედეა: არსად წახვიდე, ჩემთან დარჩი, უარს ნუ შეტყუი, ნუ მიმატოვებ, შენ იყავი ჩემი მფარველი!

პრეუზა: ამნაირ სათნოს სიძულვილით სავსე გაქვს გული.

მედეა: შე მოძულე ვარ, იაზონი კი მოყვარული.

პრეუზა: ახლა მითხარი, გამომიტყუდი, მეუღლე გიყვარს?

მედეა: რომ არ მიყვარდეს, მაშინ აქ ხომ არ ვიქნებოდი?

პრეუზა: შეც ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერი ვერ გამიგია.

თუ გეყვარება, შენთვის მუდამ კარგი ვიქნები და გავიხარებ ოქახური კეთილდღეობით, მაგრამ ხომ იცი რა ზნისაა, რა ხასიათის, ვით ქარისაგან გახაფანტი შავი ღრუბელი. რა საქმეც უნდა ჩაიდინოს, ნუ ჩავერევით. დილით შევნიშნე, თავ-პირი რომ ჩამოსტიროდა; საკმარისია, ის სიმღერა უმღერო ერთხელ, გულზე შალამოდ მოეცხება, იმწამს შეატყობ. ქნარიც აქვეა. როგორც ძაღვიც, ისე იმღერე. (ჩამოჯდება).

გადმოდგი ფეხი, რალად დგახარ, რატომ აუოვნებ?

მედეა: ჭერ შეგაცქერდი, დაგაკვირდი, აგხედ-დაგხედე, მართალი გითხრა, ვერ გავძები შენი უურებით, ეგრე ლამაზი, მოხდენილი სულით და ხორციით, შეურეველი, მშვენიერი და გულკეთილი. თეთრი მტრედით დაქარქარებ და დანავარდობ, ისე ნარნარად გაგიშლია ეგ ფართო ფრთები, ბუმბულიც კი არ გენამება ცხოვრების ულარტში, რასაც ბრძოლითაც კი ვერ ვაღწევთ და ვერ ვახერხებთ. გამოასხივე აბა ერთხელ შუბლგახსნილ ციდან და ჩემ დაკოდელ გულში ისე ჩამოიხედე, სადაც წერია: ზიზლი, ურვა, უბედურება; უცებ წაშალე. პო, წაშალე მაგ სათუთ ხელით და წმინდა სახით სადაც გინდა მოიკალათე. უღრეკელობა, ბავშვობაში რომ ვაშაუობდი, ბრძოლაში გაცვდა, გადამექცა უილაქობად. ჩემგან ერთი რამ დაისწავლე, დაიმახსოვრე: მაგარ საქმეებს სულ ბეჩავნი ატრიალებენ. (დაჯდება კრეუზას ფეხებთან დაბალ სკამზე). აქ ჩამოვჯდები, შენ მუხლებთან ჩავიმალეები, და შემოგჩივლებ, სიძლიერემ რაც მომიტანა; უნდა ვიცოდე, რა ვაკეთო, რა არ ვაკეთო. რახან ქალი ვარ, კიდევ უნდა მოგემსახურო, უნდა ვქსოვო და სხვა ქალური საქმეც ვიღონო, საქსოვ დაზგაზეც ვიმუშავო, რომ გავიწაფო, თუმცა აბუჩად ამიგდებენ ჩვენებურები, მაშ მოახლენი რალად გვინდა და შინაუშები, თუ ქალებიც და ქალბატონიც საქმიანობენ; არ დაივიწყო, მამაჩემი კოლხთა მეფეა, არ დაივიწყო, ღმერთი ჩემი წინაპარია, არ დაივიწყო, რაც მოხდა და რაც გვემუქრება... (წამოდგება და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს). გეუბნები, არ დაივიწყო.



- კრეშუა: (ისიც წამოღგება):
რად მეღავები?
წარსულში თუკი უამური რამე მომხდარა,
ღმერთსაც და კაცსაც ავიწყდება ხულ ერთიანად.
- მეღეა (პირს ყურთან მიუტანს):
ასე გგონია? რა კარგია, მეც რომ მეგონოს!
(შემოდის იაზონი).
- კრეშუა (მიხვეწს შეტრიალდება):
შენი მეუღლე აი, აქ დგას. ჩვენ დავმეგობრდით!
- იაზონი: კარგია, კარგი.
- მეღეა: მომესალმე, რას შემართლები?
იგი ძალიან კეთილია, გულიხსმეირი;
მე მეგობრად და მასწავლებლად გამომადგება.
- იაზონი: წარმატება მისურვებია!
- კრეშუა: რამ ჩაგაფიქრა?
ძალიან კარგად ვიცხოვრებთ და ვიმხიარულებთ.
მოვალეობა იაზონს და მამაჩემს შორის,
მე, ჩემდა თავად, მოვიფიქრე. გავანაწილე,
შენ და მეღეამ კი...
- იაზონი: მეღეა!
- მეღეა: რას მიბრძანებ, ჩემო მეუღლე?
- იაზონი: ბავშვები როგორ იქცევიან, მოინახულე?
- მეღეა: მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი.
ხალისიანად მომეჩვენენ.
- იაზონი: კიდევ ერთხელ შეგველო თვალი!
- მეღეა: ახლაბან ვიყავ.
- იაზონი: ერთხელაც-მეთქი, ვის ვეუბნები!
- მეღეა: რაკი ეგრე გსურს.
- იაზონი: დიახ, ეგრე მსურს.
- მეღეა: რადგან მასეა, კეთილი წავალ.
(გაღის).
- კრეშუა: რატომ გაგზავნე? ძალიანაც კარგი ქალია!
- იაზონი: შინდა როგორმე თავისუფლად ამოვისუნთქო!
მაგისი მწერა ხელ-ფეხს მიკრავს, მაფორიაქებს
და ერთხელ კიდევ გაუუჩებულ ტკივილს მახსენებს.
- კრეშუა: ო, ეს რა მესმის, მართლმსაჯულო დიდო ღმერთებო?!
ეს ასე აშბობს, ისიც ასე ლაპარაკობდა.
მაშ ვინ თქვა, ცოლ-ქმარს ერთმანეთი უნდა უყვარდით?
- იაზონი: რალა თქმა უნდა, ცხოვრებაში დგება ის უამი,
როცა ჭაბუკმა ქალწულს თვალი უნდა შეავლოს
და ღვთის წყალობით ახრულდება მათი წადილი.
~~ფარულად უკრებს, უიფლებლად და აყვარდება,~~
თვალს რომ შეასწრებს, მის სიხარულს არ აქვს საზღვარი.
დაუფიქრებლად დედ-მამასთან გაჩნდება უმაღ,
სათქმელს გაანდობს და ისინი „მოს“ რომ ეტყვიან,
გაიმართება ზარ-ზეიმი, ნათესავები
საიდან აღარ ჩამოდიან, მთელი ქალაქი
წვეულებაში, ღრეობაში მონაწილეობს.
ნეფე-ბატონი საქორწინო გვირგვინით შემკულ
დედოფალს წმინდა ტაძრისაკენ გზას შესთავაზებს
და უვავილებით საკურთხეველს მიადგებიან.
გაწითლებულთ და სასიკეთოდ აკანკალებულთ
აუხრულდებათ სანუკვარი გულის წადილი.
როგორც წესია, მამა მერე ნეფე-დედოფალს



ჩერ ხელს ჩაბკიდებს და შემდეგ კი გულით დალოცავს.
 ვინც ამნაირად ქორწინდება, უყვართ ერთურთი.
 მეც მსურდა ასე მომხდარიყო, მაგრამ ამაოდ.
 თქვენ კი, ღმერთებო, ვისი ხელი მარგუნეთ წილად,
 უღარიბესის, რომ მეძებნა თავშესაფარი
 და არა იშის, თავზე გვირგვინს ვინც დამადგამდა.

პრეპუზა: ისე არ მოხდა, როგორც სხვები ქორწინდებიან?
 არ წარმოუთქვამს მამას თქვენი ლოცვა-კურთხევა?

იანონი: მანაც აღმართა მკლავი, მაგრამ იმ მარჯვენაში
 ხმალი ეჭირა და ლოცვის ნაცვლად წყევლა-კრულვა
 შემოგვითვალა, თუმცა უკანვე დავუბრუნე;
 ვაჟი მოუკვდა, თვით სიცოცხლეს გამოესალმა,
 წყევლალა დარჩა, რაც ორივეს თან დაგვაღვენა.

პრეპუზა: რარიგად გინდა, განვლილ წლებს რომ ფერი უცვალოს
 რა ქველი იყავ და რა მკვახე გამხდარხარ ახლა.
 მე რაც ვიყავი, იგივე ვარ, სულ არ შევცვლილვარ,
 რაც მაშინ მსურდა, ახლაც ისევ ის სურვილი მაქვს,
 რაც ამო იყო, საამური მგონია დღესაც,
 დასაგმობი კი ამჟამადაც დასაგმობია,
 შენ, როგორც ვატყობ, გარდაქმნილხარ.

იანონი: დიახ, ეგრეთა
 მეტილა გინდა ქვეყანაზე უბედურება,
 იშვიათად, რომ წმინდა კაციც სპეტაკი დარჩეს.
 აქ უნდა საქმეს წინ წაუძღვე, იქ დაბეჩავდე,
 სამართლის ძალა აამაღლო, ააღორძინო,
 იქ რომ ვერაფერს მიაღწევდი, აქ მიაღწიო,
 რადგან ამ მიწანს სხვა ესწრაფვის მომარჯვებული.
 პატივისცემა რომ დაირღვა დედამიწაზე,
 ნუგეშად დაგვრჩა ერთადერთი — პატივისცემა.
 მე ცუდი საქმე არაფერი ჩამიდენია,
 ოღონდაც ბევრი მოვისურვე, მოვიწადინე.
 სხვა რას იქმნოდა, მე უჩუმრად ვაკვირდებოდი;
 უკეთურებას აწუდებოდნენ და არ ფიქრობდნენ,
 რომ თვითვე იყვნენ ბოროტების თესლის მთესველნი.
 მე ამჟამადაც ბოროტების აღმურთან ვდგავარ
 და ვერას ვიტყვი, მასში წვლილი არ მიძევს-მეთქი.
 ო, სიჭაბუკე, რატომ არ ხარ მარადიული!
 ოი, ოცნებავ, სანეტარო თავდავიწყებავ,
 აკვნის რწმევიდან სამარემდე წამი ხარ მხოლოდ.
 უცებ გავყვები მოგზაური უგრძეს მდინარეს
 და ძლიერ მკერდით გავუმკლავდი მოვარდნილ ტალღებს.
 თანდათანობით გვემატება დღეები, წლები,
 ქრება ოცნება და ამაო, ფუჭი სიცხადე
 შემოგვაპარებს როგორღაც თავს და ჩაგვაფიქრებს.
 ამგვარად აწმყო აღარ არის ზე ნაყოფისა,
 რომ ჩაიძირო მისი ჩრდილას მყუდროებაში,
 ის მიუწვდომელ, მიუკარებ მარცვლად იქცევა,
 რაკილა რგავენ, მომავალში რომ გაიხაროს.
 სად უნდა იყო, სად იცხოვრო და რა აკეთო,
 თვით რა დადგები და როგორი ცოლი შეგბვდებოდა,
 ბავშვი როგორი გაიზრდებოდა, რა ბედი ელის,
 დასაბამიდან ეს გვაფიქრებს და ეს გვაწუხებს.
 (ჩამოაჭდება).

პრეპუზა: რატომღა ფიქრობ, როცა უკვე იზრუნეს შენზე?



ნაზონი: კარსმოდგარ გლახას ნარჩენებს რომ გაუწოდებენ, ეგ არის ზრუნვა? რადგანაც მე იაზონი ვარ, ცოტა სხვანაირ მზრუნველობას ხომ არ მოვიტხოვ? როცა მაგიდას მივუჭდები უცხოად, ასეა: ფეხები უნდა დავაღაგო, როგორც წესია, ბავშვებთან ერთად დავიძინო, რათა უცხოთა თანაგრძნობა გამოვიწვიო? რაკილა მამა ხელმწიფე მყავდა, მისი შვილი იგივე არ ვარ? ვინ არის ქვეყნად იაზონს რომ შეედრებოდეს? (წამოდგება).

ერთხელ ვიყავი მოყაყანე ბაზართან ახლოს, თქვენი ქალაქის ფართო ქუჩას მივუყვებოდი. და იცი, როგორ შნოიანად მივაბიჯებდი, თითქოს იმწუთას არგონავტებს გავშორებოდი, ნუთუ იმიტომ, შენთან მსურდა დამშვიდობება? იმ ხალხის ზღვაში ტალღებივით. აურზაურით მოისწრაფოდნენ ოთხთვალეები, მარდი ცხენები. სახურავებზე და კოშკებზე ტევა არ იყო, თითქოს რაიმე განძს იყოფდნენ ორომტრიალში. ციმბალზე დაკვრა მოიხმოდა ყოველი მხრიდან და იმ ხმაურში საამური შეძახილები. ჭგუფ-ჭგუფად იდგა თავმოყრილი სვიანი ხალხი, მდიდრულად მორთულ-მოკაზმული და სხივნათელი თითქოს ხელმწიფეს, დიდგვაროვანს ანდა გმირთა გმირს სიყვარულით და მოწიწებით ეგებებოდა... ის დედაბურჯი მე ვიყავი, ვისაც ისინი ურიაბულით და ზარ-ზეიმით ესალმებოდნენ... ახლა, როდესაც იმ ქუჩაზე კვლავ ჩავიარე, არც ვინმეს სიტყვა წარმოუთქვამს, შემოუხედავს და არც არავინ ძველებურად მომხალმობია. ჩემ გარშემო კი ვინც იდგა და მაკვირდებოდა, ალბათ ფიქრობდა, შუაში რას დაუუდებულა, ცუდი ადათის კაცი, უველას ხელს რომ უშლისო.

კრეუზა: შენ შეგიძლია დაიბრუნო ძველი დიდება.

ნაზონი: მორჩა, გათავდა, ვერასოდეს ვერ ვეღირსები.

კრეუზა: მე ხერხს გასწავლი და უველაფერს მიაღწევ, მჭერა.

ნაზონი: ხერხი კი ვიცი, მაგრამ გვერდში ამომიდგები?

მამ ისე ჰქენი, რომ სამშობლო არ მივატოვო, რომ კორინთოში შენთან დავრჩე სამარადუამოდ; კოლხთა მიწაზე ხაწმისი არც შემომჩნევია, მე არც მინახავს, მხოლოდ ცოლმა შეავლო თვალი. მამ მოახერხე, რომ შედეამ თავის დაწყვეტილ სამშობლოსკენ იბრუნოს პირი, მოგონებებიც თან წაიღოს, აი, მაშინ კი, ადამიანთა შორის მყოფი ადამიანად გარდავიქმნები.

კრეუზა: ეგ არის მხოლოდ? მე სრულიად სხვა ხერხი ვიცი: გონება დინჯი უნდა გქონდეს, გული — ხალასი.

ნაზონი: მადლს ვინ იზამს და მაგ სიკეთეს ვინ შემასწავლის?

კრეუზა: ღმერთებს ვინც უნდათ, თვით ისინი ამწყალოებენ.

ერთხელ მოგმადლეს, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს.

ნაზონი: ხანდახან მაინც გაგონდება ჩვენი ბავშვობა?

კრეუზა: წარამარა და დიდ სიხარულს მანიჭებს მუდამ.

ნაზონი: ერთი სული და გული გვქონდა, რომ მახსენდებოდა.



პრეზუზა: მართლაც რა ტკბილად ვეპყრობოდით ერთმეორეს.
გახსოვს, ჩაფხუტი ერთხელ თავზე რომ ჩამოვიმხე?

ნაზონი: როგორ არ მახსოვს, თვალწინ მიდგას, დიდი იყო და
მოქროსფერო კულულებზე გეჭირა ხელით.
ვამ, რა დრო იყო! დიდებული, არა, კრეუზა?

პრეზუზა: ჩვენი დანახვით მამაჩემი როგორ ხარობდა?
სიძე-პატარძალს რომ გვეძახდა ხუმრობით, გახსოვს?

ნაზონი: არაა მოვა თავისთავად.

პრეზუზა: ამჯერად მოვა,
თუ მოვიფიქრებთ; მარტოკაცი როგორ გასწვდება?
ამიტომ თავებს მხიარულად ნუ მოვაჩვენებთ!
(მეღეა ბრუნდება).

მეღეა: პატარებს უკვე მოვუარე.

ნაზონი: კარგად გიქნია.
(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს).
უმაწვილკაცობის სიხალისევ, გაუხუნარო,
მოგონებებში ჩაძირულს და უჩინარო,
შენ მოგაკითხე, გაგიხსენე, გავინავარდე,
ბავშვობის ნათელს დავეწაფე დახარბებული
და ცივ წყაროთი გავიგრილე შუბლი და მკერდი.
ორთვალა ეტლით ბაწრისაკენ გავწიე ერთხელ,
მარდი მერანი შემეფეთა უეცრად გზაში,
თითო მუშტი რომ ვუთავაზეთ მე და მხედარმა
ერთმეორეს, იქ იდექი გაბრაზებული
და გვიუბრები გამწყრალი და შეშინებული.
ჩემი გულისთვის უველასთვის მტრად გადაქცეული.
ტაძარში ორნი ვლოცულობდით მუხლმოდრეკილი,
იქ, ისე მოხდა, ერთმანეთი გადაგვაფიწყდა
და მაღალ ღმერთებს შევევედრეთ, ორი მკერდიდან
ერთად ექცია ორი გული ერთსულოვანი.

პრეზუზა: სუუველაფერი რარიგ კარგად დაგხსომებია?

ნაზონი: იმ სიტკბობას მე ვისრუტავ სულ ერთიანად.

მეღეა: (უჩუმრად მიდის და იქვე ახლოს დადებულ ქნარს აიღებს).
მინდა, იაზონ, რომ გიმღერო ერთი სიმღერა!

ნაზონი: ის ციხე-კოშკი, ზღვის ნაპირას, გახსოვს თუ არა,
მამის გვერდით რომ იდექი და მწარედ მოთქვამდი,
როცა მე ნავი მოვამზადე გასამგზავრებლად?
შენი ცრემლები სრულებითაც არად ჩავაგდე,
რადგანაც ჩემს გულს სულ სხვა რამე ამოძრავებდა.
დაბბერა ქარმა, გამოგტაცა თავსაბურველი,
მოულოდნელად ზღვის ტალღებში გადაუძახა,
მაგრამ მაშინვე გადავხტი და ამოგიტანე.

პრეზუზა: ახლაც აქა გაქვს?

ნაზონი: აბა დაფიქრდი, რამდენმა დრომ
განვლო მას შემდეგ და ქარმა თან გაიყოლია.

მეღეა: იაზონ, მინდა, რომ გიმღერო ერთი სიმღერა.

ნაზონი: შენ მომძახე: ჩემო ძმაო, კარგად იყავო!

პრეზუზა: ახლაც გეტყვი: გამარჯვებული იყავი, ძმაო!

მეღეა: იაზონ, მინდა, რომ გიმღერო ერთი სიმღერა.

პრეზუზა: სიმღერა იცის, ბავშვობაში შენ რომ მღეროდი,
უური დაუგდე, ის სიმღერა უნდა გიმღეროს.

ნაზონი: მას ახე! ნეტავ, სად ვიყავი გადაკარგული?
ასეთნაირად ვიცი რამის აკვიატება:

სიუმაწვილის დრო დამცინის და მამასხარავებს,
ზმანება ზოგჯერ მსიაზოვნებს, მაგრამ ცლაქლაქებ,
რაც არ ყოფილა და მერმისშიც რომ არ იქნება.
როგორც ქაბუკი მომავალზე ოცნებობს მარად,
ისე სულდგმულობს მამაკაცი თავის წარსულით.
აწმუომ არ იცის, ნაღდ ცხოვრებით თუ ცხოვრობს ვინმე
ჰო, ამუამადაც უძლეველი გმირი ვიყავი,
ლამაზი ცოლიც გვერდით მედგა და ოქროც მქონდა,
მამულ-დედულში კი ჩემს ბავშვებს ეძინათ ტკბილად.
(მედვის ახლალა მიაქცევს უტრადლებას):
რაო, რა გინდა?



პრეშუზა: სიმღერა უნდა, რომ გიმღეროს,
ქაბუკობისას რომ მღეროდნო ჩვენში ყოფნისას.

იანონი: ისეთნაირად შეგიძლია?

მედია: უნდა ვეცადო.

იანონი: ნუთუ შენ ერთი ქეციანი სიმღერით გინდა,
მე უმაწვილობა დამიბრუნო, შენ კი სიკეთე?
თავი ანებე. ერთმანეთი დავაშოშმინოთ,
ის გვირჩევნია, რადგან ერთხელ უკვე ვიწვნიეთ.
ჰო, არც სიმღერა, არც იგეთი რაღაცეები!

პრეშუზა: დაე, იმღეროს. გაიტანჯა, რომ შეესწავლა.
ქანცი გაუწუდა.

იანონი: მაშ იმღერე, ჭანი გავარდეს!

პრეშუზა: მეორე სიმზე ჩამოშკარი.

მედია (შუბლზე ხელს იტყვეს):
დამვიწუებია.

იანონი: მე ხომ ვითხარი, არაფერი გამოვა-მეთქი!
სხვა საკრავზეა შეჩვეული მაგის მარტვენა,
ურჩხულს უმღერა ჭადოქრულად და ჩააძინა.
სხვაგვარად უღერდა, ვიდრე შენი ტკბილი სიმღერა.

პრეშუზა (ჩასჩურჩულებს):
ოი, ღმერთებო,
დიდო ღმერთებო...

მედია (აპყვება):
ოი, ღმერთებო...
დიდო ღმერთებო, მკაცრებო და სამართლიანო!
(ქნარი ხელიდან გაუვარდება და ხელებს ცრემლიან თვალებზე მიიფარებს).

პრეშუზა: შეხედე, ტირის. რა ჭიუტი და ველური ხარ.

იანონი (შეაჩერებს):
შენ, როგორც გატყობ, ჩვენი არა გაგვიგება რა!
ღმერთების ხელი ურევია, რასაც იგი გრძნობს,
სისხლიან ხელებს აფათურებს თუ ასამარებს.
შენ მეუფეთა სამართალში ნუ ჩაერევი!
აბა გეხილა გველეშაპის ბუდეში მაშინ,
ვეება ურჩხულს რარიგად არ ეპუებოდა,
შხამიან ენას საზარლად რომ ამოძრავებდა,
მოიმარჯვა და ხერხიანად სტყორცნა ბოძალი,
აუღვარებულ თვალებიდან სულ ცეცხლს აფრქვევდა,
სიკვდილის შიში ჩადგომოდა იმავ თვალებში,
ამიტომ გული დაიოკე და გამოაწრთე.
აიღე ქნარი, შენ მიმღერე მე ის სიმღერა,
არ აბოგინო, დაიფრინე ბოროტი სული,



- რაცა ხანია, რომელიც მე მალჩობს, მაწამებს,
შენ შეგიძლია მოახერხო, სხვას არვის ძალუძს.
- კრეუზა:** ვიმღერებ დიდი სიამოვნებით.
(სურს ქნარს დასწვდეს).
- მედეა** (მკლავში ხელს წაავლებს და შეაჩერებს):
ხელი მაგას!
(მეორე ხელით თვითონ იღებს ქნარს).
- კრეუზა:** რახან ეგრეა, შენ იმღერე, კეთილი.
- მედეა:** არა!
- იანონი:** ქნარს არ ანებებ?
- მედეა:** არა.
- იანონი:** არც მე დამანებებ?
- მედეა:** არა!
- იანონი** (მიუახლოვდება და ქნარს წაეტანება):
მაშინ ძალით უნდა ვეცადო.
- მედეა** (ადგილიდანაც არ დაიძვრება და ქნარს თავისკენ ეწევა):
ტყუილად ცდილობ.
- იანონი** (თავისკენ დაქაჩავს):
მომეცი-მეთქი!
- მედეა** (არ უთმობს, თავისკენ ქაჩავს, რაც შეუძლია, ქნარი გატყდება):
ა, შეხედე, ორად გაიპო!
(დამსხვრეულ ქნარს კრეუზა მოისვრის).
ორად გაიპო ხმატკბილი ქნარი!
- კრეუზა** (შეშინებული უკან შემობრუნდება):
შემოგვაკვდა!
- მედეა** (გაფაციცებით ირგვლივ მიმოიხედავს):
ვინ შემოგვაკვდა? მე ცოცხალი ვარ! ცოცხალი!
(ფეხმოუცვლელად დგას და თავაწეული დაყინებით იმზირება.
გარედან ისმის საყვირების ხმა).
- იანონი:** გამარჯვებულის იერი გაქვს, ნეტავ რა ხდება?
ამწუთს რაც მოხდა, ალბათ ნანობ, რომ ჩაიღინე.
(კვლავ მოისმის საყვირების ხმა.
კარი იღება და სწრაფი ნაბიჯით მეფე შემოაბიჯებს).
(შეეგებება):
რას მოასწავებს ეგ საბრძოლო მუსიკის ხმები?
- მედეა:** მე მეკითხები, უბედურო?
- იანონი:** დიას, ბატონო!
- მედეა:** ზარდაცემული რომ ვიყავი, ახლა კიდევაც.
ვიღაც პეროლდი მოსდგომია ჩემი ბინის კარს
ამფიქტიონელ ღვთისმოსავთა წარმოგზავნილი.
ჩერ შენ გეძებდა, მერე შენი ცოლიც იკითხა,
ქვეყანას მოსდო და ხმამაღლა გაიძახოდა,
გაძვეებულეებს მოვაკითხეთ, სად არიანო!
- იანონი:** ოჰ, ეგლა გვაკლდა!
- მედეა:** ჩუმად, უკვე გვიახლოვდება!
(იღება კარი, შემოდის პეროლდი, მის უკან ორი მებუჯე დგას, ცოტა მოშორებით
კი რამდენიმე თანმხლები).
- პეროლდი:** დე, ღმერთი იყოს მზრუნველი და თქვენი მფარველი!
- მედეა** (საზეიმო განწყობილებით):
მითხარ, ვინ ხარ და რას ეძებ ჩემს სამფლობელოში?
- პეროლდი:** მე უძველესი სახამართლოს — ამფიქტიონის
წევრი გახლავარ სახელგანთქმულ ქალაქ დელფოსში
და ღვთისმსახური მოვლენილი მოძმეთა მიერ;
მსურს მოგახხენო განაჩენი შურისძიების,



იოლკოსის — უოფილი მეფის, აწ გარდაცვლილი პელიასის ნათესავთა დანაშაულის.

მეფე: დამნაშავეებს ჩვენს ქალაქში ნუკი დაეძებ, სჯობს მათ ბინებში მოიკითხო ბრალდებულები.

ჰეროდო: აქ შევეუარე იაზონს და ასე ვუთხარი: წუველა და კრულვა არ მოგაკლდეთ შენ და მეუღლეს! ჩადენილი გაქვს საზარელი დანაშაული: ბრალი მიგიძღვის ბიძაშენის ტრეღად სიკვდილში.

იაზონი: სტუუი, რადგანაც არც მსმენია მეფის სიკვდილი.

ჰეროდო: მაშ მაგას ჰკითხე, მაგან იცის უველაზე კარგად.

იაზონი: არ ჭობია, შენ თვითონ ჰკითხო?

ჰეროდო: ხელით კი არ მოუკლავს მეფე, იმ ხელოვნებით, რაც შორეულ სამშობლოდან ჩამოიტანა. როცა მეფე ავად შეიქნა, — აღბათ სამსხვერპლო, რადგანაც იგი იშვიათად ხდებოდა ავად, — ქალიშვილებმა მოაკითხეს იმწუთს მედვას, მამაჩვენის განკურნებაში მოგვეხმარეო. იგი მაშინვე დაუბუღდა და გზას გაუდგა.

იაზონი: შესდექი რაკილა დაუშალე, აღარ წახულა.

ჰეროდო: პირველად მართლა არ წახულა, მაგრამ მეორედ შენს უკითხავად დაითანხმეს, დაიყოლიეს; ოქროს საწმისი, რომელიც მას შიშის ზარს სცემდა, შენი დაქცევის და ზიანის მანიშნებელი, სამაგიეროდ გადარჩენის იმედს აძლევდა. ქალიშვილებმა სიბარულით გაანდეს, ისიც შევიდა, როცა მეფეს უკვე ჩასძინებოდა. გრძნეულ სიტყვებით შეულოცა, დაათილისმა, და ცოტა ხანში მეფეს უფრო ღრმად ჩაეძინა. არამი სისხლის გამოდენა ბრძანა თუ არა, მეფეს მაშინვე გადაუჭრეს ორივე ვენა; ერთი ხანობა მოიხედა, კარგად ხუნთქავდა, როცა კრილობა შეუხვიეს, ქალიშვილები სიბარულისგან ცახ ეწიენ, განიკურნაო. მერე მედვამ გაეცალა იქაურობას, ქალიშვილებიც გაიკრიფნენ დასაძინებლად. ცოტა ხნის შემდეგ ბროტინის ხმა ჩაესმათ ძილში, ქალიშვილები გაეშურნენ მეფის ოთახში და თვალში ეცათ საზარელი სანახაობა: მოხუცი ეგდო იატაკზე სახეშეშლილი და შავ ნაკადად ვენებიდან სისხლი სდიოდა. საკურთხეველთან იწვა იგი, სადაც ეკიდა ვერძის ტყავი, მაგრამ საწმისი გამჭრალიყო. ვილაცებმა დაინახეს ოქროს საწმისი მხრებზე რომ ესხა და წუვდიადში მიაბიჭებდა.

მედვა (ურულ თავისთვის):

ეგ იყო ჩემი შურისგება, მისაგებელი. მოხუცის რისხვას რომ ვიხსენებ, მაცივ-მაცხელებს.

ჰეროდო: დიდხანს რომ აღარ გრძელდებოდეს ეს სისაძაგლე და ჩვენი ქვეყნის მადრიც არ იწამლებოდეს, თესალიელი იაზონი, ეზონის შვილი მოიკვეთოს და თვით იგემოს ის მრისხანება; ჩემი წმინდა მოვალეობა მავალდებულებს გამოგიცხადოთ, რომ გაძევდეს საბერძნეთის ღვთიურ მიწიდან თვით იაზონი, მეუღლე და



მემკვიდრეები. არავითარ წილს არ მიიღებს
სამშობლო მიწის და თვით ღმერთებიც არაფერს არ
უწილადებენ. მაგისათვის აღარ არსებობს
თავშესაფარი და კანონი საბერძნეთისა.

(ცისკენ აღაპყრობს მზერას).

მოიკვეთონ იაზონი და მედეა!

მედეა და იაზონი მოიკვეთონ!

მოიკვეთონ

იაზონი და მედეა!

ამიერიდან, სამ დღე-ღამის განმავლობაში,
ვინც თავშესაფარს აღმოუჩენს და შეიკედლებს,
მარტოდმარტო კაცს, მარტოხელას სიკვდილს ვუცხადებ,
თუ ქალაქია, ან მეფეა, ომი მოგვიწევს!
ამნაირია განაჩენი ამფიქტიონის
და ასეთია სამართალი ჩვენი ქვეყნისა;
ყველამ გაიგოს, იცოდეს და დაიცვას წესი.
ღე, ღმერთი იუოს მზრუნველი და თქვენი მფარველი!
(შებრუნდება წასასვლელად)

იაზონი: ზეი კედლებო, რაღას დგახართ, ჩამოიქცეით,
თან ჩამიტანეთ, რათა მეფეს ვარჯა და ზრუნვა
შეუმსუბუქოთ!

მეფე: შესდექ ჰეროდლო, მოისმინე ჩემი ნათქვამიც!

(იაზონისკენ შეტრიალდება):

ფიქრობ, გულიდან ამომიგდეს, რასაც შეგპირდი?
დამნაშავედაც რომ ჩაგთვალო, ჩემი შვილი ხარ,
მე სწორედ იმას მოგათხოვებ, ვინც შენ დაგეძებს;
მე კარგად ვიცი, დამნაშავე შენ რომ არა ხარ,
ჩვენთან დარჩი და მე ვიქნები შენი მფარველი.
ვილა გაბედავს, რომ მეგობარს მეფე კრეონის
უმაღლ თავდებად არ დაუდგეს, როგორც ალაღ კაცს,
ან ვინ მაკადრებს, რომ ჩემს სიძეს ხელი შეაბოს?
ღიახ, ჰეროდლო, ნამდვილ სიძეს, ქალიშვილის ქმარს!
დიდი ხნით ადრე, რაცკი იყო გადაწყვეტილი,
ბედნიერების იმ დღეებში, დავსძენდი, ახლაც,
უბედურების ტალღებს კიდევ მოაგორებენ.
ეგ შენი ცოლი იქნება და დარჩი მამასთან.
ასეთნაირად მოახსენე თქვენს ამფიქტიონს;
ვინ გაამტყუნებს მეფე კრეონს იმ განაჩენის
გამოტანისთვის, განსასჯელი რომ გაამართლა
თავისი ღვიძლი ქალიშვილის ხელგასამართად?
მოუთხრე ყველას, ვინც აქეთკენ გამოვაგზავნა,
არ მოქცელობდეთ დიად ღმერთთა მოწყალებოა.
(ჰეროდლი გაღის).

უდაბურ მხრიდან კი რომელიც ჩამოებეტა

ფარისევლურად და გაგწირა დასადუპავად,

ვინც ამოდენა დანაშაულს სჩადის ამქვეყნად

და მერე შენ გთვლის ბრალდებულად, თანაზიარად,

იმას ვაძევებ ჩემი ქვეყნის ხაზღვრებს გაღაღმა,

სიკვდილი მაგას, თუ ხვალინდელ დღეს აქ შეხვდება!

მაშ აიყარე, გადაბარგდი ამ ქალაქიდან,

რომ განაივდეს მოწამლული შენგნით ბაერი!

მედეა: რაც ჩავიდინე, ყველაფერი მაშ მე მბრალდება?
მე გეუბნებით, არაფერში არ მიღვეს ბრალი.

მეფე: რა ბოროტებაც ჩაიღინე, საკმარისია.

ამ ბინიდან და ქალაქიდან გარდაიხვეწე.

მედეა (იაზონს მიმართავს):

უნდა წავიდე? თანახმა ვარ, თუ გამოწყვები
ვით დამნაშავემ, შენც უნდა ზღო პირგასამტებლო
მინდა უცილოდ მოგაგონო ძველთა ნათქვამი:
ამ ქვეყანაზე არცინ კვდება მარტოეული,
არც სახლეული, არც სხეული, არც დაღუპული!
ასეთნაირად ვფიცავთ ხოლმე აღსასრულის უამს;
ახლა შევეშვათ, მოდი ერთი..



იაზონი: რატომ მეხები?

ჩამომეცალე ჩემთა დღეთა დამაწყევარო!
შენ ჩამიმწარე ცხოვრება და ბედნიერება,
გაცნობის დღიდან შემაძაგე სუყველაფერი,
გადარეულის სიყვარული მარგუნე წილად!
შენი აკვანი კვლავ წაიღე შენს ურუ მხარეში,
იმ ხალხთან, ვისაც შენ ეკუთვნი სისხლით და ხორციით.
მანამდე უკან მომამავე, რაც კი წაიღე,
თვით იაზონი დამიბრუნე, ბოროტო სულს!

მედეა: იაზონი რომ დაგიბრუნო უკან, ეგ გინდა?

აქვია, აქვე იაზონი, ჰა, წაიყვანე!
მედეას ვინლა დამიბრუნებს, მე რა ვიღონო?
შენს სამშობლოში მე გეძებდი, მე მოგაკითხე?
რაო, მამაშენს შენი თავი მე გამოვტყუე?
ან ძალით ხომ არ მოგახვიე თავს სიყვარული?
მშობლიურ მიწას მე მოგწუვიტე და მოგაშორე?
ბედის ანაბრად მიგატოვე და გასაკილად?
მე დაგიძახე მოლალატე, ბოროტმოქმედი?
შენ ხომ დამწამე, ვაი, ჩემს თავს, უკეთურობა?
რა სიბოროტე ჩავიღინე, ან ვისთვის, მეტყვი?
დამეხსენ, ზიზღით, სიძულვილით ნუ მეკიდები,
გაძვევებაც და მოკვლაც არის სამართლიანი,
რადგანაც მე ვარ შემწარავი, ავწნე არსება,
ღრმა უფსკრული და საწარელი სანახაობა,
ასეთნაირად შემაჩვენა მთელმა ქვეყანამ!
შენ კი დაგინდო ბოროტების თავო და თავო,
სიაჯკაცობის ერთადერთო მიზეზთაგანო!
გახსოვს, მუხლებში ჩაგივარდი და გემუდარე,
როცა მიბრძანე სისხლიანი საწმისის აკვრა;
სანამ ვცდიდი და გაუბედავდი, სიკვდილს ვარჩევდი,
შენ კი მბრძანებლურ-დამცინავი ღიმილით მითხარ:
ახლავ აიღე! საკუთარ ძმას მკლავში რომ ვტაცე
ეს მარჯვენა და შევეშველე, აღარც ის გახსოვს?
სიკვდილს გადარჩა, გამეტებით რომ მოუქნიე,
ღის მკერდზე იყო მიურდნობილი და ძლივსლა მოსწყდა,
მაგრამ შენ გამო ზღვის ტალღებში ჰკოვა სიკვდილი.
მომიახლოვდი გეუურება? ნუ გამირბიხარ!
აქეთ მოდექი, სხვის ზურგს უკან ნუ იმალები!

იაზონი (წინ წამოდგება):

მეზიზღები, არ მეშინია!

მედეა: მაშ, ახლოს მოდი!

(ოდნავ ხმას აუწყებს):

იცო, რას გიტყვი, ნუ მიუურებ ათვალწუნებით,
ბიძის სიკვდილის წინ იმ დღეს რომ შემომეუურებდი!



ჩემი ბინიდან როს გავიდნენ ქალიშვილები,
 ისე ვიყავი დაბნეული, შენთვის არც მიიქვამს;
 შენ შემოხვედი ჩემს ოთახში მოულოდნელად,
 შემომაცქერდი, თვალი თვალში გამიყარე და
 შენი განზრახვა საიდუმლოდ, შიშით გამანდო,
 როგორც თანახმორს, მოზიარეს, ტოლუფლებიანს;
 ასე მიიხარო: ბიძაჩემი ავად რომ არის,
 მიტომ მომადგნენ ავუნე მამის განსაკურნავად,
 გამაგრილებელ სასმელ წამალს თუ დაუმზადებ,
 აი, იმდაგვარს, საბოლოოდ რომ გააგრილოს,
 ეგეც მარადის დაისვენებს, მეც დამასვენებს
 გაბედულება თუ გეყოფა, მაშ უარყავი

იანონი: გულშემწარავო, რაებს ჩმახავ, რას შემართლები?
 ჩემი ოცნება შენ დაახშე და გააქარწყლე,
 შენა სარკის წინ დამაყენე „მე“-სთან პირისპირ
 და ჩემს ნაფიქრალს გაიძახი ჩემ წინააღმდეგ?
 შენი ასავალ-დასავალის არა ვიცი რა
 და ზიზლსა მგვრიდა მუდამ შენი ნამოქმედარი,
 ის დღე დაიქცეს, რა დღესაც მე შენ დაგინახე,
 ტანჯვა-წამების გარდა ვერა შევიძინე რა.
 თავს ვუჩიჩინებ, სამუდამოდ რომ ჩამოგცილდე,
 და ქვეყანასთან ერთად გწყველი, ქოქოლას გაყრი.

მედეა: მასეთნაირად რად ირჩები, ჩემო შეუღლები?

იანონი: გირჩევნია, გზას რომ გაუდგე!

მედეა: მოხუცი მამა,
 როცა მწარედ შემუქრებოდა, მაშინ შემპირდი,
 არასოდეს მიგატოვებო. გატებე სიტყვა?

იანონი: თვით შენ უარყავ მოცემული ფიცი და აღთქმა,
 ამიტომ გითვლი მამაშენის წყევლას და კრულვას!

მედეა: მომიახლოვდი, მოზიზღარო ჩემო შეუღლები!

იანონი: უკან დაიწი!

მედეა: ჩემს მკლავებში გინდოდა ყოფნა!

იანონი: ჰა, უკან-მეთქი, თორემ ხმალსაც მოვიშველიებ!
 ბოლოს მოგიღებ, თუ აქედან არ გამეცლები!

მედეა (ნელი ნაბიჯით თანდათან უახლოვდება):
 აქა ვარ, დამცხე! აჰა, დამკარი!

პრაუზა (იანონს შეჰყვირებს):
 არ გაბედო!
 მშვიდობიანად გაგვეცალოს, თავი ანებე!

მედეა: შენც აქ ყოფილხარ, ვერცხლისფერო გველის წიწილო?
 ნუ სისინებ და მომხიბლავად ნულარ ქანქარებ!
 გულით რომ გსურდა, გვერდით გიღვას უკვე — შეუღლები!
 ნუთუ მაგიტომ მპირფერობდი და მლაქუცობდი,
 მერე გველივით კისერზე რომ შემომხვეოდი?
 ახლა ხანჯალი ხელთ რომ მქონდეს, შენ და მამაშენს,
 კანონიერ მეფეს ქვეყნისას, გულს გაგიპობდით.
 მიტომ მღეროდი დამატკობელ, წარმტაც სიმღერებს?
 მიტომ მირჩიე ქნარზე დაკვრა, კაბაც მიბოძე?
 (მოსასხამს შემოიხვეს).
 ამ დაწყევლილთა ნაჩუქარი რაში მქირდება!
 (იანონს მიუბრუნდება):
 აი, შეხედე, ამ მოსასხამს როგორც დავფხრეწავ,
 ნაგლექს უბეში მოვითავსებ ასეთნაირად,
 ნაკუნ-ნაკუნად ქცეულებს კი უბეჭვეშ გავიფენ.



ისე დაირღვა სიუვარულიც, ჩვენი კავშირიც.
ნაფხრეწებს ცხვირწინ დაგოური და გაგათელინებ
უკეთურო და უბედობის ნაღღო მოთავევ.
მომგვარე ჩემი ბავშვები და გზას გაუდგები!

მეფე: ბავშვები ჩვენთან დარჩებიან.

მედეა: დედას არ უთმობ?

მეფე: შენნაირს, არა!

მედეა (იაზონს მიმართავს):
შენც ეგრე ფიქრობ?

იაზონი: ეგრე ვფიქრობ.

მედეა (დადგება კარის პირდაპირ):
მაშ მომისმინეთ, პატარებო!

მეფე: უკან დაიწი!

მედეა: შენ ბრძანებ, მარტო მე წავიდე? დე, ეგრე იყოს!
დაღამებამდე თანახმა ვარ, გზას რომ გაუდგო,
ოდონდ ბავშვები გაშატანე, ასე მოვრიგდეთ!
შენ კი, რომ დგახარ, ფარისევლობ და პირმოთნეობ,
მოჩვენებითად მიამიტობ, ზემოდან მიმწერ,
მოუფიქრებელ საქციელზე აიღე ხელი,
თორემ მედეას ბედი შენვე დაგიბრუნდება.

იაზონი: გვაშინებ კიდეც?

მეფე: გზას გაუდექ, ნულარ აუოვნებ.

მედეა: მე წავალ, მაგრამ, რომ იცოდეთ, კვლავ დავბრუნდები
და თან მოვიტან, რაც შეგფერის და გეკადრება.

მეფე: ხედავ, თვალეში შემოგვეცქერის და ვეფიქრება?

თუ სიტყვა არ ჭრის,
(მცველებს მიმართავს):

მაშინ შუბი მოიშველიეთ!

მედეა: უკან დაიწით, არ გაბედოთ ხელის შეხება!

შენ კი, მეფეო, დრო აღნუსხე განშორებისა,
აბა დაფიქრდი, ავი რამ თუ ჩამიდენია!

მაშ გზა მომეცით, შურისგებაც თან დავიღვენო!
(გადის).

მეფე: ცოტაოდენი საზღაურიც გაიყოლიე!

(კრეუზას მიმართავს):

თავით ფეხამდე დაგიფარავთ, რა გაცახცახებს!

კრეუზა: რასაც ვაკეთებთ, ის მაფიქრებს, მართებულა?
სამართლიანად თუ ვირჩებით, ვინ რას დაგვაკლებს?

(ფარდა ეშვება)

(გაგრძელება იქნება)



პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეა

მესამე მოქმედება

კრეონის ციხესიმაგრე. სცენის სიღრმეში მოჩანს მეფის სასახლის შესასულელი. კედლიდან მარჯვნივ აღმართულ სვეტებშია შესასვლელს მედეას სამყოფლისკენ მიუყვართ. მედეა დგას, მის უკან შორიახლოს კი გორა მეფის მსახურს ესაუბრება.

გორა: ხელმწიფეს მოახსენე,

მედეა უმისგან პიტაკს არ კადრულობს-თქო;

თუ მისი გადაბირება სურს,

მეფე თავის ფეხით მოვიდეს,

ეგების მას მოუსმინოს.

(მსახური გადის).

გორა (წინ წამოდგება):

იმათ ჰგონიათ, შენ ეახლები,

თითქოს დვარძლი გაგნელებოდეს

და შურისგების გრძნობა დაგცბრომოდეს.

უეუერები!

იქნებ კიდევ გსურს? ეგებ გწაღია?

ფიქრობ, ეგრე მოქცეულიყავ,

რადგან შენ მედეა ხომ აღარა ხარ,

კოლხი მეფის შთამომავალი,

გამობრძმედილი დედის ბევრისმნახველი ქალიშვილი;

ანდა ამდენ ხანს, აქამომდე

ვით მოითმინე, როგორ გაძელი?

მედეა: გეუბრებათ, დიღო ღმერთებო? აქამომდე და

ამდენ ხანს ვით მოითმინე, როგორ გაძელო!

გორა: გირჩევ, გამაგრდე,

მოითმინო სუუველაფერი,

რადგან თავგზააბნეული

და მახეში გაბმული ხარ;

სანამ თავზე უარესი დაგტყდომია,

რაც წინასწარ უკვე განვკვირით.

დაუვავებით გეუბნები: დარჩი-მეთქი!

მათ კოლხ ასულს არ უნდა დასცინონ,

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ 1986 № 6.



ჩემი მეფის სისხლი სისხლთაგანი
მასხარად არ უნდა აიგდონ,
დაგვიბრუნონ პატარები,
დაცემული მუხის ნორჩი ულორტები;
ან არადა ბნელსა და უკუნ ღამეში
სიკვდილი გიჭობს!
სად მიკუნქე შენი ნივთები?
საბოლოოდ რა გადაწყვიტე?

მეღება: ჭერ ბავშვები ხელში ჩავიგდო,
შერე გზა თავისით გამოჩნდება.

გორა: მაშინ კი წახვალ?

მეღება: ჭერ არ ვიცი.

გორა: უმალვე სიცილს დაგაურჩიან!

მეღება: ეგრე გგონია? ვერ დამცინებენ!

გორა: ბოლოს და ბოლოს რა განიზრახე?

მეღება: ვეცდები სურვილს განვერიდო და მარტოდმარტომ
მდუმარ უფსკრულთან მოვიფიქრო უკუნ ღამეში.

გორა: და თუ გაქცევა გადაწყვიტე, ხაით მოუსვამ?

მეღება (შეძრწუნებული):

რამდენჯერ უნდა შემეკითხო: საით, საითო?

გორა: ამ ქვეყანაში არ აღმოჩნდა ჩვენთვის ალაგი;
ისეთნაირად ეზიზღები აქაურ ბერძნებს,
ერთხელაც ბოლოს მოგიღებენ, არ დაგზოგავენ!

მეღება: ეგენი ვერას დაშაკლებენ, მე კი მიფრთხილდნენ!

გორა: ჩვენს სამშობლოში, კოლხთ მიწაზეც რომ საფრთხე გველის?

მეღება: ოი, კოლხეთო, მშობლიურო ჩემო მამულო!

გორა: ხომ უკვე გითხრეს, მამაშენი რომ მიიცვალა?

როცა კოლხეთი მიატოვე, აქეთ წამოხველ,
მაშინ არ იყო, შენმა ძმამ რომ სული დალია?

მე კი გგონია, მწუხარება ვერ აიტანა

და წედან რომ ვთქვი, სული კი არ დაუღვეია,
გაშმაგებული შეეგება თავადვე სიკვდილს.

მეღება: შენ რა, ჩემს მტრებთან პირი შეტყარ და გულს მიკოდავ?

გორა: დამიგდე უური: ხომ გითხარი, ხომ გაგაფრთხილე;

გიკვირებდი, უცხოელებს ჩამოეცალე,
განსაკუთრებით მათ შეთაურს უფრთხილდი-მეთქი,
მაგ ფარისეველს, პირმოთნეს და მოლალატეს-თქო.

მეღება: მაგ ფარისეველს, პირმოთნეს და მოლალატესო,
ახე მითხარი?

გორა: მო, გითხარი.

მეღება: არ დაგიჭერე?

გორა: არ დამიჭერე და მახეშიც მიტომ გაები;

რაკიდა ერთხელ გზა-კვალს ასცდი, მორჩა, გათავდა.

მეღება: ფარისეველი და პირმოთნე აროდეს გითქვამს,
ეგრე რომ გეთქვა, ვიღონებდი უთუოდ რამეს;

შენ იძახოდი, მტერია და მეზიზღებო,

ის კი ღამაში ვაეკაცია, კეთილშობილი

და ამიტომაც მე იგი არ შემეზიზღებია!

გორა: მაშ ახლაც გიუვარს?

მეღება: რაო, გიუვარსო?

დასანახავად მეჭავრება და მეზიზღება,

ვით ყველა ქლესა, იშკილბაში და მოლალატე,

ჩემი თავივით უკეთური და საძულველი!

გორა: მაშ აღვევიწე და მიაგე სამაგიერო.



შური იძიე მამისა და ძმის გულიხათვის,
არ აპატიო ჩვენი მიწის, ჩვენი ღმერთების,
ჩვენი ადათის შებღალვა და შეურაცხყოფა.

მეღება: რამენაირად ჭერ ბავშვები ჩავიგდო ხელში,
დანარჩენს მერე ბნელი ღამე მიჩქმალავს თვითონ.
როგორ გგონია, როცა ის
ნიშნის მოსაგებად საცოლესთან
საქმის გასაჩარხად გაეშურება,
ვინც ასე მძულს
და მე პირისპირ შევეყრები
განრისხებული, აღგზნებული...

გორა: აი, ეგ იქნება შურისძიება!

მეღება: ან კიდევ ოთახის ზღურბლიან
საცოლედ რომ სისხლში ცურავდეს,
მის გვერდით კი ბავშვები —
იაზონის შვილები უსულოდ ეყარონ.

გორა: ეგრე მოქცევით შენ იქნები შურნაძიები.

მეღება: მე მას ვუყვარდი, შიტომ მსურდა
მისი გულიხათვის ყველა ტანჯვა გადამეტანა,
მან კი. ის ყალბი, და ვითომ უცოდველი,
ჩემს თავს არჩია!

გორა: ახლა კი მიზანს მიუახლოვდი!

მეღება: ჩუმალი ჩუმალი
საიდან გაჩნდა გონებაში ასეთი აზრი,
თავიდან მომწუდი, ფიქრო ჩემო, და შეუერთდი
ამ ბნელ ღამეს და მარადიულ, მუდმივ სიჩუმეს!
(მოსასხამს თავზე გადაიფარებს).

გორა: არგონავტების ლაშქრობაში ვისაც წვლილი აქვს
და მხლებელთაგან ვისაც ცოდვა ჩაუდენია,
ყველას თავისი მიუზღე და შური იძიე,
გადაუხადე უსათუოდ სამაგიერო:
ქველი ღმერთები არავის არ აპატიებენ,
სირცხვილნაქამნი საბოლოოდ სიკვდილს მპოვებენ.
ის ჭერ აქ არის და როდემდის დაიგვიანებს?
ყოველდღიურად მეყურება სხვერის ნათქვამი
აღსასრულის დღე ვის დაუდგა, ვინ განისვენა,
უფალს ჩაბარდნენ საბერძნეთის მამაცი შვილნი,
კოლხთა მიწიდან განძი ვინაც გამოიტაცეს.
ორფევსი მოკლეს თრაკიელმა ქალიშვილებმა,
ხოლო მილახი ზღვის ტალღებმა შთანთქმეს უეცრად;
პერიითომ და თეზევსმა ჩაყვინთეს ზღვაში,
მერე მადესის ბნელით მოცულ სადგომს მიადგნენ,
რათა არდილთა ძალოვანი მეუფისათვის
ლამაზი ცოლი — პერსეფონე რომ მოეტაცათ,
მაგრამ შეიპყრო მომხდურები, ჭაჭვი დაადო
და მიუსაჭა სამუდამოდ ბნელეთში ყოფნა.

მეღება (უცებ სახიდან მოსასხამს გადაიძრობს):
რადგან მივიდნენ იმ დიაცის გასატაცებლად?
ძალიან კარგად მოქცეულა, რომ დაუსჭია!

გორა: როცა პერაკლემ თავის ცოლი სხვაზე გაცვალა,
რომელმაც იგი სიყვარულით მოაქადოვა,
თანამეცხედრემ შურისგების და მტრობის მიზნით
მეუღლეს ხელად გაუგზავნა ტილოს ხალათი;
ჩაცმისთანავე უქიფოდ შეიქნა კაცი.

მწვავე ტკივილმა ავბუდითი შიში აღუძრა
და ეს იმიტომ, მისმა ცოლმა ის სელის ტილო
უკურნებელი, სასოკვდილო შხამით გაპოხა.
ვიღაცეებმა ტუის ფერდობზე დალანდეს იგი
ხანძარში როგორ აორთქლდა და გაუჩინარდა.



მედეა: თავისი ხელით მოუქსოვა ცოლმა ხალათი?
თან სასოკვდილო?

გორა: თავისი ხელით!

მედეა: თავისი ხელით!

გორა: ო, მელეაგრეს უხეშო ძალავ;
კალიდონში გარეული ტახის მოკვლისთვის
აღთმა საკუთარ შვილს იმეტებს წოსაკლა!

მედეა: ისიც კმარა მიატოვა?

გორა: არა, მან ძმა მოუკლა.

მედეა: ვინ, კმარა?

გორა: არა, ვაჟმა!

მედეა: ეს რომ ჩაიდინა, თვითონაც თან მიჰყვა?

გორა: არა, ცოცხალია.

მედეა: საშინელება ჩაიდინა და ცოცხალია?!
ბევრი რამ ჩემთვის ნათელია, იმდენი ვიცი,
რომ მუხანათი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.
თუ რა მოხდება, არ ვიცი, და, არც მსურს ვიცოდე!
გულისწყრომის და რისხვის ღირსია,
მაგრამ სუსტია ადამიანი;
ღროის დინებას არ ინანიებს!

გორა: სინანულიო? აბა მკითხე, თუ ინანიებს;
ჩქარი ნაბიჯით, მგონი, იგი გვიახლოვდება.

მედეა: ორნი არიან; მეფე, ჩემი მოსისხლე მტერი
და იაზონის შემტყუებელ-წამქეზებელი.
სჯობს განვერიდო, პირზე ზიზღი რომ არ შემატყოს!
(ჩქარი ნაბიჯით შინისკენ გაემართება).
იაზონს არ სურს, ერთხელ მაინც მომესაუბროს?
მე შინ დავხვდები, გადავცი, მარტო მოვიდეს,
აქვე არ მინდა მუსაიფი გაუზა რადგან
ჩემი მტრის გვერდით სჭა-ბაასი უადგილოა.
ახლოვდებიან. მაშ, წავედი
(ოთახში შეაბიჯებს).

გორა: ის კი გაშორდა!
მე რა ვიღონო, სხვა გზა არ მაქვს, იმ ადამიანს
უნდა გავუბა საუბარი, ვინც ჩემი შვილი
დასაღუპავად გაიმეტა სამარადისოდ.
ისეთნაირად წარიმართა ჩემი ცხოვრება,
რომ სხვის მიწაზე აღმომხდება ტნჭული სული,
ცხარე ცრემლების ღვრა მომიწევს მხოლოდ ფარულად,
რათა არავინ გაიღიშოს ნიშნის მოგებით.
(შეშოლიან მეფე და იაზონი).

მეფე: რატომ გაგვირბის ქალბატონი, არაფერი სურს?

გორა: მიტომ წავიდა, ეზიზღები დასანახავად.

მეფე: ჩემთან მოუხმე!

გორა: იუარებს.

მეფე: ვალდებულა!

გორა: გაბედულება თუ გეყოფა, შენ თვითონ მიდი.

მეფე: ვინ ვარ და ხად ვარ, უცხოელი ველური ქალი
მეფის წინაშე რომ ჩიუტობს და ამდენს ბედავს?



მოახლე ქალი ჭეშმარიტად ქალბატონს მოგვებს,
ორივენი კი ბნელ ქვეყნიდან მოვიდნენ ჩვენთან.
აბა ერთხელაც მოუხმე ჩემკენ!

გმრბ (იპონის მიანიშნებს):

თუ გულადია,
აი, ახლავე შინ ესტუმროს და ესაუბროს.

იპონი: ახლავე გასწი გაბედულად და გადაეცი.
დაუყოვნებლივ აქ მოვიდეს შენივე მსგავსი.

გმრბ: რატომ კადრულობ, რა მაქვს მასთან მიმსგავსებული,
თუ ეგ გაიგო, ვაი მაშინ სუყველას ბრალი!

იპონი: მსურს, ვესაუბრო.

გმრბ: მაშ, ესტუმრე.

იპონი: ეგ არ იქნება!

გმრბ: ჭანდაბას, წავალ, ოღონდ დიდხანს შენ არ გიყურო,
შე კი გადავცემ დანაბარებს, მაგრამ ამოდ,
წინასწარ ვიცი, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის,
რადგან ვერ იტანს ვერავისგან შეურაცხყოფას.
(ოჯახში შეაბიჯებს)

მეზე: მან კორინთოში კარგა ხანი დაჰყო, მგონია.
სიავის გარდა, რას მოელო, რა უნდა გვითბრას,
რაც მდაბიოებს და უაზნოთ სჩვევიათ მუდამ;
მის სიბზლოვებს ჩვენი უოფნა სახიფათოა!
შენი გუშანი, ვიმედოვნებ, შიადწევს მიზანს.

იპონი: დიდი მეფეო, როგორც ბრძანე, ისე იქნება!
ან დიდხანს აღარ შეუძლებს გვერდით, რადგანაც
შენი სასჯელი ბრძნულია და ღმობიერია.
ეს მაძიე ხელობი რაჟი ბედმა აგრე მარგუნა,
მასზე ნაკლები დამნაშავე არც შე ვარ მაშინ.
მიყრუებულად ადგილიდან გამოჰყვა ჩვევა
და ტვირთჩამოხსნილ კვიცივით ხტის, ველარ ისვენებს,
სულ იმას ცდილობს, არ დაფაროს თავის სიკერპე,
შე კი უჩუმრად ავიტანო ხალხის გაკილეა.
რა მოსაწყენად გვეჩვენება გარდასული დრო.

მეზე: თუ დაშიჭერებ, ძველებურად კვლავ ამოლდები;
როგორც მშვილდიდან მოსხლეტილი სწრაფი ისარი,
ზუსტად რომ ხედება ამოღებულ მიზანში ზოლმე,
მშვილდს მოლუნავს და მერე ისევ წელში გამართავს,
ეგ მოიშორე და შენც წელში გაიმართები.

იპონი: დიდი ხანია გამივიდა მაგისი უავლი,
დაკარგული მაქვს სახელი და ძველი დიდება,
იპონის ხომ აჩრდილი ვარ, სხვა არაფერი.

მეზე: ქვეყანა შენზე მართალია და პირუთვნელი.
მოწიფულ კაცის მცდარი ბიჭი დამღუპველია,
ქაბუკის მარცხი — დროებითი დაცდენა ფეხის,
რადგან შემდგომში სუყველაფერს გამოასწორებს.
ქაბუკობისას, რაც კოლბეთში მოიმოქმედე,
გადაივიწყე და გვიჩვენე კაცურკაცობა.

იპონი: მსურს დაგარწმუნო, ბედნიერი ვიქნები მაშინ.

მეზე: როცა თავიდან მოიცვილებ, მერე მიხვდები.
ამფიქტიონთა სასამართლოს შე წარკუდგები
და შენი საქმის დამცველადაც გეგულებოდე,
მსაჯულებს მოვდრეკ, დავაჭერებ, დავიყოლიებ,
რასაც ჩინი გაბრალდნენ, ქვეყანას მოვდებ,
რომ უველაფერში დამნაშავე არის შედეა.



ბნელი ზრახვების მოსურნე და ჩამგონებელი.
ძველ განაჩენს რომ დაარღვევენ, საქმარისია,
კვლავ აღზევდე და დაიბრუნო ძველი უფლება.
ოქროს ბაირადს შე აღმართავ, ააფრიალებ,
რაც შენ შორეულ მიწა-წყლიდან ვაი-ვაგლაბით
შენს ქვეყანაში ჭაიბარად ჩამოიტანე;
ნიაღვარივით მოგაწყდება ახალგაზრდობა,
თავს მოიყრიან საბერძნეთის გოგო-ბიჭები,
ახლადაღვლენილ, უცოდველის, შეურევლის,
ოქროს საწმისის ჩამომტანი ვბირის გარშემო.
ხომ შენს ხელთაა?

იანონი: ოქროს საწმისი?

მეფე: რა თქმა უნდა!

იანონი: ოქროს საწმისი, ხამწუხაროდ, ჩემს ხელთ არაა!

მეფე: მაშ კელისის სასახლიდან მან გაიტაცა?

იანონი: იმას ექნება!

მეფე: ვალდებულა, დაგვიბრუნოს.

შენი დიდება მომავალში მასზე ჰყილია.

შენ უოვლის შემძლედ და მორკმულად უნდა გადიქცა.

ძველი მეგობრის ერთადერთო უღელა შვილო!

ძალა-უფლება მეფე კრეონს, და განძეული,

საქმარისი აქვს თავის სიძეს რომ უნაწილოს.

იანონი: ხომ მე დამრჩება მამაჩემის მემკვიდრეობაც.

რომელიც ჰერეთ ბიძაშვილმა დაისაკუთრა.

მოგეხსენება, უქონელი არც მე გახლავარ.

მეფე: ხელის შემშლელი მოაბიჭებს, გვიახლოვდება.

დროა, დროულად მოვახდინოთ მოსახდენელი.

(მეფეა გამოდის ოთახიდან, მას გორა მოსდევს).

მეფეა: ჩემგან რას ითხოვ?

მეფე: მოახლე რომ გამოგიგზავნი,

მკვახე სიტყვებით გაისტუმრე შენი ბინიდან,

და იმის ნაცვლად, შეასრულო ჩემი ბრძანება,

შავალდებულებ, უოველივე პირადად ვითხრა.

მეფეა: ბარემ შითხარი.

მეფე: ახალს ვერაფერს მოგახსენებ.

გაგიშეორებ ერთხელ კიდევ და დავუმატებ,

რომ დღესვე უნდა აიბარგო ჩემი ქვეყნიდან.

მეფეა: მაინცდაშაინც რაღა ეს დღე აიკვირებ?

მეფე: რაკი ჩემს ასულს ექადნები და ეშუქრები,

რახან ვერ მიტან დასანახად და გეზიზღები,

რადგან თავიდან არ გცოდდება ავი განზრახვა.

შენს გვერდით უოფნა სარიდოა და სახიფათო.

მიტომ მსურს დღესვე შიატოვო ჩემი სახლ-კარი.

მეფეა: აქაურობას დღესვე დავთმობ თუ ბავშვებს მომგვრი.

მეფე: შენ გზას გაუდექ, ბავშვები კი აქ დარჩებიან!

მეფეა: რაო, ბავშვები შივატოვო? ვიღას რა ვუთხრა?

ან ვის შეეჩივლო? ქმართან შაინც შალაპარაკე!

მეფე (იანონს მიმართავს):

გსურს, ესაუბრო?

მეფეა (იანონს სთხოვს):

მოშისმინე, გემუდარები!

იანონი: ჯანი გავარდეს, ვისაუბროთ, რაც არის არის.

იცოდე, შენი ლაილის არ მეშინია.

ნება გვიბოძე, ვისაუბროთ, დიდო მეფეო.



მეფე: გული არ მიწევს, არ მსურს, მაგრამ რა გაეწყობა.
თინათინა, ცხიერი და მოხერხებული.
(მეფე გადის).

მეფე: აი, წავიდა, ხელს ვერავინ შეგვიშლის უკვე,
ცოლ-ქმრის საქმეში აღარავინ არ ჩაერევა;
ვიმუხაფოთ ისე, როგორც გული გვკარნახობს.
გამომიტყდი, მაინც რას ფიქრობ?

იანონი: შენ უკეთ იცი.

მეფე: შენ რაც გწყურია, კარგად ვიცი, ფიქრით კი... რა ვთქვა...

იანონი: პირველი რაც თქვი, საკმარისზე საკმარისია.

მეფე: მაშ, ავიბარგო?

იანონი: წასვლა გიჭობს!

მეფე: დღესვე წავიდე?

იანონი: ეგრე გერჩივნოს!

მეფე: მითხარ, მაგ სიტყვებს როგორ ამბობ აუღელვებლად,
გვერდით მიდგახარ, არც თვალებს ხრი და არც წითლდები?

იანონი: მე მაშინ უნდა ვწითლდებოდე, ასე რომ არ ვთქვა.

მეფე: კარგი იქნება, სულ რომ ეგრე ილაპარაკო,
მაგრამ თუ სხვებთან ღირსეულად იქცევი ხოლმე,
რასი გჭირდება ჩემთან თავის მოკატუნება!

იანონი: შიშით შეპურობილს შენ თვლი თავის მოკატუნებად?
ქვეყანა განგსჯის და ღმერთები შეგაჩვენებენ,
შეც შენი თანამონაწილე ვიქნები მაშინ.
შენ მაგის ღირსი რომ არ იყო, არცინ შეგლაზავს.

მეფე: ის ღვთისნიერი შენ ხარ, ვისაც ვესაუბრები?
შენ ხარ იაზონ გამკითხავი და მწყალობელი?
მადლისმყოფელი, კოლხეთში შენ არ ჩამოხვედი
და სისხლის ფასად არ ჩაიგდე მეფის ასული?
შემბრალებელი, ჩემს ძმას შენ არ მოუღე ბოლო?
მამაჩემს შენ არ შეუმოკლე სიცოცხლის დღენი?
ხელს შენ არ იღებ მოტაცებულ მეფის ასულზე,
შე ვაიკველო, ეინიანო და სამაგელო!

იანონი: ლანძღვა-გინება შენგან მაინც არ შეკადრება,
როგორ მოიქცე, კარგად იცი, გემშვიდობებ!

მეფე: რაკი ვერ ვწვდები, შიტომ ვრჩები, რომ ამოვიცნო,
იუუჩე ცოტა, შეც შენსავით მშვიდად ვიქნები.
მე კი თავიდან მიშორებენ, შენ რა მოგეღის?
განა შეროდღის განაჩენი შენ არ გეხება?

იანონი: უმალ გაიქცე, იმ ცოდვაში არ მიღევს ბრალი,
ბიძის სიკვდილი ჩემს მოკვდას არღვევს კანონით.

მეფე: ამიერიდან განცხრომით და მშვიდად იცხოვრებ?

იანონი: როგორც ავბედით კაცს შეჭფერის, ისე ვიქნები.

მეფე: მე რა მომეღის?

იანონი: საკუთარ ხედს როგორც წარმართავ.

მეფე: შენ უცოდველი გამოდიხარ.

იანონი: და ვარ კადევაც!

მეფე: მაშ, ბიძაშენის საბოლოოდ მიძინებაში,
ისე გამოდის, ბელი სულაც არ გირევა.
შენ არა მთხოვე?

იანონი: არა, ხელი არ შემიწევი!

მეფე: არ გამაბრუვე, მასზე ჩემი ხერხი მეხმარა?

იანონი: გასაგებია, სიძულვილი გალაპარაკებს,
მაგრამ უოველთვის როდი უნდა გამოიყენო.

მეფე: ოდესღაც თავად ვიშვიშებდი და წუწუნებდი.



ახლა დრო დადგა, აღიარო დანაშაული.
ნაზონი: ავი ფიქრის და განწრახვისთვის კი არვის სჭიან,
ისჯება მხოლოდ ბოროტი და ავის ჩამდენი!

მედეა (ფიცბლავ):
მე ხომ ისეთი არაფერი ჩამიდენია?!

ნაზონი: მაშ, ეგებ მითხრა, ვინ ჩაიდინა?

მედეა: მე არა-მეთქი!
ჩემო მეუღლე, ჭერ მომისმინე
და მერე ისე გამახამართლე:
გამოქვაბულის კარს შივადეკი
ოქროს საწმისის მოსატაცებლად;
მეფე თავის საწოლში წევს.
უცებ მესმის საწარელი ყვირილი;
შემოვბრუნდი და რას ვხედავ,
ცხენივით უალუწე შემდგარი
თავშებვეული კაცი
ღრიალით ლოგინიდან მოხტუნაობს.
მოდო ძმაო, მოდი,
შური იძიე ჩემზე, შური!
შენ ერთხელ კიდევ უნდა მოკვდე,
კიდევ ერთხელ!
ჩემკენ გადმოხტება და იმ ხელში მწვდება,
რომელშიც საწმისი მიჭირავს.
მე ვცახცახებ და ვწივი,
დახმარებას ვთხოვ ჩემს ღმერთებს.
საწმისი ფარივით მიჭირავს.
გიჟური გამომეტყუვებებისა და
კბილებდაკრეკილის დანახვით ანაზღად შეკრთება.
ერთს დაიხავლებს და შეხვეულ ნაიარევს დაიგლეგს,
კრილობებიდან სისხლი მოთქრიალობს;
გაოგნებულმა და გამოყუყუჩებულმა
როცა ირგვლივ მიმოვიხედე,
დავინახე, უკვე გაყინული, უსულო მეფე
ჩემს ფერთხით ეგდო
და საკუთარ სისხლში ცურავდა.

ნაზონი: მე შეუბნები ყოველივეს, გულშემწარავო?
როცა ვიყურებ, მაცახცახებს და მაფრიალებს,
დროა, აქედან წაეთრიო, შე ჯადოქარო!

მედეა: დანახვისთანვე სულ იოლად ჩაწვდი ყველაფერს,
განსაკუთრებით, როცა მხარში ამოგიდდეკი,
იმ დღიდან ჩემკენ მოილტვოდო, მოისწრაფოდო.

ნაზონი: ქაბუკი ვიყავ გულადი და თავქარიანი,
უმაწვილს რაც მოხწონს, ჭეღვს აღარ ეპიტნავება.

მედეა: პატარაობის ოქროს ხანას ნუ გამახხენებ!
თავი — ფიცხელი, გული — მუდამ კეთილმოსურნი!
რა კარგი იყო, ცოტა ხნით რომ დამბრუნებოდა!
იმ დიდებულ დროს ოდნავ მაინც მიმაახლოვე,
როცა ფაშისის ნაპირებზე მწვანე ბალახში
ლამაზ ყვავილებს დავეძებდით უმანკოები.
რა გულახდილი იყავი და რა გულმართალი,
მე კი პირქუში, ბუტია და გულჩათხრობილი,
ამ დროს გამოჩნდი, სასიყვეთოდ გამოასხივე
და ეს გონებაც გამინათე, გამიცისკროვნე.
შენ ჩემი იყავ და მე შენი, ჩემო იაზონ!



სანატრელი დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, ხახლ-კარზე წრუნვაც აღარ გინდა, აღარ გპირდება, სახელისა და დიდებისთვის მთლად შეიწირე ახალგაზრდობის გაფურჩქნილი ტკბილი ნაყოფი. სადა ხარ ახლა, ნორჩო ხეო, აუვავებულო? აღბათ ჩემსავით მიცემული სასოწარკვეთას; მშირად ვოცნებობ გაზაფხულის იმ მწყაზარ დროზე და ნაზი სიოც საამურად მენანავება.

მაშინ ხომ ვიყავ ძვირფასი და გამორჩეული, რარიგად ვიქეც საფრთხობელად და შეხაზარად? ხომ დამეძებდი, მომძებნე და წამომიყვანე როგორც ვიყავ, შემეფარე, რანაირც ვარ!

ნაზონი: იმაზე რატომ არას ამბობ, რაც მერე მოხდა!

მედეა: შესაზარიო, რომ იძახი, დასტური მითქვამს, რაც მამაჩემს და ძმას დავმართე, ეჰ, ისიც კმარა, ამით წინასწარ გავითხარე ხაფლაფი ჩემთვის და ამისათვის დავიხაჭე კიდევაც, მაგრამ მსურს ჩადენილი ცოდო-ბრალი გამოვისუილო, შენ კი, იაზონ, ამ საქმისთვის არ უნდა მსჭიდე, რადგანაც შენმა ხიყვარულმა გამაბედინა! მოდი, შორეულ ქვეყანაში გავიქცეთ ერთად! ყველა მიგვიღებს, გვიმახპინძლებს.

ნაზონი: რომელში? სადა?

მედეა: როგორ თუ სადა?

ნაზონი: რად მაცოფებ და რად მაცეცხლებ, ჩვენი გაქცევა ხომ ფუჭი და საარაკოა. თვითონ ღმერთებმა შეაჩვენეს ჩვენი კავშირი მაშინვე, როცა ერთ შემზარავ, მხეცურ საქციელს მოჰყვა მეორე, უფრო დიდი დანაშაული, წარმოვიდგინოთ, თითქოს მეფე შენ არ მოგეკლას, გვერდით ვინ გედგა, ვინ დაგლანდა, ვინ დაგიჭერებს?

მედეა: შენ ერთადერთი!

ნაზონი: ეგრეც რომ იყოს, რა შემძლია? მოდი, შევეშვათ, ბედისწერას ვერსად წავუვალთ! თითოეულმა თავის ცოდო გამოისუილოს, შენ იმისათვის, ამ მიწიდან აკვრა რომ გიწევს, მე კი იმისთვის, აქ დარჩენა რომ მწადდა გულით.

მედეა: ეგრე გამოდის, იოლი გზა აგირჩევია!

ნაზონი: ნუთუ იოლად მიგაჩნია, როცა უცხოელს უცხო ბინაში უთანაგრძნობს თვით უცხოელი?

მედეა: თუ ეგრე გიმძიხვს, გაქცევაზე რად ამბობ უარს?

ნაზონი: საით და როგორ?

მედეა: უწინ ამაზე არ წრუნავდი, როცა საშობლო მიატოვე, კოლხეთს ჩამოხველ, უცხო მიწაზე დიდებისთვის მარჯვედ იღვწოდი.

ნაზონი: ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, ძალაც მლაღატობს, გულოვანობა, რა ხანია, გულს ჩამემარხა. მადლობელი ვარ გარდასულის გახხენებისთვის, რომელიც გულზე ლოდად მაწევს და სულს მიხუთავს, რიდიით და შიშით თვალი ვეღარ გამიხბელია. მას შემდეგ უკვე ის ჭაბუკი კაცად გადაიქცა, გაშლილ ყვავილებს უმაწვილურად აღარ შეჰხარის და მწიფე ნაყოფს ეტანება მხოლოდ და მხოლოდ. შვილები შენთან ვერ წამოვლენ, დე, ჩემთან დარჩენ, შეილები შენთან ვერ წამოვლენ, დე, ჩემთან დარჩენ,



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს შვილიშვილებს ქონება ხომ უნდა ვუბოძო.
როგორ გვინდა, იაზონის შთამომავლები
არ უნდა იდგნენ ვადაძმობიანი მანანებივით
სუყველგან გზებზე და უარიბებს ეჩხებოდნენ?
როცა გიყვარდი, ხომ ვიყავი შენთვის ძვირფასი,
იხეტნაირად მოიქეცი ახლაც ვითომდა
მშობელ მიწაში არ იხანებ ჩემთვის სამარეს!

მედეა: თუ საქორწინო სარეცელი მშობელ მიწაზე?
ასეა, არა?

იაზონი: რის თქმა გინდა?

მედეა: ხომ მოვისმინე,

ჭერ ნათესავად მოგნათლა და შემდგომში ვაჟად,
ბოლოს კი უკვე სასიძოდაც გამოგაცხადა.
იმიტომ რჩები, კრეუზა რომ გეკურკურება?
გამოტყდი რაღა, ხომ ასეა? ხომ გამოგტყბე?

იაზონი: არც არასოდეს გამოვმტყუდარვარ, არც გამოვტყუდები.

მედეა: ახეტნაირად ვინდა, ცოდვა მოინანიო?

ამიტომ ვინდა, მედეა რომ შორს გადიხვეწოს?
გაჭირვების უამს გვერდიდან ხომ არ გცილდებოდი,
ასე სასწრაფოდ გაგვისხლტა დრო თვალს და ხედს შუა,
უოველ ნაბიჯის გადადგმაზე ტკბილად ვიყავით,
განა იმიტომ, მოგონებად დარჩენილიყავ?
აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, არსად არ წავალი!

იაზონი: როგორც უოველთვის, არასწორად იქცევი ახლაც,
კერპო, უფშურო!

მედეა: არასწორად ვიქცევი, არა?

მის ცოლად შერთვას არ აპირებ? მაშ თქვი, არა-თქო!

იაზონი: ერთ მუუდრო ადვილს დავჭერდები, თავი რომ შევრგო,
შერე ღმერთი რას გაიმეტებს, თავად არ ვიცი!

მედეა: მე კი წინასწარ კარგად ვიცი, ასეც მგონია,
ღმერთი უთუოდ თავის კლთას გადაგაფარებს.

იაზონი: შენ ხომ არ ძალგიძს, კაცს რომ წუნარად ელაპარაკო,
კარგად იყავი
(მიდის)

მედეა: იაზონ!

იაზონი (შემობრუნდება):

კიდევ რას მტყუვი?

მედეა: უკანასკნელად ვხვდებით აღბათ, ჩემო იაზონ.

ეს საუბარიც, ვგონებ, არის უკანასკნელი!

იაზონი: ჰოდა, უჩუმრად გავეუაროთ ერთიმეორეს.

მედეა: ჭერ სიყვარული შემატყუე, ახლა გამირბი?

იაზონი: სხვა გზა არა მაქვს.

მედეა: მამაჩემი ხომ მოინდევ.

ახლა ქმარს მტაცებ?

იაზონი: იძულებით, ჩემს უნებურად.

მედეა: შენი მიზეზით დამელუპა ერთადერთი ძმა,

შენ კი არაფრად ჩააგდე და გამომიტაცე!

იაზონი: ხიმართლეს გატყუი, მის სიკვდილში არ გვიდევს ბრალი.

მედეა: სამშობლო მიტომ მივატოვე, შენ გამოგყევი.

იაზონი: ნება-სურვილით გამოგყევი, ისე კი არა,

თუ გული გწუდებდა, უკან გიშვებ სიამოვნებით!

მედეა: ქვეყანა მწყევლის, არად მაგდებს შენი გულისთვის,

მე ჩემი თავი მეზიზღება შენს გადამკიდეს

და შენ კი მტოვებ?



ნაზონი: მე კი არ გტოვებ, უმაღლესი
განაჩენი მაიძულებს რომ გავიყაროთ.
შენ თუ დაკარგე ბედ-იღბალი, ჩემი სადღაა?
შეცვალე ტანჯვა ჩემი უბედურებით!

მედეა: ვაი, იაზონი
(მუხლებზე დაეცემა).

ნაზონი: კიდევ რა ვხურს? კიდევ რას მეტყვი?

მედეა (წამოდგება):
ო, აღარაფერს, აღარაფერს არ გეტყვი უკვე!
გათავდა, მორჩა, მაპატიეთ, მამა-პაპანო!
ქედმოდრეკისთვის თქვენ შემინდეთ, თქვენ შემეწიეთ,
ჩემი კოლხეთის მწვაობარო დიდო ღმერთებო.
უკანასკნელად გავიბრძოლე და მომიტევეთ!
(იაზონი შებრუნდება წასასვლელად).

მედეა: იაზონ, საით!

ნაზონი: ნუ იფიქრებ, გული მომიღბო!

მედეა: უნდა ვეცადო. დამიბრუნე ჩემი შვილები!

ნაზონი: ო, არა, ბავშვებს ვერასოდეს ვერ დაგიბრუნებ!

მედეა: ისინი ჩემი ნაშობია, დედის არიან!

ნაზონი: ჩემი ჭილაგი თანდათან ხომ უნდა გამრავლდეს;
მაშ, იაზონის მისხის მისხი ველურად იქცეს?
ჯობს, რომ აღვწარდო აქაური ადამ-წესებით.

მედეა: ვხურს მიუმატო დედინაცვლის შთამომავლებიც?
ამ ქვეყანაზე მე კი მარტო ეგენი მყვანან!

ნაზონი: არა უშავს რა, თანაგრძნობა თუ ზიზღად შექცა,
ნუ აღელდები, შენი ხვედრი შემიმსუბუქებს!

მედეა: კეთილი! ახლა ერთი თხოვნით მინდა მოგმართო:
ჩემო მეუღლევ! თუმცა მეუღლე აღარა ხარ...
სატრფოვი მიჭნურდი თუმც არასოდეს არ ყოფილხარ...
მაშ, მამაკაცო! გერქვა, მაგრამ გატეხე სიტყვა...
ფუი, შენს სახელს, მოღალატევ და გამყიდველო...
როგორ მოგიხმო? შესაწარო, სათნოვ, კეთილო!
მომეც ბავშვები და მწადა ვარ, გზას რომ გავუდგე!

ნაზონი: არ შემიძლია, ხომ გითხარი, არ შემიძლია!

მედეა: ასე უხეშად რად მპასუხობ? ცოლი ხელს იღებს
თავის ქმარზე, მაგრამ დედა კი თავის ნაშობს ითხოვს!

ნაზონი: კეთილი, რადგან სამართლიან კაცად ჩამთვალე,
დე, ეგრე იყოს, ერთ-ერთ მათგანს დაგიტოვებ ჩემით!

მედეა: მხოლოდ ერთს მითმობ?

ნაზონი: ეგეც კმარა, მეტს ნუ მოითხოვ!
ბეწვისოდენაც კი მილახავს მოვალეობას.

მედეა: რომელს იმეტებ?

ნაზონი: დე, ბავშვებმა ამოვირჩიონ.
მათგან რომელიც დაგთანხმდება, ის წაიყვანე.

მედეა: დიდი მადლობა, გულყეთილო და მადლცხებულო!
უდავოდ ცდება, მოღალატეს ვინც დაგიძახებს.
(შემოდის მეფე)

ნაზონი: მობრძანდი, მეფევ!

მეფე: რა ქენით, საქმე მოაგვარეთ?

ნაზონი: მიდის, ოღონდაც, ერთ ბავშვს ვუთმობ, ასე შევპირდი.
(ბიჭს მიმართავს, რომელიც მეფეს გამოჰყოლია):
წადი ახლავე, ის პატარაც აქ მოიყვანე!

მეფე: მაშინ რას იზამ, თუ ორივე აქ დარჩებიან?!

მედეა: მე რომ მცირედად მიმაჩნია, ბევრი გგონია?



- შენი სიმკაცრით ღმერთებიც კი შიშობენ, კრთიან!
- მეფე: ცოდვის ჩამდენსაც უშკაცრესად სჯიან ღმერთები.
- მეფე: მათ მანვილ თვალებს არაფერი დაეძალებათ.
- მეფე: ბოროტ განზრახვას ბოროტებად მიიჩნევენ უმალ.
- მეფე: თუ ბოროტებას წინ აღუდგა, იმას არად თვლი?
- მეფე: რადგან ჩემ თავზე ხუთ ერთთავად მსჯავრი გამომაქვს, ამიტომ სხვაზეც ასე ვფიქრობ, ასე მწადია.
- მეფე: მაშ, დამნაშავეს დანაშაულს ბრალდებად უთვლი?
- იანონი: გულქვაობა რომ არ დამწამოს, მიტომ ვთავაზობ, ამოირჩიოს, რომელიც სურს ნანატრი შვილი — ჭირსა და ლხინში სიკვდილამდე დედის ნუგეში. (კრეუნა ბავშვებითურთ შემოდის).
- პრეუზა: ეს უმაწვილები ამედევნენ, ჩამცილებიან, რა ამბავია, რა ხდებაო ჩვენ გარეშემო? ხუთ ახლახან არ ჩამოვიდნენ, მაგრამ შეხედეთ, ისე ვუხვარვარ, თითქოს მუდამ ერთად გვეცხოვროს. ამ საბრალოებს ტკბილი სიტყვა ჭერ არ სმენიათ, ეგებ მოვიგო მოფერებით მაგათი გული.
- მეფე: ერთი მათგანი დედას უნდა გაჭყვეს უცილოდ.
- პრეუზა: ჩვენ მიგვატოვებს?
- მეფე: მამამისმა ასე ისურვა! (იქვე მდგომ, ფიქრებში ჩაძირულ მეფეს მიმართავს): ამა, ბავშვებიც აქ არიან, ამოირჩიე!
- მეფე: მო, აქ არიან, აქ არიან ჩემი შვილები, დედის იმედად დარჩენილნი ამ ქვეყანაზე! რაც გავიფიქრე, მაპატიეთ, დიდო ღმერთებო, და ორივენი მომაკუთვინეთ, ვერც ერთს ვერ დავთმობ! შერე წავალ და თქვენს სიკეთეს ხოტბას შევახხამ, მოვიბოდიშებ, თუმცა არა, ღირსად არ ჩავთვლი! აქეთ გამოხსნით, რას დამდგარხართ, ჩემო შვილებო, ჩემი მტრის ულიდ მკერდს უზრუნველად რას ეხუტებით? იციო, რა ხრიკი მოიგონა, რა მიხიმანკლა? თქვენი პატარა ხელები და სუსტი შიშები ისეთნაირად აღქურვა, რომ ემაგ ბრკუალებით ნაკუნ-ნაკუნად უქცევთ სხეულს, რომ მიყრდნობიხართ. ნუთუ ეგრე გადაგიბირათ? სწრაფად მოსცილდით!
- პრეუზა: დაჭერილები კი არ მყვანან, შე უბედურო.
- მეფე: გაკვაჭულები კი არ გყვანან, მაგათი მამაც ფარისევლური, მოთნე მზერით არ დაატყვევე? იცინი არა? მალე სატირლად გაგიბდება საქმე, იცოდე!
- პრეუზა: ოი, ღმერთებო, სიცილისთვის მკაცრად დამხაჭეთ!
- მეფე: ნუ განრისხდები, ნურც გავვიცხავ, წუნარად, დიაცო, რაც შეგთავაზებს, შეიფერე, ან გავვეცალე!
- მეფე: სიმართლეს ამბობ, ო, მეფეო, სამართლიანო, თუმცა არც ისე სასიკეთოს და საამებელს. რანაირადაც უნდა ითქვას, ეგ ხუთ ერთია! ჩემო შვილებო, თქვენი თვალით ხედავთ ყველაფერს, კაცმა არ უწუის, რამდენი ზღვის და ხმელეთს იქით დაუფარავად აძევებენ ზედშავ დედათქვენს. კეთილმა ხალხმა, მამათქვენმა და ქველმა მეფემ სამართლიანად ნება დაგროთ ორივე უმაწვილს, ერთი თქვენგანი, ერთადერთი, დედას რომ გაჭყვეს — დიდო ღმერთებო, გუუარებათ? ორიდან — ერთი —

ჩემთან ერთად რომ გავუყუდრო გრძელსა და ძნელ ვზას!
რომელსაც უფრო მაგრად ვიყვართ მშობელი დედა,
რაცო ორივეს არ გვიძლევათ ამის უფლება,
ერთმა თქვენგანმა გადმოადგით ნაბიჯი ჩემკენ.
რადე თქმა უნდა, რომ მეორე ნაშას დარჩება
და ცბიერ კაცის თვალთმაქცსა და მზაკვარ ქალიშვილს
მოისმინეთ? რატომ აუოვნებთ?



მეფა: ხომ ხედავ, არ სურთ!

მეფა: სტყუი, მეფეო, უსამართლოვ, უარისებელი!
ბავშვებს კი უნდათ, შენმა შვილმა გადაიბირა
არ გეუბრებათ, უკეთურსო და შემწარავნო?
ქოქოლას გაუჩიოთ დედათქვენი, მამაიღებო!

დაზონი: ხომ ხედავ, არ სურთ!

მეფა: აბა, გაუშვით ერთი წაშით!
ბავშვებს ვუყვარვარ! მე რა, მათი დედა არა ვარ?
თქვენ კი პირიქით აქეზებთ და აგუღიანებთ.

კრეუზა: რაკილა ეჭვობ, გავაცდები აქაურობას.

მეფა: მოხვალთ თუ არა ჩემთან ახლოს, გველის წიწილნო!
(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს მათკენ, მაგრამ
ბავშვები სრულზისკენ გაიქცვიან).

მეფა: ხედავ, კიდევაც გამირბიან!

მეფა: ახლა ხომ მაინც
უკვლავურში თვითონ დარწმუნდი, ამიტომ, წადი!

მეფა: არ სურთ მოსვლა? ნუთუ შეიძლება,
შვილებს დედა არ უნდოდეთ?
დაუჭერებელია! შეუძლებელია! —
ეზონ, ჩემო უფროსო ბიჭო, ჩემო საყვარელო!
უურად იდე, დედა გახშობს, მოდი ჩემთან!
გულქვად და მკაცრად არ მოგეპყრობი:
შენ უნდა იყო ჩემთვის უძვირფასესი,
სიკეთის ერთადერთი განახიერება!
შეისმინე დედის მუდარა და მოდი —
არ ინძრევა უურსაც არ იბერტყავს! —
შე უმადურსო შე მამაიღავ!
შენც მამაშენივით შელაძუა ჩარ
და მახავით გეწაზღები!
ამიერიდან შეილაღ ადარ გთელი! —
შენა აბსარტუს, ჩემო სატყუარო,
დატირებულნი ბიძაშენის ორეულო,
მახავით მშვიდო და მადლიანო,
შეზე, დედაშენი მუხლებზე და ცეცხული
და გვეიდრება.
უარს ნუ შეტყვი,
მოდი ჩემთან, ჩემო აბსარტუს,
დედასთან მოდი —
ეგვიც აუოვნებს! —
არც შენ გინდივარ? —
თქვენი და ჩემი გულის განაპობად
აბა ხაჩქალს ვინ მომაშავებს?
(სწრაფად წამობტება).

დაზონი: მადლობა უფალს, შენ თვითონ რომ ნიჩი წავიხდა
და პატარები შენკენ მაინც ვერ მოაქციე.
ბავშვების მსჯავრი თვით ღმერთების განაჩენია!
ისინი უარჩუნ, შენ კი ვიჭობს ახლავ წახვიდე.



- მედეა: მაშ ერთხელ კიდევ მომისმინეთ, ლაწირაკებო!
- ბორა: შებუდე ერთი, არ გასმენენ, არად გაადებენ!
- მედეა: ბავშვებო-მეთქი!
- მედეა (კრეუზას მიმართავს):
 კვლავ სახალღეში დააბრუნე;
 მაგ დედამ შობა და ამიტომ არ უნდა სძაგდეთ.
 (კრეუზა ბავშვებიანად გასასვლელისკენ შებრუნდება).
- მედეა: ხედავთ, გარბიან, გამირბიან ჩემი შვილები!
- მედეა (იანონს მიმართავს):
 რაღას ვუდგავართ, აშაოა თითზე კბენანი!
 (მიდიან).
- მედეა: ჩემი შვილები სად წავიდნენ ჩემი შვილები?!
- ბორა (უცებ გაჩნდება):
 ჯობს დაიუურო ტკივილები, შენი წუხილით
 შენს მტრებს ზედმეტად ნუ მოაღებენ, ნუ გაახარებ!
- მედეა (იატაკზე დაეცემა):
 მწარედ დავმარცხდი, გავითელე, მთლად გავნადგურდი.
 ისინი კი გამირბიან, გამირბიან,
 ჩემი შვილები გამირბიან!
- ბორა (მისკენ დაიხრება):
 სიციცხლეს ძალით ნუ მოისწრაფები!
- მედეა: ნეტავ სიკვდილი მაღირსა!
 ვაი, შვილებო!
 (ფარდა ეშვება)

(დისასრული იქნება)



პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

მედეა

მეოთხე მოქმედება

როგორც წინა მოქმედებაში, აქაც კრეონის ციხესიმაგრის წინ ჩანს ეზო. ბინდბუნდია. მედეა მის ბინაში ამავეს კიბეზეა გაწოლილი. გორა თავზე ადგას.

გორა: ადექ, მედეავ, ხმა ამოიღე!
ნეტავ აქ რას წამოწოლილხარ და უჩუმრად სიფრცეს თვალეხჩაცეებული გასცქერი? ადექი და თქვი რამე! ჩვენს უბედურებას რა ეშველება!

მედეა: ვაი, შვილებო! უი, შვილებო!

გორა: აქაურობას გავეცალოთ დაღამებამდე, ხანამ სიბნელე ჩამოწვება. ადექი-მეთქი და გასაქცევად მოემზადე, თორემ მოვლენ და ერთიანად ამოგვხოცავენ!

მედეა: ვაიმე, ჩემო შვილებო!

გორა: ადექი, შე ბედუკულმართო, შენი მწუხარებით მეც ნუ შემეკალი! მე მოშხაძე, მე მომისმინე: კოლხეთში რომ ვიყოთ, და შენები ცოცხლები უოფილიყვენ, ხომ უველაფერი კარგად იქნებოდა. ადექი-მეთქი! ტირილი რას გაშველის?

მედეა: (წამოიწევს და კიბეზე მუხლებდაჩოქილია):
ასე ვარ მუხლებდაჩოქილი, ასეთნაირად აღმიმართავს ხელები, შვილებისკენ გამიშვევრია და შევთხოვ, ვევედრები: ერთ-ერთი მაინც, ერთაგან ერთადერთი მაინც-მეთქი,— სიკვდილი მერჩინა, მაგრამ ერთ-ერთს კიდევ როგორმე შეველეოდი,— არც ერთმა არაფრად ჩამაგდო, არც ერთი არ მომეკარა.

გაქცევით უშველეს თავს და ჩემი მტრის კალთას შეეფარნენ. (უცებ ხეზე წანოიჭრება) ამიტომ გავხდი ორივეს დახაცინი!

გორა: ვაი ჩვენ თავს! უი ჩვენ თავს!

დათასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 6, 1986; № 1, 2, 1987.



მედეა: დიდო ღმერთებო, ამას ჰქვია შურისძიება?
ხომ სიუვარულით გამოცეცი მამაკაცს ქალი;
მამა რომ მოკვდა, მე მიმიძღვის დანაშაული?
ძმა რომ შუეს მოსწყდა, ნუთუ ძვეც ჩემი ბრალია?
დიდხანს მოვთქვამდი და ვგოდებდი გულამოსკვნილი,
ცხარე ცრემლები დავაფრქვიე იმით საფლავებს,
რომლებიც ჩემგან შორს არიან, გადაჯარგულში.
თუ საწყაული ზომიერად არ გაიწომა,
მაგ შურისგებას შურისგება როგორ დავარქვიათ?

ბორა: მაშ შენიანებს რანაირად უნდა გაშორდე?

მედეა: როგორც ღმერთებმა ჩამინერგეს და ჩამაგონეს!
დედამიწაზე მოღალატე და გამყიდველი
არანაირად დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!
დიდმა ღმერთებმა ნება დამრთეს შურისძიების!

ბორა: ის გირჩევნია, რომ იფიქრო გადაარჩენაზე!

მედეა: ამ ხნის მანძილზე სასიკეთო რა გააკეთე?
შურისძიებით განიშსჭვადე და შერყეობდი?

ბორა: ახლავე გიტყვი!
როცა ბავშვები გაიკრიფნენ,
დედის მარჯვენა თვალში მომხვდა
და ღვთის ხელი შევიცანი,
მაგრამ მაშინვე გულმა რეჩხი მიყო
და გუნება-განწყობილება წამიხდა.
სულ თავს დავტრიალებდი,
მწრუნველობა არ დამიკლია,
მზე და მთვარე მათზე ამომდიოდა.
აქამდე თავს იმით ვინუგეშებდი ხოლმე, რომ
ჩემი შორეული სამშობლოს სიუვარულს
წმინდა წყლის კოლხებზე ვიკლავდი.
დიდხანს გაუცხოებული მერვენებოდი:
ახლა რომ გავვირდები,
თითქოს კვლავ კოლხეთს ვბედავდი,
მამაშენს და შენს ძმას ვუცქირდი,
ჩემი მეფის სახახლესა და შენ გამწერდი,
განა ისეთს, როგორიც იყავი.
არამედ ამჟამად რანაირიც ხარ.
ცივ ნიავს არ ვაკარებდი
და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი,
მაგრამ რას იზამ...

მედეა: სიკეთე არ დაგიფასეს
და ზრუნვა წყალში ჩაგიყარეს!

ბორა: ბავშვებს ნუ გაამტყუნებ,
მაინც კარგები და რიგიანები არიან!

მედეა: კარგებიო? და დედას გაურბიან?
რიგიანებიო? მაინც იაზონის შვილები გახლავთ!
საბოთ, ჭკუა-გონებითა და
ჩემდამი ზიზღით მამასა მგვანან,
ახლა ისინი აქ რომ მუავდნენ, ამ ჩემ მკლავებში,
გაწვდილ ხელებში გაშოტილნი ასეთნაირად,
მათ უსათუოდ ერთი დარტყმით მუსრს გავავლებდი,
რაიც არიან, ანდა იყვნენ, ან იქნებიან, —
აბა, შეხედო: ფაფუ, გაქრნენ, აღარ არიან!

ბორა: ვაი იმ დედას, შვილები რომ შეეზიზღება!

მედეა: ცხოვრებაში რაღა ელით?
უთქვათ, მამასთან დარჩნენ.



ასეთ ვერაგ და სამარცხვინო მამასთან,
 რა ბედი ელით?
 დედინაცვალს შვილები გაუჩნდება,
 ისინი დასცინებენ, მასხარად აიგდებენ,
 მათ კოლხ ველურ დედას გაჭკილავენ.
 მერე, ისღა დარჩენიათ, უურმოჭრილ-უმებად იქცნენ,
 ანდა ბოლმამ დააბრჩოთ:
 თუ დანაშაულს უბედურება მოსდევს,
 ხშირად უბედურებას დანაშაული მოჰყვება ხოლმე.
 მერე ღირს კიდევ ადამიანმა იცხოვროს?
 ნეტავ მამაჩემს მანამდე მოვცეკალი,
 სანამ პატარა ვიყავი,
 სანამ ამდენ გაჭირვებას გადავიტანდი,
 სანამ ამ აწრამდე მივიდოდი.

ბოროტ: რატომ ცახცახებ? რა მოიფიქრე?

მედეა: ცხადია, უნდა მივატოვო აქაურობა,
 მაგრამ მას შემიდეგ, როცა რაღაც დატრიალდება.
 ვფიქრობ, რარიგად გავუძელი უსამართლობას,
 იმ მოღალატეს, ვინც ამგვარად ზურგი მაქცია
 და შურისგების ცეცხლი გულში ამიბდღვრიალა
 სხვა უველაფერი საძაგლობა ჩემთვის ერთია:
 ბავშვები უუვარს, რადგან თავის „მე“-ს ხედავს მათში,
 თავის საკუთარ კერპებს შიტომ ეთაყვანება,
 მათ არსებაში ირტყლება მისი წარსული.
 ამაღ არ მინდა შევარჩინო, არ უნდა ჰყავდეს,
 მე კი ზიზღი მძლევეს, მათ უოლაზე უარს ვაცხადებ!

ბოროტ: ოთახში შემო, აქ როდემდის აპირებ უოფნას?

მედეა: მთელი სახლ-კარი მერე თუნდაც აოხრებულა,
 მისი კედლები ჩამონგრეულ-ჩამოქცეულა
 და საბოლოოდ ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა
 აწ გარდასული მოგონების და ტანჯვის გარდა.

ბოროტ: საცაა მოვლენ და გაგვერიან, შემოდი-მეთქი!

მედეა: არგონავტები მოვლენ ჩვენთან, ეგ რა წამოგცდა?
 ლალატისათვის იმნაირად დაისჯებიან,
 რომ მუხანათნი აქ ჰპოვებენ ბოლოს სამარეს.

ბოროტ: გასაგებია, იაზონსაც ეგ დღე მოეღის?

მედეა: ეგ დღე მოეღის, გეუბნები, ეგ დღე მოეღის!
 გმირმა მილასმა ზღვაში ჰპოვა სასუფეველი,
 პირქუში მეფის მარად აჩრდილთ შერჩა თეზევსი,
 იმ ბერძენ დიაცს რაღა ერქვა, აბა მითხარი,
 თავისი ძეც რომ არ დაინდო, შური იძია?
 ნუთუ არ გახსოვს?

ბოროტ: ვის გულისხმობ, არ მახსენდება.

მედეა: ალთეა ერქვა, გამახსენდა.

ბოროტ: შვილი რომ მოკლა?

მედეა: სწორედ ეგ ქალი როგორ მოხდა, კი აღარ მახსოვს.

ბოროტ: საკუთარმა ძემ ძმა მოუკლა ნადირობისას.

მედეა: მხოლოდ და მხოლოდ ძმა მოუკლა, მამაც ხომ არა,
 მისთვის არავის დაუცინავს, არც გაუგდია,
 და მით უმეტეს, ცხოვრებაში არვინ გაჭყრია,
 მაგრამ მრისხანე შელევარეს არ აპატია
 და სასიკვდილოდ გაიმეტა მშობელმა დედამ.
 ალთეა ერქვა, მო, ალთეა, ბერძენი იყო!
 და როცა მოკლა?

ბოროტ: ეგ ამბავი ეგრე მთავრდება.



მედეა: შენ მართალი ხარ, გონივრულად თუ დაუკვირდი, სიკვდილის შემდეგ ყველაფერი წყდება, მთავრდება.

გორა: მაგით რის თქმა გასურს?

მედეა: იქნება ექვციც გაქარება?

ახა მითხარი, გაიმეტეს დიდმა ღმერთებმა, ორივე შვილი რომ მოეცათ მშობელ დედისთვის? ვთქვათ, მოებოძათ, ვიკუთვნებდი და ხომ იმგვარად შეუვარებოდნენ, როგორც ახლა მეზინლებიან, ცოტა ხანს კიდევ ვისუნთქავდი ამ ქვეყანაზე, რომ საბოლოოდ ამნაირად არ მოვეწამლე და ამგვარად არ დაემსხვრია ჩემი ცხოვრება: რაღა თქმა უნდა, შურისგება ღმერთთა დასტურით უნდა მივფარო, მაგრამ არც მას არ დავჭერდები! ბოროტი სული შემარქვეს და ახლავს მივხვდი, გონივრულია იმად ვიქცე, რაც არ ვყოფილვარ. შემწარავ არსად მომნათლეს და გამომაცხადეს, სულ მაცახცახებებს, მაგრამ ერთგვის გულს მიხალისებს, რომ მოსახდენი ავად, კარგად, უკვე დამთავრდა. (შეშინებული)

გორა!

გორა: რა მოხდა?

მედეა: ჩემთან მოდი!

გორა: რა ამბავია?

მედეა: დაუყოვნებლივ ჩემთან-მეთქი, გადმოდგი ფეხი!

აი, აქ წვანან ორივენი და დედოფალიც: უსულოდ ურიან, სისხლში ცურავს იმთი გვამიც. ის იქ დამდგარა და თმებს იგლეჯს გამწარებული. შემწარავი სანახავია!

გორა: ღმერთის ნებაა!

მედეა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რამ დაგაფრთხო, ხომ არ შეშინდი?

სულ მთლად ფუჭია ის სიტყვები, რასაც მე ვამბობ, ძველ სურვილებს კი ძველი ძალა გამოლევიათ. მედეა ვიყო ძველებურად, ემ, ის სადღა ვარ! ოი, იაჰონ, რა მიქენი, რატომ დამღუპე? ხომ შეგივრდომე, დაგიცავი და შეგიუვარე, რაც რამ გამაჩნდა, არაფერი არ დამიწოგავს, რად ამირიე, ამიწეწე მთელი ცხოვრება? რატომ წამართვა სიკეთე და ბედნიერება და ჩემი გული შურისმგებლად გადააქციე? ძალა არ შემწევს შურისგების, ფიქრი კი მტანჯავს! ძალა, რომელიც გადმომეცა დედაჩემისგან, კოლხი დედოფლის — მშვენიერი შეკატესაგან, ბოროტ ღმერთებთან იდუშალად მაკავშირებენ, მაგრამ სულ შენმა სიუვარულმა დამაკარგვინა, მშობლიურ მიწის უღრანებში გაქრა უკვალოდ. შავი კვერთხი და სისხლისფერი ის საბურველი იქ მაქვს ჩაფლული, უნუგეშოდ მე კი აქ ვდგავარ. იმის ნაცვლად რომ ჩემი მტრები ავაწიოკო!

გორა: რაც რომ არ ძალგობს, წინასწარვე ნუ დაიკვებნი!

მედეა: მე კარგად მახსოვს ის ადგილი, სადაც ჩაფლალი, აქვე ზღვის პირას, სულ ორ მუტა მიწას ამოვყრი და ხელთ მექნება! შიში მაქრთობს მხოლოდ და მხოლოდ, როცა ვფიქრდები იმ სისხლიან ოქროს საწმისზე. ასე მგონია, მამაჩემის და ძმის ხულები თითქოს ჩემ ხვედრზე მსჭიდლობენ და არ მანებებენ.



გახსოვს, რარიგად გართბმულიყო მოხუცი მამა
 დედაშიწაზე და მოთქვამდა საკუთარ ვაჟზე,
 ხოლო ქალიშვილს ხელაღებით მწარედ წყევლიდა?
 იაზონმა კი დრო იხელთა და ზარ-ზეიმით
 ოქროს საწმისი ზე აწიდა, ააფრიალა.
 მაშინ ჩემივე თავს შევფიცე, მოლაღატეზე,
 ჩემიანების მოკვლისათვის, შური მეძია.
 სისხლის ადება რომ შემეძლოს, არ დავიხვედი,
 ოღონდ მარტოკას ჭერხანად ვერ გამიბეღია,
 რადგანაც ვხედავ ოქროსფერი ნიშნების ციფს
 ჩემ შესახვედრად მოედვარე მამის თვალებში;
 მალე კეუიდან შევიშლები, ასე მგონია!

გოგრა: ახლა რასა იქმ, რას აპირებ?

მედეა: დაე, მოვიდნენ!

ბოლო მომიღონ, უველაფერი მორჩა, გათავდა!
 სიკვდილს ვარჩევ და შე აქედან ფებს არ მოვიცვლი,
 თვითონაც უკან გამომხვევა კისრის ტეხით, რომ
 დანაშაული და ცოდვები მოინანიოს.

გოგრა: შენზეც იზრუნე, მეფე უკვე გვიახლოვდება!

მედეა: ძალაუფლება არა მაქვს და რით ვინუგეშო?

ჩემი გათელვა თუ სწადია, დაე, გამთელოს!
 (შემოდის მეფე).

მეფე: მწუხრი ჩამოწვა, დადგა უამი გამგზავრებისა!

მედეა: ვიცი.

მეფე: ახლავე მზად ხარ ნუთუ, გზას რომ გაუდგა?

მედეა: ვთქვათ, მზად არა ვარ, მასხარადაც მიგდებ მეფეო?!
 მაშინ აქედან ახარგება არ მომიწევდა?

მეფე: ნეტარებას მგვრის, რომ გიყურებ გონებადამჯდარს,
 ასე წარსულის მოგონებებს შეიშსუბუქებ
 და მომავალში დიდ სიკეთეს მოუტან ბავშვებს:
 მათ ხომ უნდა თქვან, თუ რა დედამ შობა ისინი.

მედეა: თუ სურვილი აქვთ, რა თქმა უნდა, იტყვიან კიდევ.
 მეფე: მათი სურვილი უკვე ჩემი საზრუნავია.
 უნდა აღვზარდო გულადებად, მამაც გმირებად;
 ერთ მშვენიერ დღეს, ქვეყანაზე არავინ იცის,
 ხომ შეიძლება რაინდები კოლხეთს ესტუმრონ
 და მათ სიყვარულს გადაუოლილ დავრდომილ დედას
 გადაეყარონ.

მედეა: ვაი ჩემ თავს!

მეფე: რა დაგემართა?

მედეა: ემ, არაფერი; გარდასული თვალწინ დამიდგა
 და წამიერად დამავიწყდა უკვე მომხდარი.
 ამის თქმა გსურდა და ეს იყო მოხვლის მიზანი,
 თუ ამის გარდა ჩემგან კიდევ რამე გწადია?

მეფე: ერთი რამ კიდევ დამავიწყდა, ახლავე ბატუვი.
 შენმა მიუღღებ, როცა ბიძა გარდაიცვალა,
 იოლკოსიდან დიდი განძი ჩამოიტანა.

მედეა: სუყველაფერი ოთახშია გადანახული,
 ახლაც ძალგძის რომ შეხვიდე და სულ მთლად წაიღო!

მეფე: სხვა ქონებასთან, ალბათ იქ დევს ძვირფასი განძი. —
 ოქროს საწმისი, არგონავტთა მონაპოვარი?
 ანაზდად ზურგი წასასვლელად რად შემაცქიე?
 რომ გეკითხები, მიპასუხე, ისიც იქ არის?

მედეა: არა, არ არის!

მეფე: მაშ სად გაქრა?

მედეა: არა, არ არის!

მეფე: მაშ სად გაქრა?



- მედეა: არ ვიცი-მეტეი.
- მეფე: მეროდღმა ზომ თქვა, რომ პელიასის სასახლიდან წამოიღო.
- მედეა: რაკილა თქვა, ალბათ ეგრეა.
- მეფე: მერე სად არის?
- მედეა: ვიხეორებ, არ ვიცი-მეტეი.
- მეფე: არ გეგონოს, რომ გაგვაცურებ და მოგვაცულები
- მედეა: სიცოცხლეს დავთმობ, თუკი მაგას მე გადმომცემდი; ეგ რომ ხელთ მქონდეს, დამუქრებას არ შეგარჩენდი
- მეფე: იოლკოსიდან, სიმართლე თქვი, ზომ წამოიღე?
- მედეა: ზო, წამოვიღე!
- მეფე: მერე რა უყავ?
- მედეა: მე არა მაქვს.
- მეფე: აბა ვისა აქვს, სად წაიღე?
- მედეა: მიწაში ჩავფალ.
- მეფე: უველათერი გასაგებია! ის არის, არა?
(მცველებს მიმართავს):
მე რომ გიბრძანეთ, ამწუთას აქ შემოიტანეთ!
(მცველები გადიან).
ორაზროვნობით ზომ არ გინდა, რომ დაგვაბნო?
ახლა მიგიხვდი, რომ მიწაში ჩავიფლავს განძი.
სად იცქირები, მე მიუურე და მომისმინე!
იმავე დამეს, ზღვის ნაპირას, ჩემი ბრძანებით,
პელიასისთვის რომ აეგოთ საკურთხეველი,
მიწა გათხარეს, — რად გაფითრდი? — და იმ ადგილას
შავი ზანდუკი დაინახეს ახლად ჩაფლული,
რომელსაც მქონდა იშვიათი უცხო წარწერა.
(შემოაქვთ ზანდუკი).
დააკვირდი, შენია იგი?
- მედეა: (იქითკენ გავარდება და უცებ დაეძგერება):
ღიაბ, ჩემია!
- მეფე: ოქროს საწმისიც ზანდუკშია?
- მედეა: ზო, ზანდუკშია.
- მეფე: აბა მიბოძე!
- მედეა: დამაცადე, ახლავე მოგცემ!
- მეფე: ახლა კი ვნანობ, განძეული რომ გისაჩუქრე,
რადგან ფლიდობით მოტყუება გინდოდა ჩვენი.
- მედეა: რასაც შეგპირდი, უყოყმანოდ მიიღებ იმას.
ისევ შედეად რომ მაქციეთ, მადლობელი ვარ,
დიდო ღმერთებო!
- მეფე: გახსენი და მომეცი ბარემ!
- მედეა: ჭერხანად არა.
- მეფე: მაშ როდისღა?
- მედეა: არ დავახანებ;
ძალიან მაღე!
- მეფე: მაშინ, კრეუზას გაუგზავნე.
- მედეა: აბა, კრეუზას გაუგზავნო, კრეუზას, არა?!
- მეფე: ზანდუკში არის კიდევ რამე ხეირიანი?
- მედეა: ბევრი რაღაცა!
- მეფე: საკუთარი არაფერი გაქვს?
- მედეა: მერე რა, რომ მაქვს, იმასაც იმას გაუგზავნე!
- მეფე: რაც კი შენია, არავინ გათხოვს, გადაინახე!
- მედეა: თუ ნებას მომცემ, გიბოძებდი მცირე საჩუქარს!
შენმა ასულმა იმნაირად გამანებებურა,
ისე სინაზით შეპურობოდა, ისე სათუთად.



მან ხომ დედობა გაუწიოს უნდა ჩემს შვილებს,
ამიტომ მინდა დავუფახო ნასიკეთარი!
ოქროს საწმინისი, როგორც გატუბ, შენ უფრო გზიბლავს,
შენს ქალიშვილს კი სამკაული მოეწონება.

მეფე: მადლობელი ვარ, მოიქციე, შენ როგორც გინდა,
მართლა სათუთად გეპურობოდა ჩემი კრეუზა.
უპირველესად, ვთხოვ, ბავშვები გამოგვიგზავნოს,
სანამ წასულბარ, ერთხელ კიდევ რომ ინახულო,
დაემშვიდობო, რადგან გრძელი სავალი გზა გაქვს.
ასეთნაირად გადავწუვიტე რადაგნაც გატუბ,
თავდაჭერილად რომ იქცივი და დამშვიდებით.

მედეა: დიდი მადლობა გულკეთილო, ქველო მეფეო!

მეფე: აქ იყავ, ბავშვებს ამ საათში გამოვავგზავნი.
(მეფე გადის).

მედეა: ის მიაბიჭებს, მიდის თავის დახალუპავად!
ეგ დაწყვეთილი რატომ არ თრთის, რად არ კანკალებს,
სულით ხორცამდე რაც გამაჩნდა, უკლებლივ მართმევს!
მადლობა უნდა მოგახსენო, დიდი მადლობა,
ჩემივე თავი საბოლოოდ რომ დამიბრუნე.
გახსენ ზანდუკი!

ბორა: მაგის გახსნა არ შემიძლია.

მედეა: სულ დამავიწყდა, აღარ მახსოვს, როგორ ვადებდი,
მაგრამ შეგობრებს შივაკითხავ დასახმარებლად.
(ზანდუკისაკენ შებრუნდება).

ქვევიდან ზევით,
ზევიდან ქვევით,
გაიღე ახლავე,
ფარულიო საფლავო!

(ზანდუკი გაიღება).

შეხე, გაიღო, კიდევ შემწევს ძალაუფლებია!
კვერთხიც აქ არის, საბურველიც, სუუველაფერი!
(სათითაოდ იღებს).

შევებე თუ არ ნამაგარს დედაჩემისას,
მაშინვე გულშიც, მარჯვენაშიც ძალა ვიგრძენი!
ამ საბურველში გავებვევი კვლავინდებურად!
(საბურავს თავზე დაიფარებს).

გამომაცოცხლა, რა თბილია და რა ფაფუკი!
ახლა, ვისაც ვსურთ, შეკავშირდით ჩემ წინააღმდეგ,
გაერთიანდით, შემებრძოლეთ, შემომიტიეთ!

ბორა: ძირში კიდევ რაღაცა ბრწყინავს!

მედეა: დაე, ბრწყინავდეს!
მალე ეგ ბრწყინვა, სისხლის ბრწყინვად გადაიქცევა!
აქ ბევრი რამ მაქვს ნახობვარი წამოღებული,
შენ საჩუქრების დარიგება არ დაიზარო!

ბორა: მე?

მედეა: ჰო, შენ წადი, მეფის ასულს გაესაუბრე,
მეგპირფრე, არ დაზოგო ტრელი სიტყვები,
ჩემი მოკითხვაც გადაეც და ნაფეშქაშარიც.
(ზანდუკიდან რაღაც-რაღაცებს იღებს).
ჭერ გაუწოდე ეს უებრო მალამო, ვიცო,
გაბრწყინებული პატარძალი მაშინვე გახსნის!
ფრთხილად იყავი, არ შეანჭდრიო!

ბორა: ვაი ჩემ თავს!

(მალამოიანი ქურჭელი გორას მარცხენა ხელში ცოტა გადახრილი უჭირავს, ვინაიდან

მარჯვენა ზანდუკის თავსახურზე აქვს წავლებული. თავსახურს რომ მალა ასწევს, ამ დროს იქიდან ალი ამოვარდება).

მედეა: ნუ შეანჯღრევ-მეტეი, ხომ გითხარი, ხომ გაგაფრთხილე!

დაკლავნილო გველო,
მიაშურე ბუდეს,
აღსასრულს რომ ელი,
დიდხანს არ მოუნდე:



ხომ გეუბნები, გაუფრთხილდი, სწორად გეპაროს!

ბორა: გული ავ რამეს შეუბნება, ცუდს მიწინათგრძნობს!

მედეა: შებედე ერთი, რა ჰკვიანი უოფილხარ თურმე!

ბორა: ვალდებული ვარ, რომ წავიღო?

მედეა: დიახ, მხევალო!

შეკამათებას როგორ ბედავ? კრინტი არ დაძრა!
დიახ, ეს საქმე შენზეა და უნდა ითავო!
შალი ოქროში დაფერილი და მოქანდული
მდიდრულად მორთულ და მოოჭვილ ყუთში იდებო,
შეგნით კი სწორედ იმას გავშლი, რაც მას იწიდავს, —
ოქროს საწმისს.

(წარმოთქმისთანვე ყუთში ჩაღებს).
ახლა წადი და შეასრულე დანაბარები!
მოხერხებულად შეახვიე ისეთ ნაჭერში,
მდიდრულ სამოსში, ანდა მეფის წამოსახამში,
რომ ხაიდუმლოდ დარჩეს ბოლომდე.
ახლა კი წადი, შეასრულე ჩემი ბრძანება,
ჩემს მტერს მტრისაგან მიუძღვენი ეგ საჩუქარი.
(შემოდის მოახლე ქალი და შემოქყავს ბავშვები).

მოახლე: აი, ბავშვები, მეფემ შენთან გამომატანა
და ერთ საათში წავეუვანო უნდა უკანვე.

მედეა: თუ არ გაგასწრეს საქორწინო წვეულებაში!
გაუძებ ამას, მიიყვანე შენს ქალბატონთან
და მოახსენე, საჩუქრები მოგიტანეს-თქო.
კარგად დაფიქრდი, რაც ვიბრძანე, ის შეასრულე!
კრინტი არ დაძრა! ასე მინდა! აბა, გაუძებ!
(ვორა და მოახლე გადიან).

მედეა: აი, იწყება, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულა.
ნათელია და გარკვეული, რაც მე მწადია.
(ხელიხელჩაკიდებულ ბავშვებს სურთ მოახლეს გამოეღვენონ).

მედეა: საით, ბავშვებო?

ბიჭი: შინისაკენ მიგვიჩქარია!

მედეა: ნეტავ ვიცოდეთ, თქვენ იმ სახლში რა დაგრჩენიათ?!

ბიჭი: მამამ ვიბრძანა, არ დაყოვნდეთ, დროზე მოდიეთ.

მედეა: მე კი ვიბრძანებთ, რომ არსაით გაადგათ ფეხი!
როს დაფიქრდები, თქვენ ხართ ჩემი სისხლი და ხორცი,
ცხრა თვის მანძილზე ხომ ამ მუცლით დაგატარებდით,
სულ თოთოები მკერდიდან არ მომცილებიხართ.
ჩემივ ნაშობნი ახლა ისევ მე მიჯანუდებით,
გაგულიხება შინაგანად მაფორიაქებს
და ეს ფიქრები მტანჯავენ და უაღუწე დგებიან.
ნეტავ ისეთი დედათქვენმა რა დაგიშავათ,
რომ გაურბიხართ, ზურგს აქცევთ და სხვასთან მიდიხართ?

უფროსნი: ისევ ხომალდზე დაბრუნებას გვიბრძანებ ალბათ.



სადაც ჩვენ სული გვეხუთება და თავბრუ გვესხმის.
აი, ამიტომ, აქ დავრჩებით, აქ გვიჩვენია.
ხომ სწორს ვამბობ, ჩემო ძამიკო?

უფროსი: სწორია, მარა.

მედეა: ნუთუ, აბსირტუს, აქ დარჩენა მართლა გწყურია?
არა უშავს რა, მართლად უოფნა აჯობებს ალბათ!
აბა, ორივე ჩემთან მოდიო.

უფროსი: რო მეშინია?

მედეა: მოდიო-მეთქი!

უფროსი: მე ხომ არაფერს არ დამიშავებ?

მედეა: შენ თვითონ ატუობ, რომ ღირსი ხარ და იმსახურებ?

უფროსი: ერთხელ მიწაზე დამანარცხე და დამაყვედრე,
მამას მგავხარო. მამიკოს კი მიტომ ვუყუარვარ.
ამიტომ კეთილ ქალბატონთან და მასთან მინდა!

მედეა: მაშ ასე, კეთილ ქალბატონთან უოფნა ჯობია?
პირწავარდნილი მოლაღატე მამამისია,
როგორ მახავით ლაქლაქებს და ენაჭარტალობს.
უკვე ამეგვსო მოთმინების ფიალა. კმარა!

უფროსი: შეძინება.

უფროსი: გვიანია და ბარემ წავალთ დასაძინებლად.

მედეა: შერეც გეუოფათ, სამუდამოდ რომ მიიძინებთ.
ამ კიბეს აშუეთ, ცოტა ხანი იქ მოკალათდით,
მოვემზადები და მეც მოვალ ამასობაში.
ხედავ, უფროსი უმცროსს როგორ თავს დასტრიალებს,
თვითონ ხალათი გაიხადა და კოკროკინას
მხრებზე მოასხა, ჩაატბუნა, კარგად ჩაფუთნა,
პატარა ხელიც ჩაუთათა, გვერდით მიუწვა.
ო, არასოდეს, იგი ცუდი არა უოფილა!
ვაი, შვილებო! ოი, შვილებო!

უფროსი: (უცებ წამობტება):

რა გწადია?

მედეა: იუუჩე, ბავშვო, დაიძინე, ახლავე რამეს
მოხერხებულად მოვიდგამ და მეც დავიძინებ.
(ბავშვი მაშინვე მიწვება და მიიძინებს. მედეა მათთან ახლოს მიჩლოჩებს
სკამსაწოლს. თანდათანობით სიბნელე მატელობს).
მოიქურუხა, ვარსკვლავები ამოკიაფდა,
სხივებმა ამოდ გაანათეს შემოგარენი;
რაც გუშინ მოხდა, თითქოს მართლაც დღეს მომხდარიყო,
დღეს მომხდარი კი გვეჩვენება გუშინ მომხდარად;
სწორ გზასთან ერთად უამრავი ღრმა უფსკრულია,
სიკეთისა და ბოროტების მამტიცებელი;
დედაბუნებაც იმდაგვარად ცვალებადია,
ვით ბედ-იღბალი თითოეულ ადამიანის.
ვინმეს რომ ზღაპრად მოეყოლა ჩემი ამბავი,
უურს დავუგდებდი, მაგრამ არკი დავუჭერებდი.
ანაწდეულად ნათქვამ სიტყვას ჩამოვართმევდი,
დინჯად ვეტყოდი: მეგობარო, რასაც მოგვითხრობ,
არ შეიძლება მომხდარიყო ამ ქვეყანაზე!
ასეა მუდამ, თუ ხვალინდელ სიკეთეს ელი,
მამა-ბაბათა მიწა-წყალზე უნდა ეძიო,
რადგან იქ ბრწყინავს მოკაშკაშე შენი ვარსკვლავი,
ისეთი წმინდა, სათუთი და ნარნარი, როგორც
უმანკო ჩვილი დედის უბეს ჩახუტებული...
ახლა სად მიდის, ღარიბულ ქონს რატომ დაეძებს.
ხომ არ იხარა მამის თესლმა და გადათელა.



ოქროთი უნდა ანუგეშოს დამწუხრებული?
 ტუის ბილიცებზე რას დაეძებს, ან რა სწადია?
 აი, ძმისაკენ გაეშურა, ის ტევრში ელის,
 უცებ იპოვნეს ერთმანეთი, ვით ვარსკვლავებმა,
 რომლებიც ტუუპად ანათებენ უველა შარავნას.
 მიუახლოვდათ უცებ ვიღაც გვირგვინოსანი;
 მამა შეიცნეს, ქვეყნის მეფე, ქვეყნის მპყრობელი
 ხელი შეახო შეიღებს, მერე ღოცვა წარმოთქვა,
 ბედნიერება, ჭანმრთელობა უსურვა და-ძმას.,
 კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ჩემო ძვირფასო,
 მარტომყოფს როგორ მომაგენით, როგორ მომძებნეთ?
 მომიახლოვდით, თქვენი სახე ახლოს ვიხილო!
 ძვირფასო ძმავ, შენებურად არ გამიღიშებ?
 რა ტანადი ხარ, ჩემი სულის თანაზიარო.
 როგორც უოველთვის — მამა ახლაც დარბაისელი;
 ვიცო, ვუუფარვარ, ძლიერ უუფარს თავის ასული!
 ხომ მართაღს ვამბობ? ხომ სწორია ეს უველაფერი?!
 (უცებ წამობტევა).
 მტკნარი სიცრუეა! გიმუხტლებს, მოხუცო!
 შენც გიღალატებს და თავიანთ თავსაც.
 შენ წყევლა დამადევნე:
 მოკვეთილ იყავ ამიერიდან
 ტუიური ნადირივით,
 ვერც მეგობარი შეგეძინოს ამ ქვეყანაზე
 და ვერცა თავშესაფარი გეპოვნოსო.
 ვისშიც გამცვალე,
 ჩემს სანაცვლო შურს ის იძიებს,
 მიგატოვებს, გაგაძვევებს,
 ბოლოს მოგიღებსო.
 და ამა, ახლა შენი საწყევლარი:
 გარეული მხეცივით
 განწირული ვდგავარ ახლა
 მისგან ხელნაკრავი,
 ვისთვისაც შე შენ მიგატოვე,
 უნავსაუუდლოდ, მაგრამ, ვაი რომ ცოცხალი,
 მოკვდინების ფიქრით გონდაბინდული,
 სიხარულს გგვირის შურისძიება?
 თანდათანობით მიახლოვდები?
 ვაი, შეიღებო! ოი, შეიღებო!
 (ჩქარა ხაბიჯით მივ და ბავშვებს შეანჯღრევს).
 არ გუუურებათ, ბავშვებო? ადექით, დროა!

ბიჭი: (გამთილვიძებს):

რა გინდა?

მედეა: (მისკენ გადაიხრება):

კისერზე მომხვტე ხელი!

ბიჭი: ისე ტკბილად მეძინა.

მედეა: რაო, გეძინა? რა გაძინებთ, ან რა გასვენებთ?

რაკილა დედა ფხიზლად იყო და თავზე გადგათ?
 ჯერ მუხანათ მტერს კლანჭებში ხომ არ ჩავარდნიხართ!
 დედის გვერდი-გვერდ რა გაძინებთ, ან რა გასვენებთ?
 იქნებ იქ უფრო უშფოთველად დაგძინებოდათ!
 (ბავშვები სვეტებიან შესასულელიაკენ გაემართებიან).
 რახან წავიდნენ, ახლა ცოტა გულზე მომეშვა!
 გულზე რად უნდა მომშვებოდა იმათი წასვლით?
 ამიტომ დღესვე ავიურები და წავშავდები!



ისინი ჩემს შტრებს სამუდამოდ ჩავუგდო ხელში?
 მაგათი მამა მოღალატე აღარ იქნება?
 ამიტომ ხელი შეეშლება ქორწინებაში?
 ხვალ, მზე რომ ამოვა,
 უკვე მარტოდმარტო ვიქნები,
 ქვეყანა ჩემთვის ცარიელ უდაბნოდ გადაიქცევა,
 აღარც შვილები მეყოლება, აღარც მეუღლე,
 დასისხლული ფეხებიდა შემჩრება,
 რომლებიც სახიფათო გზას გაუღებებიან.

საით, არავინ იცის!
 ისინი კი მხიარულობენ და დამცინიან!
 ჩემი შვილები სხვისი ხარჩენი, გადაჭიშებულნი
 და ჩემგან სულ შორს უნდა იყვნენ.

მოსათმენია? ახატანია?
 ხომ არ დაგვივიანდა?
 ხომ არ დაგვიანდა შიტევება?
 ნეტავ ახლა კრეუზას ხელთა აქვს კაბა
 და ის აალებული თასი?
 უური მიუგდე! ისმის რამე? არა, ჯერ არა!
 მაგრამ სულ მალე მეფის სასახლიდან
 საზარელი ხმა გაისმება.

უკვე მოდიან ჩემს მოსაკლავად,
 პატარებსაც არ დაინდობენ.
 გეუურება ვიღაც გამკვივისი
 თვალისმომჭრელად გაიღვია!
 მოსახდენი მოხდენილია!
 უკან დახვევა აღარ შეიძლება!
 დაე, განადგურდეს უველაფერის
 მათ, წინ!

(სასახლიდან უცებ გორა გამოვარდება).

ბორბ: შემზარავი და შემადრწუნებელი რამ მოხდა!

მედეა: (შეეგებება):

უკვე მოხდა მოსახდენელი?

ბორბ: ვაი ვუი კრეუზა მკვდარია! სასახლე გადაიწვია!

მედეა: შენ იქ იყავი? თეთრებში გამოწყობილი პატარძალი?

ჩემი შვილებიც შეიტყუე?

ბავშვებიც შეიტყუე-მეთქი?

ხომ გსურდა, ისინიც იქ გყოლოდა?

ბავშვები შენ კი არა, ღმერთებს გამოვუგზავნე!

ბორბ: ეგ რა გიქნია? აქეთ მოდიან!

მედეა: აქეთ მოდიან? დაავიანდათ!

(სვეტებიან შესასვლელისკენ გაეშურება).

ბორბ: ვაიმე ჩემ თავს ბინძურ საქმეს, ჩემს უნებურად,

ნუთუ კვლავ უნდა ვემხახურო ამ სიბერეში?!
 შური ეძია, მეც ვურჩიე, მაგრამ ახეთი?!
 ბავშვები სადღა ჩაიყლაპნენ, აქ არ დავტოვე?
 მაი, მედევაც სად ხარ, საით გაუჩინარდი?
 ანდა ბავშვები რომ არ ჩანან, საით წავიდნენ?

(სვეტებიან შესასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართება, სცენის სიღრმეში სასახლის
 შეიგულიდან გაჩაღებული ხანძრის ალი ანათებს).

ბორბ: ვაი, კრეუზა; ვაი, კრეუზა!

მედეა: (ხმა შეიგულიდან მოისმის):

ვაიმე, ჩემო ქალიშვილო!

ბორბ: (სვეტებიან შესასვლელიდან უეცრად გამოვარდება, სცენის შეიგულში მუხლებზე
 დაიჩოქებს და თვალებსა და სახეზე ხელებს იფარებს):

ეს რა საზარო რამ იხილეს ჩემმა თვალებმა!
(სვეტებიან შესასვლელიდან მედია მოემართება, მარცხენა ხელში ხანჯალი უჭირავს, ხოლო მარჯვენა უჩუმრად, ძლივამოსილების ნიშნად, პალა შეუმართავს. შარდა ეშვება.)

მიხუთი მოქმედება

როგორც წინა მოქმედებაში, აქაც კრეონის ციხესიმაგრის წინა კარს ებრუნება. ციხის სიღრმეში მეფის გადამწვარი საცხოვრებელი ბინიდან ჯერ ეიღვევ ადრის ბოლო, სწავლასხვა საქმით გართული ხალხი მოედანზე ქუჩდება. თენდება. მეფე სასახლიდან მიათრევს გორას, მას უკან კრეუზას რამდენიმე მოახლე მოსდევს.

მეფე: აქეთ მოდექი! შენ ხომ ისა ხარ, ჩემს ქალიშვილს
ის საჩუქარი დასადუჰად რომ მოუტანე?
ოი, კრეუზა, ჩემო გოგო, ჩემო ასულაო!
(მოახლეებისაკენ გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს).
ეს არის, არა?

გორა: მე გახლავარ, მეფის ოჯახში
ჩემს უნებურად სიკვდილი რომ შემოვიტანე.

მეფე: შენს უნებურად? სასჯელს მაინც ვერ გადურჩები!

გორა: ნუთუ გგონია, შემაშინებ შენი სასჯელით?
ჩემივე თვალთ დავინახე თავიანთ სისხლში
როგორ ცურავდნენ დღეგამქრალი ბავშვების გვამნი,
მოკვდინებულნი იმის ხელით, ვინც ისინი შვა,
მათი დედა კი მედეაა, ჩემი აღზრდილი.
იმ შემწარავი, სავალალო სურათის მნახველს
სხვა უველაფერი ოხუნჯობა მგონია მხოლოდ!

მეფე: ოი, კრეუზა, ჩემო შვილო, ჩემო ერთგულო!
როცა სიკვდილი მაგ ხელებით მოგქონდა, ნუთუ,
შე უდღეურო, მარჯვენა არ აგკანკალდა?

გორა: მათი მნახველი შენს ქალიშვილს აღარა ვჩივი,
ვისწედაც მართლა მზე და მთვარე ამოგდიოდა
და უბედობას უნებლიეთ გადაეყარა.
მე დედის ხელით მოკლულ ბავშვებს დავტირი მწარედ!
მსურდა საფლავში წოლილიყვნენ უველანი ერთად,
როგორც შეარქვეს, მოღალატე ეგ იაზონიც,
მე კი კოლხეთში ვყოფილიყავ ქალიშვილთან და
შვილიშვილებთან; აქაურობა არასოდეს
მეხილა თვალთ; არც შენ შენახე, არც ქალაქი,
სადაც იოლად წააწყდები უბედურებას.

მეფე: ძალზე ადვილად შემეგუე, მე რომ შემომხვდი!
ნუთუ ამქვეყნად აღარ არის ჩემი ასული?
ბევრნი ამბობენ, მაგრამ თვალთ არვის უნახავს!
ვერ მოახერხა, იმ ხანძარს რომ განრიდებოდა?
ეგრე სახწრაფოდ ეკიდება, ედება ცეცხლი,
თუ ნელ-ნელა ეპარება კოჭებს, ნივნივებს?
ეს ბავშვმაც იცის და ამიტომ შიგ მოყვებოდა?
ახლა არ იყო, სულ ახლახან, ჩემ თვალწინ იდგა
გადაფურჩქნილი, კისკასი და სიცოცხლით სავსე?
ვით დავიჯერო ამა ქვეყნად მისი არყოფნა?
ჩემს უნებურად აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს,
აი, ან ახლა გამოჩნდება, ასე მგონია,
აი, ან ახლა, ვიმედოვნებ, მის სილამაზეს
დანახშირებულ ნანგრევებში რა უნდა ნეტავ?!
გვერდით ვინ ედგა, ვინ მოასწრო, ვინ დაინახა?
თვალს რად მარიდებ, გამომიტყდი, სიმართლე შითხარ
და მომახალე გულსაკლავად: ნუთუ შიგ მომყვავ?

მოახლე: დიახ, შიგ მომყვავ!



მეფე: საკუთარ თვლით დაინახე?

მონახლე: მო, დავინახე, ცეცხლით როგორ იბუგებოდა იქაურობა. მოოქრული ჭურჭლეულობაც იქვე ეხარა.

მეფე: კმარა, გინახავსი მაშ ალარ მუავს

ჩემი კრეუზა, ჩემი შვილი, ჩემი ასული!
ერთხელ პატარამ, სულ შემთხვევით, მსხვერპლს რომ ვწირავდით,
ხელი დაიწვა და სიმწრისგან რომ გაკიოდა,
უეცრად ხელში ავიტაცე, გულში ჩავიკარ,
სულს ვუბერავდი დამწვარ თითებს გასაგრილებლად,
ცხარე ცრემლები დაიოკა, გამოღიმა და
სლუკუნ-სლუკუნით ესლა მითხრა: არა უშავს რა,
ტკივილს გავუძლებ, რადგან მაგრად არ დამწვიაო.
მაგრამ ამჯერად რა ვიღონო, როგორ მოვიქცე:
(გორას მიმართავს):

ახლა რომ ხმალი თანა მქონდეს, დაუფიქრებლად,
უშალ გულმკერდში გაძგერებდი და განგგმირავდი!
ის სადღა არის, საზარელი, ურჩი არსება,
ვინც ჩემს ქალიშვილს მოუსწრაფა სიცოცხლის დღენი?
მსურს შენი სული შევაძრწუნო, ავაბობოქრო,
რათა როგორმე გამოგტებო და გათქმევიო:
ნეტავ სად გაქრა, უგზო-უკვლოდ სად დაიკარგა?

გორა: იმის გზა-კვალი მე საიდან უნდა მცოდნოდა,
ალბათ გასწია მარტოხელამ მოუსაველეთში!
რადას აუოვნებ, მოშაშორე ამ წუთისოფელს,
რადგან ალარ ღირს ამის მერე ქვეყნად ცხოვრება.

მეფე: მაგას ისედაც მოესწრები, ჭერ აღიარე!

იაჯონი (სცენის სიღრმეიდან):
სად ჩაიუღაპა? აქ მომგვარეთ კერპი მეღეა!
(სცენაზე ხმალშემართული შემოეა).
ასე ამბობენ, რომ აქედან აიბარგაო!
სად არის შენი ქალბატონი, ნუთუ არ იცი?

გორა: გზას გაუდგა!

იაჯონი: ბავშვებიანად?

გორა: არა, მარტოკა!

იაჯონი: მაშ, ბავშვები სადღა არიან?

გორა: ალარ არიან!

ღიახ, ცბიერო, მოღალატე, მკვდრები არიან!
მეღეას სურდა, არ გეხილა ისინი თვლით
და ვინაიდან შენ ამქვეყნად არაფერი გწამს,
წყევლა და კრულვა იმა ქვეყნად შემოგიტვალა.
ახლა დადექ და მიაშტერე მიწას თვალეში,
მაინც ვერასდროს გამოიხმობ საუვარელ შვილებს.
მე შევებასა მგვრის, ისინი რომ გაღმა არიან
და მახალისებს შენი ასე სასოწარკვეთა,
შეჩვენებულო, მუხანათო, პირის გამტებო,
ფარისეველო, ცრუ მეფეო, ნუთუ ვერა გრძნობ,
იმ სოფლად რომ შენ გაისტუმრე შენი შვილები?
პირმოთნეობით არ გააბი ქალი მახეში
და მისი გულიც მოტულებით მოინადირე,
ალარ აკმარე მრისხანება და გულისწურომა,
გზები დაუხშე, გადაუჭერ, გადაუღობე,
რათა როგორმე ხელთ ჩაგეგდო ოქროს გვირგვინი —
სამეფო თავის უმაღლესი შესამკობელი,
ძაღა-უფლებსა სიავკაცედ რომ მოგემარჯვა



და შეუჩვეველ მკვლევრობად და მსხვერპლად გიქცია.
ახლა იდექი და ხელეები იფშენიტე მაგრად!
(მეფეს მიმართავს):

შენი ასული რაღა სხვების საწოლს ეძებდა?
(კვლავ იაზონს მიუბრუნდება):

თუკი მდებო არ გიუვარდა, რად მოიტაცე,
და თუ გიუვარდა, რად შესცოდე და უღალატე?
წყუთლიმც იყავ, ყველასაგან შერვენებულს,
ბედმა ორივეს ეგ გარგუნათ სამართლიანად.

აბუჩად ვეღარ აიგდებენ უკვე კოლხ ასულს,
დიდხანს სიცოცხლე მეც არ ძალმიძს ამ ქვეყანაზე,
რადგანაც ორი წუთისოფელს გამოცხადმა,
ხოლო მესამე შეიძულეს, აითვალწუნეს.

როგორც გენებოს, წინ გამიგდე, ბოლო მომიდე;
იმის იმედი მაინც მქონდეს იმ ქვეყანაში,
რომ მისაგებელს მიეზღვება მისაგებელი.

(გადის რამდენიმე კაცის თანხლებით. ჩამოვარდება სიჩუმე).

მეფე: ასე არ მსურდა, ღმერთებს ვფიცავ, შევცდი, მოვტუფდი,
ამჭერად ისღა დამრჩენია, რომ ნანგრევებში
შვილის სხეულის ნაწილები ვეძიო, რათა
ცხედარი მიწას მივაბარო, როგორც წესია.
(იაზონს მიმართავს):

შენ კი, იაზონ, სანამ შეძლებ, იხეტიალე,
აქ, შორიახლოს, საფრთხილოა და მოერიდე.
დღემდე ვერ შევძელ სტუმართმოყვრულ და გულუხვ პერქვეშ
პატივი მეცა, ოღნავ მაინც მეთამებინა.
ჩემივე ნებით მოგათხოვე ჩემი ასული,
ამიტომ წადი, სანუგეშოს ვერაფერს გატყვი!

იაზონი: მაშ, თავიდან მიშორებ, არა?

მეფე: დიახ, გიშორებ.

იაზონი: რა გზას დავადგე, რა ვიღონო?

მეფე: ისე მოიქეც,
როგორც შეუფე ჩაგაგონებს და გზას გაგიკვლევს!

იაზონი: ვინ მიწინამძღვრებს, მფარველობას ვინღა გამიწევს?
ვიღას ვუნდივარ თავბრუდასხმულ-გულდაკოდილი!
კრინტს არავინ ძრავს: არც თავკაცი, არც წინამძღოლი!
ის დრო წავიდა, ახლა მხარში ვინ დამიდგება?
მაშ შეუპოვრად გამიძებნით, შვილთა აჩრდილნო
და მათ სამარეს მიმაყენეთ, გემუღარებით.
(გადის).

მეფე: საქმეს მივხედოთ, მერე გლოვა გამოვაცხადოთ!
(მეორე მხარეს გაემართება).

(ტყუთა და წიფალითი გარშემორტყმული, კლდე-ღრეებიანი უღაბნო, ყრუ ადგილი. ქო-
ხიდან გლეხკაცი გამოდის).

გლეხკაცი: რა დიდებული, საუცხოო დილა თენდება.
უკუნ ღამეში, ქარბუქის და გრიგალის მერე,
მზეს ბრწყინვალეობა ემატება, ქველო ღმერთებო!
(ქობში შედის. იაზონი ბარბაცით შემოვა სცენაზე და ხმლის ვადას დაეყრდნობა).

იაზონი: ბიჭის გადადგმაც აღარ ძალმიძს, თავი მისკდება,
რა მეშველება მე უბედურს, ვაიმე! ვაი!
გააღმასებულს სისხლი მიდუღს, ენა მებმება!
აქ ახლო-მახლო, დავიჭერო, არავინ არის?
ნუთუ მარტოსულს ასე უნდა ამომხდეს ხული?
ქობი რომ მოჩანს, შემიკედლებს უთუოდ ვიღაც,
როცა აქეთკენ მოვდიოდი მდიდარი კაცი,



რადაც იმედის ნატამალი კი მქონდა გულში!
(კარზე აკაკუნებს).
წულის ერთი წვეთი! სარეცელი მოკვდავისათვის!
(გამოდის გლვხკაცი).

გლვხკაცი: ვინ აკაკუნებს? შე საბრალო, მითხარ, რა ვინდა?

იაწონი: წულის ერთი წვეთი! მე განთქმული იაწონი ვარ!
საწმინდის გმირი, დიდებული, გვირგვინოსანი,
არგონავტების წინამძღოლი იაწონი ვარ!

გლვხკაცი: იაწონი ხარ? აიბარგე მაწინ აქედან,
შენი სტუმრობით ჩემი სახლი შეიბილწება.
შენ არ მოკალი ჩემი მეფის სათნო ასული,
ვერ შეგიფარებ, ხალხის უბაში არ ჩავევარდები.
(ქობში შევა და ვარს მოხურავს).

იაწონი: დახე, რარიგად მიმატოვა, დამაგდო გზაზე!
მოი, სიკვდილო, შენ მოგიბმობ ერთი იმედით,
რომ ჩემს შვილებთან წამიყვანო უთქმელად მალე!
(იატაკზე ეცემა. კლდეს მოფარებული მედეა სცენაზე შემოვა და მის წინ დადგება;
ოქროს საწმილი ბეჭებზე ატვს წამოსხმული).

მედეა: იაწონ!

იაწონი (ოდნაუ წამოიწევს):
ოჰო, მართლა გხედავ, თუ მეჩვენება?
ნუთუ შენა ხარ, საწარელო სულთამხუთავო!
სად არის ახლა ჩემი ხმალი!
(წამოდგომა სურს, შეიცდება, მაგრამ კვლავ ძირს ეცემა).
რა შემართება?

განა იმდენად დავუძღურდი, გამოვიფიტე,
რომ ვერ ვდგები და ტანიც აღარ შემორჩილება?!

მედეა: იუუჩე, ახლა ველარაფერს დამაკლებ, რადგან
მე სხვისი ხელის შემყურე და მსხვერპლი ვყოფილვარ!

იაწონი: ის მაინც მითხარ, სად დამალე ჩემი შვილები?

მედეა: თუ ჩემები!

იაწონი: რა უყავი, სად გადაკარგე!

მედეა: ისეთ ადგილას დაიმკვიდრეს ბავშვებმა ბინა,
რომ მე და შენზე უკეთესად არიან აღბათ.

იაწონი: მზეს მოწყვეტილნი, სამუდამოდ მიძინებულნი?

მედეა: შენა გგონია, რომ სიკვდილი უარესია,
ვინემ სიაცე, სიძულვილი, შური და მტრობა?
შენ ამქვეყნიურს მეტად ხომ არ ეთაყვანები,
ვიდრე ცხოვრება, არსებობა ამას მოითხოვს?
ამიტომ სწორად მოვიქცევი, ჩემი შვილები
რომ ვიხსენი და მოვაცილე ტანჯვა-წვალებას!

იაწონი: აუღელვებლად როგორ ამბობ, წარბსაც რომ არ ხრი?

მედეა: აუღელვებლად? რაო, რა თქვი? წარბსაც არა ვხრი?
წამიერად რომ ჩაგახედა ჩაფერფლილ გულში,
რომელიც შენთვის მარად ასე იყო დახშული,
მიმიხვდებოდი, რარიგად ვარ გულდაკოდილი,
მაგრამ ერთხელაც მოეღება ჩემ ტანჯვას ბოლო,
ზღვის ტალღებივით მძვინვარე და დაუდგრომელი
გავცამტვერდები, შევერევი უსასრულობას
და უოველივე მარტო მე არ მომეკიდება.
ის კი არ მიკლავს გულს, შვილები რომ აღარა მყავს,
არამედ ვნაღვლობ, ოდეს იყვნენ, ჩვენ ახლაც რომ ვართ!

იაწონი: ვაიმე, რა ექნა! ვაი, ჩემ თავს!

მედეა: რაიც დათესე,
ვეშვარითად იმასვე იმკი. როგორც შენ ახლა



ამ მიწაზე გართხმულს გიჟურებ, ამნაირადვე
 შე კოლხეთის მიწაზე ვიწიქ შენს ფერხთა ქვეშ,
 შემოგჩიოდი, გემდუროდი და ვწუწუნებდი,
 მაგრამ ეს გული ვერ მოგიღებ და არ დამინდე;
 ცრუ დაპირებით, მოტყუებით ხელთ იგდი განძი,
 თუმცა ეს განძი, — გითხარი მე, — სიკვდილის გარდა
 სხვა სასიკეთოს ვერ მოგიტანს ვერაფერს-მეთქი,
 რასაც ელტვოდი, რაც განდოდა, ასრულდა კიდევ!
 ამიერიდან განშორების დაგვიდგა უამი,
 აღბათ ვსაუბრობთ სიკვდილამდე უკანასკნელად,
 სამარადისოდ, უკუნითი უკუნისამდე.
 გამოეთხოვე განვლილ დღეთა სიამტკბილობას,
 ტანჯვა-წამებას, დაგვიბნედა რამაც გონება,
 გვემას და ქენჯნას, სუყველაფერს, ჩემო მერულლეც,
 რაკი მყობადი უუარეს რამეს გვიქადას,
 დაემშვიდობე, საბოლოოდ დაემშვიდობე!
 შენი არსობის დედააზრი გატეხავს წელში,
 კაცმა არ იცის, რა დღე გველის, მამ მდგრად დადექ,
 ცხოვრების აზრი გაალამაზ-გაადიადე.
 გინდა ტკივილი დაიქუჩო, არა, გახსოვდეს,
 ჩემი მიწასთან გასწორება, დაბეჩაეება,
 ფეხქვეშ გათეღვა, რაც სიმწრით გადავიტანე,
 ამ ვაის მომსწრე, ბრალეული, პირშავი უნდა
 გადავიბიწრო შორეთს იქით დასაქარგავში.
 შეება და მადლი იქნებოდა ხანჭლით განგმირვა,
 მაგრამ შედეა თავის ხელით არ უნდა მოკვდეს;
 დაე, წარსულმა განმსაჯოს და გამასამართლოს,
 როგორ უბედურ ვარსკვლავზეც ვარ დაბადებული,
 რისი ღირსიც ვარ, ის მომეწლოს ბედგაცუდებულს.
 ჩემი ღვთაების საკურთხეველს მინდა ვეაბლო
 ქალაქ დელფოში, საიდანაც ერთ დროს ფრიქსუსმა
 ოქროს საწმისი — ჩვენი განძი გამოიტაცა,
 რომ დავუბრუნო შფოთიან ღმერთს ნაწყალობევი...
 მერე კი მოძღვარს ვადაფუხსნა გულისნადები:
 არსთა გამგებელს ჩემი თავი მსხვერპლად შევწირო,
 თუ გამჭობინო უდაბნოში გადასახლება,
 ხანგრძლივ სიცოცხლეს რადგან თან სდევს ხანგრძლივი ტანჯვა,
 ხომ არ გენაშნა, ურჩობას და თავგასულობას,
 რაც შენ სახელად და დიდებად მიგაჩნდა მუდამ,
 ბოლოს რა მოსდევს, სიკეთედ რომ გეჩვენებოდა?
 აბა, ამქვეყნად, მამ რაღაა კეთილდღეობა,
 თუ არ აჩრდილი, მოჩვენება და მოლანდება?!
 ამ ცის ქვეშეთში ყველაფერი ხომ სიზმარია!
 ზოი, საბრალოვ, აჩრდილებთან რომ იყავ მარად!
 სიზმარი გაქრა, უკუნი კი ქერ არ გამქრალა.
 რაკი ასეა, გეთხოვები, ჩემო მერულლეც!
 უბედობამ ხომ ერთმანეთი მოგვაძებნინა,
 საბოლოოდაც უბედურ დღეს გემშვიდობები!

ნაზონი: ვაი, შვილებო, უთვისტომოს და მარტოდმარტოს!

მედეა: ცოდვამ გიწია და მოგეზლო მოსაზღვეველი!

ნაზონი: შენს ფერხთით ვწევარ ქედმოხრილი, დამარცხებული!

მედეა: გაუძელ ტანჯვას!

ნაზონი: ასეთ ტანჯვას სიკვდილი მიჯობს!

მედეა: რაც ცხოვრებაში ჩაიღინე, მოინანიე!

ახლა მშვიდობით, ვერ მიხილავ ვედარახოდეს!

(შეტრიალდება, მაგრამ სანამ ნაბიჯს გადაადგამს, ფარლაც დაეშეება).

